



იგორი

E-mail: r.jalagania@mail.ru



№303 (362) 10-17 თებერვალი 2015

სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორბანო

30 თეთრი

სირსხვილი ის კი არ არის, რომ მებრუნად ლაპარაკობან, არამედ ისაა, რომ დანარჩენმა ქართველებმა არ ვიხით მებრული ვნა – აააკი შანიძე

ეპროკის ირები ეროვნულ სახელმწიფოებრიობაზე შარის სათქმელად მზად არ აღმოჩნდნენ

ჟურნალისტ ირაკლი თოდუას ინტერვიუ ბატონ ალექსანდრე ჭაჭავაძისთან დაიბეჭდა 2012 წელს, გაზეთში „საქართველო და მსოფლიო“

– ბატონო ალექსანდრე, თქვენ ბრბანეთ, რომ ქართული საზოგადოება ერთიანი ეროვნული ორგანიზმი აღარ არის და მისით მანიპულირება ადვილია. რა არის ერთიანი ამდენად საშიში პროცესის მიზეზი?

– უკვე 20 წელიწადზე მეტია, ერი დამანგრეველ იდენტობის თვალსაზრისით განიცდის, რომლის მასშტაბებსაც საქართველოს ისტორიაში ანალოგი არ აქვს. ქართველები ტრადიციული, პატრიარქალური ერი იყო. იგი საუკუნეების განმავლობაში იმ ტრადიციულ-ეროვნული ღირებულებების საფუძველზე ვითარდებოდა, რომლებიც ჩამოყალიბდა მართლმადიდებლობის, ნაწილობრივ ისლამის, და რაც ძალიან მნიშვნელოვანია, თემური ცხოვრების წესის ზემოქმედებით. ბიბლიური მცნებების დაცვა, ერთობლივი შრომითი საქმიანობა, თანაზიარობა, სირთულეების ერთობლივი დაძლევა, წინაპრების პატივისცემა, ისტორიის თაყვანისცემა – ეს ყველაფერი იყო საფუძველი, რაზეც ერი იდგა. და ყველაფერი ეს უამრავი აკრძალვით იყო განმტკიცებული. ადამიანური მორალი აკრძალვების აღიარებაა. ადამიანი მას შემდეგ გახდა ადამიანი და შეძლო ადამიანური საზოგადოების ჩამოყალიბება, რაც ტაბუს, აკრძალვების სისტემა შექმნა და მათ დაემორჩილა, ცხოველური ინსტინქტების დათრგუნვა ისწავლა. ადამიანი ამით განსხვავდება ცხოველისგან, რომელიც მხოლოდ ინსტინქტებით ხელმძღვანელობს.

აი, ასეთ, ეროვნული მორალური კოდექსის მქონე ტრადიციულ საზოგადოებას ერთ წამში დაატყდა თავს მისთვის უცნობი ზნობრივი შეფასებების, ცეკვის ნორმების, მიზნობრივი განწყობების დამანგრეველი ტალღა. საზოგადოებას განუცხადეს, რომ ამერიკიდან ადამიანი თავისუფალია, რომ ყველაფერი ნებადართულია, რომ მორალი, ზნობრივი აკრძალვები კომუნისტური ბოღვაა. ამასთან ერთად, ინერგებოდა უარყოფითი დამოკიდებულება ჩვენი ერის წარსულისადმი, როგორც არასწორის, მცდარის, მსოფლიო ცივილიზაციის განვითარების კლასიკიდან ამოვარდნილის მიმართ. დამცირებისა და დაცინვისთვის გაწირეს დიდი ისტორიული მღვწეობები, მეცნიერები, მწერლები – ის ადამიანები, რომლებიც ერის მამებად ითვლებოდნენ. განსაკუთრებით ეს საბჭოთა პერიოდის ისტორიას შეეხო: აღმოჩნდა, რომ ჩვენმა მამებმა და პაპებმა ამოდ იცხოვრეს, არაფერი დადებითი საკუთარი ერთთვის არ გაუკეთებიათ, დიდ სამამულო ომშიც კი, გაუგებარია, რისთვის იბრძოდეს. მეტიც, ქარხნებიც და ფაბრიკებიც, რა კი საბჭოთა იყო, არასაჭიროდ, მაგნედ, განადგურების ღირსად გამოაცხადეს.

თაობებს შორის გაუკეთების პროცესი დაიწყო, ახალგაზრდობა დამცინავად აქილიკებდა უფროსებს, მათ დამსახურებებს, ჯილდოებს, ხოლო თვითონ იმ ახალი ცხოვრებისკენ სწრაფვა დაიწყო, რომელიც ამერიკულ ფილმებში ჰქონდა ნანახი, სადაც გმირები არსად მუშაობენ, მაგრამ ძალიან ლამაზად ცხოვრობენ. სიტყვები «თავისუფლება», «დემოკრატია», «საბაზრო ეკონომიკა», «კერძო საკუთრება» საქრალური გახდა. თუ ვინმე, ჩემსავით ეცდებოდა, შეესხვებინა, რომ საბაზრო ეკონომიკა და კერძო საკუთრება ყველგანაა, მაგრამ ზიმაბავში რატომღაც ისე არ ცხოვრობენ, როგორც საფრანგეთში, მაშინვე «საქართველო მტრად» და «კომუნისტად» აცხადებდნენ. თუ ვამბობდი, რომ ამერიკული მასობრივი კულტურა ცხოველური ინსტინქტების დაკმაყოფილებას ეფუძნება

და იგი ეროვნული კულტურის გამოდევნას დაიწყებს, ჩვენი ერის სულიერებასა და ზნობას აუნაზღაურებელ ზიანს მიაყენებს, მაშინვე «ერემლის აგენტო» ან «პროვინციელი ფაშისტო» ვხდებოდით. დაიწყო ჩვენს რეალობაში იმ პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური ინსტიტუტებისა და ზნობრივი ნორმების ხელშეშობის გადმოტანა, რომლებიც საუკუნეების მანძილზე სხვა საზოგადოებებში, ჩვენთვის უცხო ღირებულებების – პროტესტანტიზმის, უკიდურესი ინდივიდუალიზმის, სოციალ-დარვინიზმის, სიმდიდრისა და ძალის კულტის ზემოქმედებით ყალიბდებოდა. თავის დროზე ეს ამერიკელი ერის ფორმირების საფუძველი და თანამედროვე ამერიკული მორალის ბაზისი გახდა, მაგრამ სრულიად მიუღებელი იყო ტრადიციული, მართლმადიდებელი, თემური ღირებულებების მქონე ქართველი ერისთვის.

უკვე შევარდნაძის დროს იგრძნეს «რეფორმატორებმა» ხალხის ყრუ წინააღმდეგობა, ეროვნული თვითშეგნებისთვის უცხო ნორმებისა და ინსტიტუტების მიუღებლობა. ეს წინააღმდეგობა მასშტაბურ ბუნტში გადაიზარდა, რომელსაც სხვადასხვა სახის მანიპულაციების გზით უვანია-საკაშვილი-ბურჯანაძის ტრიუმფირატი მოაჯდა ზურგზე. ეს «რევოლუციონერები» მიხვდნენ, რომ ქართველ ხალხს ასე მარ-



ტივად ვერ გააბითურებ, ამიტომ შემუშავდა ერის გახლეჩისა და დაუმორჩილებელი სულის დათრგუნვის ახალი ტექნოლოგია. ამ ტექნოლოგიის ძირითად კომპონენტებად იქცა: ცხოვრების ყველა სოციალური სფეროდან 40 წელს გადაცილებული თაობის გაძევება; განათლების სისტემის გადაცემა ამერიკული უმაღლესი სასწავლებლების გაუნათლებელი კურსდამთავრებულებისთვის, უფროსი თაობის პროფესორ-მასწავლებლების განდევნა და, აქედან გამომდინარე, განათლების დეგრადაცია; მასობრივი ინფორმაციის ელექტრონული საშუალებების მონოპოლიზაცია და «თავისუფალი ცხოვრების» – სექსის, პორნოგრაფიის, პომოსექსუალიზმის პროპაგანდა; ტრადიციების, წეს-ჩვეულებების, ეროვნული სპეციფიკის უარყოფა; მართლმადიდებლური ეკლესიისა და მართლმადიდებლური სულიერი ღირებულებების, როგორც «არქაულის», «ჩამორჩენილის» ყოველმხრივი დისკრედიტაცია; ყველა უცხო კონფესიისა და ფსევდორელიგიური სექტის მიმართ „ღია კარის“ პოლიტიკა. ყველა ეს პროცესი ჩვენ თვალწინ მიმდინარეობს.

ერის ცნობიერებისთვის მიყენებული ასეთი ძლიერი დარტყმა უშედეგოდ ვერ ჩაივლიდა. სიამაყით მინდა ვთქვა, რომ მთლიანობაში ქართველი ერის გატყევა ვერ მოხერხდა, მაგრამ ქართული საზოგა-

დობა, სამწუხაროდ, რიგ სეგმენტებად გაიხლიჩა და გააზრებული, ერთსულოვანი ეროვნული მოქმედების უნარი დაკარგა. ადამიანების ცნობიერებით აქტიური მანიპულირება დაიწყო, თავს მოახვიეს მთელი რიგი აბსურდული მითებისა, ხალხმა ლოგიკურად აზროვნების, სიტუაციის განალიზების, მოვლენათა სწორი შეფასების უნარი დაკარგა.

– საბოლოო ჯამში, ჯერ ბრბად ენდობდნენ შევარდნაძეს, შემდეგ ასევე ბრბად ენდნენ სააკაშვილის დაპირებებს, რომ ცოტა ხანში მიგვიღებენ ნატოში, ევროკავშირში, რომ შევიცარია გავხდებით...

– დიახ, ეს ყველაფერი ცნობიერების მანიპულირების, სიტუაციისაგან დაუცველობის შედეგია. ხომ არ შეიძლება იმის დაუფიქრება, რომ საკუთარი ხალხის მოტყუების მასშტაბურ კამპანიაში აქტიურად მონაწილეობდნენ ჩვენი ინტელიგენციის წარმომადგენლები, ჩვენი ხალხი კი ინტელიგენციისადმი ნდობას მიწვევლია. თანდათან აბსურდი ნორმად იქცა. მასხოსე, 1995 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე აფხაზეთიდან დევნილების ნაწილმა ხმა მისცა შევარდნაძეს. ასეთი საოცარი გადაწყვეტილების მიზეზით დავინტერესდი. პასუხმა გამოგონა: «აფხაზეთი ვინც დაგვაკარგინა, იმან დაგვიბრუნოსო». ეს აბსურდული აზროვნების მაგალითია. ან საზოგადოებაში ინტელიგენციის მიერ შემოღებული ასეთი პასუხი გავისხენოთ: „შევარდნაძე მსოფლიო დონის პოლიტიკოსია, მას ისეთი რამ აქვს ჩაფიქრებული, რასაც ჩვენ ვერ ვხვდებით“. თანაც ამას აფხაზეთის დაკარგვის, ერის გაღატაკების შემდეგ უშუკო, გაყინულ ბინებში იმეორებდნენ. შევარდნაძე მასის გაბრიყვების ამ ტექნოლოგიას აქტიურად იყენებდა. როდესაც საქართველოში პუტჩის შემდეგ ჩამოვიდა, რისიანად განაცხადა: „ორ წელიწადში საქართველო შევიცარია გახდებარ“. რამდენიმე წელიწადი ყველა ტრასაზე ეკიდა ბილბორდი: „2000 წელს საქართველო იქნება ერთიანი, ეკონომიკურად ძლიერი, აყვავებული ქვეყანა. ეღუარდ შევარდნაძე“. დღემდე ზეპირად მასხოსე, 2000 წელს ეს ბილბორდები ჩუმად ჩამოხსნეს, ხოლო მისი ფრაზა „ორ წელიწადში აფხაზეთს დავიბრუნებთ“, რომელსაც იგი 10 წლის მანძილზე იმეორებდა, სისტემატიური ტყუილის მაგალითად იქცა. ამ ყველაფერს (აფხაზეთის დაბრუნების, ორი წლის და შევიცარიის შესახებ) შემდეგ სააკაშვილი იმეორებდა და მასაც დაუჯერეს!

ერთხელ, ტელევიზიით გამოსვლისას, შევარდნაძისა და სააკაშვილის შეუცვლელმა მრწველმა საგარეო პოლიტიკის დარგში ამერიკის შეერთებულ შტატებს „მსოფლიოში უძველესი დემოკრატია“ უწოდა. ამ დროს იგი განათლებულ ადამიანად ითვლებოდა. ეს ითქვა იმ ქვეყანაში, რომელიც სევრეპაცია მხოლოდ XX საუკუნის 60-იან წლებში გააუქმეს ოფიციალურად, მაგრამ ამის შემდეგ კიდევ წლების მანძილზე ზანგებისთვის ცალკე სკოლები, ავტოსკოლები ცალკე ადგილები და პარკებში ცალკე სკამები იყო გამოყოფილი. პრეზიდენტ ობამას მეუღლეს – ჯერ კიდევ ახალგაზრდა ქალს – ნეგროიდული წარმომავლობის გამო არ შეეძლო ესწავლა იმ სკოლასა და ინსტიტუტში, რომელშიც უნდა ელა. მეტიც, ამერიკაში ქალებმა პირველად მხოლოდ 60-იან წლებში მიიღეს ხმის მიცემის უფლება, ანუ შემოღებული იქნა ელემენტარული დემოკრატიული ნორმა, რომელიც საქართველოში, სხვათა შორის, 1918 წლიდან არსებობს. სწორედ აშშ-ში მემარცხენეობის მიმართ უბრალო სიმპათიის ეჭვის გამო ათავისუფლებდნენ სამსახურიდან, რიცხავდნენ უნივერსიტეტ-

ბიდან, ახალგაზრდებს ქვეყნიდან. ასე, თვით დიდი ჩარლი ჩაპლინი იძულებული გახდა, დაეტოვებინა აშშ. დღეს შეერთებულ შტატებში 27 სხვადასხვა სპეცსამსახურია ასიათასობით თანამშრომელი, რომელთა ამოცანაა საკუთარი მოქალაქეების ცხოვრების ყველა სფეროზე ტოტალური კონტროლის დაწესება. უფრო მეტიც, პრეზიდენტმა ობამამ სულ ახლახან ოფიციალურად აკრძალა პატიმრების წამება. ეს გახლავთ საპრეზიდენტო რესპუბლიკა, სადაც არ არსებობს საყოველთაო პირდაპირი საპრეზიდენტო არჩევნები, ხოლო პრეზიდენტი შესაძლებელია გახდეს ადამიანი, რომელმაც ამომრჩეველთა ნაკლები ხმა მიიღო, როგორც ბუშ-უმცროსის შემთხვევაში იყო. ძალიან ორიგინალური გონება უნდა გქონდეს, რომ ასეთ ქვეყანას „უძველესი დემოკრატია“ უწოდო, თუმცა ზუსტად ასე ახვევენ თავს საზოგადოებას აბსურდულ სტერეოტიპებს.

– ალბათ, ასეთივე აბსურდულ მტკიცებათა რიცხვს შეგვიძლია მივაკუთვნოთ სააკაშვილის განცხადება იმის თაობაზე, რომ თურქეთი, რუსეთისგან განსხვავებით, საქართველოს ისტორიული მეგობარია...

– დიახ, მაგრამ აქ უფრო დრმა მიზეზებიცაა. თურქეთის ფინანსურ-ეკონომიკურმა ექსპანსიამ ისეთ მასშტაბებს მიაღწია, რომ უკვე პოლიტიკაშიც თვისებრივად ახალ ძვრებს მოითხოვს, ამისთვის კი ქართველი მოსახლეობის ფსიქოლოგიური მომზადება საჭირო. საიდუმლოებას არ წარმოადგენს ის, რომ აჭარის ახალი ობიექტები, რომელთაც ასე ამბობს ჩვენი ხელისუფლება, თურქების აშენებულია და მათ საკუთრებას წარმოადგენს. ფუშენებული სისტემების და სხვა ტურისტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა შეუძლებელია აჭარაში რენტაბელი იყოს: მისით სარგებლობისთვის ქართველებს ფული არ აქვთ, ხოლო სომხური ტურისტული ნაკადი ასეთი სიმძლავრისთვის ასათვისებლად საკმარისი არაა, საკუთრებულ სეზონიც აჭარაში ძალიან ხანმოკლეა. მიუხედავად ამისა, თურქები მაინც ყიდულობენ მიწას, აშენებენ თავიანთ ობიექტებს, შესაძლოა, იმის იმედად, რომ ცოტა ხანში შეძლებენ თანამემამულეებისთვის მათ საცხოვრებელ ბინებად რეალიზებას. მე მითხრეს, რომ დღეს ბათუმში 23 ათასი თურქია ჩაწერილი. თუ ეს სიმართლეა, მაშინ ეს საკმაოდ სოლიდური რაოდენობაა. მიუხედავად აჭარაში არსოდეს უცხოურია ამდენ თურქს, მაშინაც კი, როდესაც იგი ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში იყო. წლების წინ ვწერდი და ახლაც შემიძლია გავიმეორო, რომ თურქეთთან ურთიერთობებში ჩვენ შემდეგი გარემოებებით უნდა ვისვლამდვანვართ: პირველი – თურქული ეროვნული ელიტა (პოლიტიკური, ინტელექტუალური, სამხედრო) ყოველთვის მიიხედავდა აჭარას თავის ისტორიულ ტერიტორიად, ხოლო მთელ დასავლეთ საქართველოს – საკუთარი გავლენის ბუნებრივ ზონად;

მეორე – თურქები თვლიან, რომ აჭარა მათ ძალით, ომის შედეგად წაართვა რუსეთმა და არა საქართველომ;

მესამე – თურქეთი ისლამურ სამყაროში აშშ-ის ერთადერთი მსხვილი სამხედრო-პოლიტიკური მოკავშირეა და აშშ თურქეთს რეკონსტრუქციის ხელშეწყობის მიზნით, რომელსაც აქვს უფლება, თავისი ზეგავლენა კავკასიაზე გავავრცელოს;

მეოთხე – ერთი მხრივ, რუსულ-ქართულმა მტრულმა ურთიერთობებმა და მეორე მხრივ, თურქეთსა და რუსეთს შორის ძალიან აქტიურმა ეკონომიკურმა თანამშრომლობამ შეიძლება საქვე მიიყვანოს რუსეთის მიერ აჭარის ავტონომიის გარანტის როლზე უარის თქმამდე და ყარსის ხელშეკრულებიდან გამოსვლამდე.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

სამეგრელოსა (ოდიშის) და აფხაზეთის ისტორიული გეოგრაფია

თ. ბერაძის მიერ „ეგრის-წყლის“ „ხელნაწერი-ლიტერატურული ხასიათის სახელწოდებად“ მიწვევის შესახებ გამოთქმული მოსაზრების მცდარობაზე მიანიშნებს საილუსტრაციო მასალა თვით სამეგრელოს პირობებიდან, სადაც მდინარეთა სახელწოდებების -ის სუფიქსით ნაწარმოები ოფიციალური ვარიანტების პარალელურ ფორმებზე დასტურდება არაოფიციალური ფორმებიც. მაგ.: აბაშისწყალი/აბაშა? წყარი, ხობისწყალი //ხობ(იშ) წყარი, ჭანისწყალი/ჭენწყარი... მაშასადამე, ვახუშტის „აღწერაში“ დამოწმებული პირობებიც – „დადისწყალი“ და „ეგრისწყალი“-ის ნათესაობითი ბრუნვის ნიშნით უნდა იყოს წარმოებული. მეგრულ-ჭანური შესატყვისი კი უნდა ყოფილიყო დადიშწყარი/დადი(ი)წყარი და ეგრისწყარი/ეგრი(?)წყარი.

გავისხენოთ ოდიშის დასავლეთი ნაწილის ვახუშტისეული აღწერა: „ამ ეგრისის ჩდილოთ დის დადის წყალი წოდებული დადის დაბის გამო. გამოდის მსვე ადმოსავლეთის კავკასია, და მოდის დასავლეთად, და მიერთვის ზღვას. ამ დადის წყლის ჩრდილოთ დის ეგრისის-წყალი“ (ვახუშტი IV, 1973: 779). ამასთანავე, ოდიშის ეპისკოპოსი „მწყემსი არს აწ დადისწყლისა და მოქვისწყლის შუათის ადგილთა“ (იქვე: 780).

თხზულებიდან ირკვევა, რომ დადისწყლის მარცხენა მხარეს მდებარე საეკლესიო-ადმინისტრაციული ერთეული წალენჯიხელი ეპისკოპოსის მფლობელობაშია.

თუკი ეგრისწყლისა და დადიშის იგივეობის თვალსაზრისს სარწმუნოდ მივიჩნევთ, ამასთანავე, ოდიშის დასავლეთი ნაწილის გეოგრაფიული ვითარების შესახებ არსებული წყაროთმცოდნეობითი მასალისა და ზემოთ დამოწმებული სხვა მასის მონაცემების დისკურსიული მსჯელობა-გაანალიზებითაც, შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ საეკლესიო პირობების („დადის მდინარის“, „დადისწყლის“) გავრცელების არეალი ენგურ-დადიშის შუამდინარეთით იფარგლება (ზემოთ ითქვა, რომ წალენჯიხელის სამწყსო ენგურის ქვემო დინების მარჯვენა მხარეს მდებარე ტერიტორიასაც მიითვლიდა).

ვახუშტის ცნობებისა და სადღესო ფიზიკურ-გეოგრაფიული მონაცემების ურთიერთშედარებით ძალაუფლებად იმ აზრისაკენ უნდა გადავიხაროთ, რომ დადის-წყალი/დადის მდინარე ორი შედარებით დიდი მდინარიდან (ერისწყალი, ოქუმი/ოხოჯე) ერთ-ერთის უწინდელი სახელწოდება უნდა ყოფილიყო.

მეტად საკულისხმოა ის გარემოება, რომ ვახუშტის დროს, XVIII ს. I ნახევარში, მდ. ოქუმის სახელწოდება უკვე ცნობილი იყო. მართალია, მას ვახუშტი არც ერთხელ არ ახსენებს, მაგრამ სამაგიეროდ კოლხი-ის (ოდიში, სამეგრელო) მდინარეებზე მსჯელობისას არქანჯელო ლამბერტი წერს: „ენგურის იქით არის ხეი (ეტი), რომელსაც სიპატარავის გამო რუკებზე არ აღნიშნავენ, თუმცა ღირსშესანიშნავია თევზის სიუხვით; ზღვას შეერთვის გაი-დასთან. ხეის იქით არის ოქუმი... ოქუმის იქით ეგრისია...“ (ლამბერტი 2011: 201).

ერწყარი ოქუმის მარცხენა შენაკადია; თუმცა „ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში“ დაბეჭდილ გალის რ-ნის სქემატურ რუკაზე მდინარე შეცდომით უშუალოდ მიერთვის შავ ზღვას (ქსე II: 24; იხ. აგრეთვე ცხადია 2004,3).

პ. ცხადიას მოსაზრებით, ლამბერტის თხზულებაში მოხსენიებული ხეი (ეტი) და მასზე დართულ, 1654 წლის რუკაზე აღნიშნული ეტი-სვარი იგივე ერთი წყარია (ცხადია 2004: 33). ერისწყალი (ერწყარი) სათავეს იღებს ერთი შიში. ასე ეწოდება ხეობას და ტყე-საძოვრებს გალისა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტების საზღვარზე.

ეგრისის ქვეყანაში ქალაქ ეგრის არსებობაზე ვახუშტიც მიუთითებს და აღნიშნავს: „ეგროს ადაშენა ქალაქი და ეწოდა ეგრი“ (ვახუშტი IV, 1973: 775); „ეგრისის მდინარესა ზედა, მთასა შინა, არს ეგრი“ (იქვე: 780). ამ ქალაქისთვის მოვიანებთ ბედი უწოდებით.

მეკლევარი ვახუშტი გოილაძე ერთ-მანეთისგან მიჯნავს „ქართლის ცხოვრებაში“ შესული ძველ ქართულ საისტორიო წყაროებში მოხსენიებულ ეგრისის ქვეყანას და მეგრულთა ეპონიმის – ეგროსის მიერ აშენებულ ქალაქ ეგრს (გოილაძე XII, 2010: 61). იგი არ იზიარებს „ეგრისს“ და

„ეგრისს“ იდენტური შინაარსის – ქვეყნის (ეგრისის) აღმნიშვნელ სახელმად მიწვევის შესახებ თ. ბერაძისა და ს. ყაუხჩიშვილის თვალსაზრისს და დასძენს, რომ „ქართლის ცხოვრების“ ტექსტი აღნიშნული სახელებების იდენტურობის საფუძველს არ იძლევა (იქვე: 61-62). ძველ ქართულ წერილობით წყაროებში დამოწმებული „ეგრისი“ დასავლურქართულ სახელმწიფოს – ეგრისს უნდა გულისხმობდეს, მაგრამ ძველი ქართული ავტორის ცნობაში („...შემდგომად მცირედთა ეამთ შევიდა არჩილიცა ეგრადე“ („ქ. ცხ.“ I, 1955: 233), ვ. გოილაძის აზრით, ეგრისის ქვეყანა არ იგულისხმება. „ქართლის ცხოვრების“ რედაქციებში შესაბამისი ტექსტები რომ განსხვავებულად იკითხება („ეგრსა შინა“, „ეგრსა“, „ეგრის“, „ეგრისს“, „ეგრისსა“), იმაზე მეტყველებს, რომ „ეგრი“ და „ეგრისი“ ტექსტში არეულია (იქვე).

მეკლევარი იმომბებს „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური თარგმანის ტექსტს, სადაც ვითხოვლობთ: ქართლის მოაზრება „მოთელი თავისი ქონება დაფლეს (დამალეს) სხვადასხვა ადგილს, რომ ისმაიტქელთ არ ენახა და გაიქცნენ ეგრისს“. მათ დადევნებულმა არაბთა სარდალმა „აიღო ციხე ეგრისა“ (აბულაძე 1953: 195; გოილაძე XII, 2010: 63). თარგმანში ცალცალკეა დასახელებული ქვეყანა „ეგრისი“ და ამ ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მდებარე „ეგრის ციხე“ (იქვე: 63). „ქართლის ცხოვრების“ ტექსტის ზოგიერთ მონაკვეთში „ეგრისს“ (ქალაქის) და „ეგრისს“ (ქვეყნის) სახელების ადრევე თვით ლეონტიდან მოდის თუ ტექსტის გვიანდელ გადაწერატაგან, ახლა ძნელი სათქმელია, მაგრამ ფაქტი ისაა, რომ ტექსტში ქალაქის და ქვეყნის სახელი ხშირად არეულია, – დასკვნის ვ. გოილაძე (იქვე: 63).

საინტერესოა მეკლევარის დაკვირვება იმ ტერიტორიის კუთვნილების შესახებ, სადაც იდგა ეგროსის სახელზე აგებული ციხე-ძველი ქართული წყაროების ცნობებით, ეს ციხე ეგრისწყლის ჩრდილოეთით მდებარეობდა. ეგრისწყალი/დადიშა ჩრდილო-დასავლეთიდან საზღვრავდა „შიდა ეგრისს“. გამოთქმულია მოსაზრება (პ. ინგოროყვა), რომ აფხაზეთსა და „შიდა ეგრისს“ შორის მდებარეობდა ეთნოგრაფიულად და ისტორიულად შიდა ეგრისთან, ხოლო ხანმოკლე დროის მანძილზე პოლიტიკურად აფხაზეთთან დაკავშირებული ბუფერული ზონა („ეგრის-წყალსა და კლისურს შუა ქვეყანა“). მისი ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი კლისურის (კორახის) კედელს („ზღუდე, საზღვარი“) გასდევდა, ჩრდილოეთით ბუნებრივ მიჯნას – ფანავის ქედს აღწევდა, ხოლო სამხრეთ-დასავლეთით შავ ზღვამდე ვრცელდებოდა. „შუა სოფლად“ წოდებული ეს ბუფერული ზონა ადრე შუა საუკუნეებში ეგრისის ნაწილს შეადგენდა და მეგრელებით იყო დასახლებული (ინგოროყვა 1954: 128-120).

ქართლიდან ლტოლვილი ერისმთავრის – სტეფანოზ II-ის ეგრშივე დაკრძალვის ფაქტს ვ. გოილაძე იმ გარემოებით ხსნის, რომ დადიშასა და კლისურას შორის ჯვავახეთის სანაცვლოდ უმცროსი ძმის – მიხაიტისაგან მიღებული ტერიტორიადანის საკუთრებას, მაშასადამე, ფარნავაზიანთა სამეფო სახლის საკუთრებას წარმოადგენდა. სწორედ ამ გარემოებით უნდა აიხსნას ქართლიდან ლტოლვილი სტეფანოზ II-ის ოჯახის ქალაქ ეგრში და არა საერთოდ ეგრისში დამკვიდრება, ხოლო სტეფანოზ II-ის გარდაცვალების შემდეგ მისი სწორედ ქალაქ ეგრში (შემდგომდროინდელ ბედიში) დაკრძალვა (გოილაძე XII, 2010: 64-66).

მოქვისა და კოდორის ხეობები

მოქვის ხეობა. სოფელი მოქვი. ეგრისწყლის შემდეგ მეცნიერები ეხება ოდიშის დასავლეთ ნაწილს, მოქვისა და კოდორის ხეობებს, რაც თანამედროვე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დანაწილებით აფხაზეთის ტერიტორიაზე მოქცეულია: „...ამ ეგრისის მდინარის დასავლეთ დის მოქვის მდინარე ჩდილოდამ სამხრით. გამოსდის კავკასს და მიერთვის ილორს ზღვას. ამ მდინარესა ზედა, მთაში, არს მოქვის ეკლესია გუმბათიანი, დიდნაგვი. ადაშენა... მეფემან აფხაზეთამან ლეონ შემოკობითა დიდითა. ზის ეპისკოპოსი, მწყემსი კოდორის მდინარისა და მოქვის მდინარის შორისის ადგილისა. არამედ ეს

მდინარე მოქვისა დის მოქუამდე ადმოსავლიდამ დასავლეთად“ (ვახუშტი IV, 1973: 780-781).

მოქვის სამონასტრო კომპლექსი მდებარეობს ოჩამჩირის მუნიციპალიტეტში, მოქვისა და მისი შენაკადის – დვების შესართავთან. ოჩამჩირეს 17 კმ-ით არის დაშორებული. მოქვიც რაიონის ტერიტორიაზე მოედინება. მდინარის სიგრძე 47 კმ-ია, აუზის ფართობი 336 კმ²-ს შეადგენს. სათავეს იღებს კოდორის ქედის სამხრეთ კალთაზე, ზ. დ. 2560 მ-ზე და სოფ. ჯუჟურის მახლობლად შეერთვის შავ ზღვას (აფხაზეთი ქსე, VII, 1984: 148). ამასთანავე, მოქვი ეწოდება სოფელსა და თემის ცენტრს მოქვის ნაპირზე. რაიონულ ცენტრს – ოჩამჩირეს 17 კმ-ითაა დაშორებული და ზ. დ. 130 მ-ზე მდებარეობს.

მოქვის დინების ვახუშტისეული აღწერა მცდარია. მდინარე ჯერ სამხრეთ-აღმოსავლეთით მიედინება, შემდეგ – ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. მოქვისწყალი აღნიშნულია კასტელის 1654 წლისა და შარდენის 1672 წლების რუკებზე.

მოქვის ტაძრის მშენებლობას, როგორც ვახუშტის ნაშრომიდან მოტანილი ციტატებიდან ჩანს, ვახუშტი აფხაზეთა მეფე ლეონ III-ის (957-967) სახელს უკავშირებს. შესაბამისად ტაძარიც ამ წლებს შორის მონაკვეთში უნდა აშენებულიყო. ჩანს, რომ მოქვე მსჯელობისას მას უსარგებლია „მატიანე ქართლისაში“ დაცული შემდეგი ცნობით: „შეიქცა ლეონ და ეუფლა მამილისა და სამეფოსა თვისსა... ამან ადაშენა ეკლესია მოქვისა და შექმნა საყდრად საეპისკოპოსოდ, აკურთხა და განასრულა ყოვლითა განგებითა“ („ქ. ცხ.“ I, 1955: 270).

ტაძრის სიმაღლე 24 მ-ია, სიგრძე – 27 მ, სიგანე – 20 მ. ეხოში, ჭიშკართან შენობის ნანგრევებია. ტაძარი შემოხუდულია მაღალი გალავნით. ძველი რთული გეგმისაა. სამნავიან ტაძარს განაპირა ნაგების გასწვრივ სამლოცველოების მქრთივი მიუყვება. აღმოსავლეთი მხარის სამი შენობი აფსიდულია შუას – საკუთხეველისა, შიგნიდან ნაღისებური ფორმა აქვს, გარედან კი ხუთწახნაგაა. შენობის ცენტრში აღმართულ ოთხ სვეტზე გუმბათია დაყრდნობილი, დაბალი, თორმეტწახნაგა ყვლით. კვადრატული გუმბათის ყელზე გადასვლა მშენებელს აფრების საშუალებით განუხორციელებია. ძველი თლილი ქვის პერანკითაა შემოიკლი. ფასადებზე ჩუქურთმები არ შეინიშნება (ხაქარაია ქსე, VII, 1984: 148).

მოქვი ერთ-ერთ მნიშვნელოვან საეკლესიო და კულტურის კერას წარმოადგენდა შუა საუკუნეების საქართველოში. აქ შემოქმედებოდა, მწიგნობრული მუშაობის ფართოდ გაშლაზე მეტყველებს ჩვენამდე მოღწეული არაერთი ხელნაწერი წიგნი. ტოპონიმი მოიხსენიება არაერთ უცხოურ და ქართულ წერილობით წყაროში. იერუსალიმელი მონაზონის, თეოდოსი განგრელის მიერ დაცულ აპოკრიფისა ვერტიკალში გვხვდება სოფ. მოქვი (გეორგიკა, IV: 50; კეკელიძე III: 307). 1654 წელს შედგენილი ოდიშის სამთავროს რუკაზე აღნიშნულია მოქვისწყალი და მის მარცხენა მხარეს – თილითი (ახლანდელი თლით-აბაბა – ნაგებობათა კომპლექსი სოფ. თხინას ერთ უბანში – აბაჟუხუში) (ბერაძე „მაცნე“, 3, 1971: 153).

1615 წლის 2 მარტს მოქვს სწევვია ფრანგი მისიონერი ლუი გრანჟე, რომელიც შენიშნავს, რომ მოქვის ცხოვრებელი მეგრელები არიან. რამდენადაც მოქვი საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში იყო, ხოლო ქრისტიანობის ენას ქართული წარმოადგენდა, მისიონერს საჭიროდ ჩაუთვლია მოქვის შემოქმედებითი, საგანმანათლებლო კერის შესასწავლად მეგრულისა და ქართულის შესწავლა. იგი არაფერს ამბობს აფხაზეთ ენაზე, რადგან მისი მოქვეში ყოფნის დროისთვის იქ აფხაზები ადარ ცხოვრობდნენ (1915: 52; გასვიანი 2011: 258).

1640 წელს მოქვი ცაიშელ ეპისკოპოს ანდრიასთან ერთად მოუხსნებლებით რუს ელჩებს – ფედოტ ელინსა და პავლე ზახარევს. საკათედრო კერის ნახვით აღტაცებული ელჩები წერდნენ: „Февраля день мы были в монастыре в Мокшенском съ епископом Ондреям да съ Максимам Того же числа в той церкви Максим епископи своимъ попомъ велель обедню служить Февраля в 9 де из Московго Монастыря от Максима епископа

пошли“ (Велокуров 1888: 325). 1659 წელს სტუმრად წვეულ იერუსალიმის პატრიარქ დოსითეოსს მოქვის საკათედრო ტაძარზე შეუნიშნავს შემდეგი წარწერა: „ტაძარი მოიხატა იმპერატორ ალექსი კომნენისა და აფხაზეთის დიდი მეფის დავითის დროს“ (გასვიანი 2011: 200).

ტაძრისადმი ეპისკოპოს ანდრია საყვარელიძის (მოღვაწეობდა XVII ს. 50-60-იან წლებში) მიერ შეწირულ დღმთისმშობლის ხატის კარვებზე ქართული ასომთავრულით შესრულებულ წარწერაში ტაძარი მოიხსენიება „მოქვს“ ფორმით: „მოვაჭვინეთ ხატი ესე სახედ და მსგავსად შენდა და დავასვენეთ ტაძარსა თქვენსა მოქვს სახსრად და საოხად სულისა ჩვენისათვის“ (თუმანიშვილი 2001: 66).

კასტელის ცნობით, „აფხაზეთის ახლოს მდებარე მოქვის საეპისკოპოსო ეკლესია ძალიან ლამაზია, შიგ მრავალი ოქროსა და ვერცხლის ხატი და სხვადასხვა წმინდანის რელიკვიაა. აქვეა სახელოვანი წამებული სტეფანეს მკლავი...“ (კასტელი 1976: 176).

ვახუშტი ცდებდა, როცა მოქვის ადგილმდებარეობას მთაში მიუთითებს. სინამდვილეში ტაძარი ვაკეზეა აგებული. არასწორია მდ. მოქვის ზღვასთან შეერთების ადგილის ვახუშტისეული ჩვენებაც. მეცნიერი მიიჩნევს, რომ მოქვი „მიერთვის ილორს ზღვას“. რეალური ვითარება სხვაგვარია: ილორში შავ ზღვას შეერთვის დალიტა, ხოლო ილორიდან ჩრდილო-დასავლეთით, მოქვის ზღვაში შესართავამდე საკმაო მანძილია (ზუხუბაია 2000: 13).

კოდორის ხეობის ვახუშტისეული აღწერა ლაკონური, მაგრამ შეიცავს ზოგიერთ უზუსტობასაც: „...მოქვის მდინარის დასავლეთ დის კოდორის მდინარე. ამ წყალზედ არს ეკლესია დრანდას, მთაში, გუმბათიანი, შუენიერი, დიდშენი. ზის ეპისკოპოსი, მწყემსი კოდორსა და ანაკოფიის შორისისა ადგილთა. არამედ აწ აფხაზეთაგან არღარა არიან ორთა ამთ შინა ეპისკოპოსნი. გარნა მდინარე კოდორი დრანდამდის დის აღმოსავლიდამ დასავლეთად, გამომდინარე კავკასიიდან, და დრანდიდამ ზღვამდე დის ჩდილოდამ სამხრით. მოიგო სახელი დაბის კოდორისაგან, რომელი არს დრანდას ზეით, ამ წყალზედ, მთაში“ (ვახუშტი IV, 1973).

კოდორის დინების მიმართულება „აღმოსავლიდამ დასავლეთად“ ახლანდელი გულრიფშის მუნიციპალიტეტის სოფ. ამზარამდეა და არა დრანდამდე. ამზარიდან მდინარე სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით მიედინება და სოფ. აძიუბას სამხრეთით, კოდორის კონცხთან შეერთვის შავ ზღვას. კოდორი თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე ყველაზე დიდი მდინარეა, რაც წარმოიქმნება ორი მდინარის – გვანდრისა და საკნის სოფ. მარცხენა გენწვიშთან შეერთებით. სათავეს იღებს კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის სამხრეთ კალთაზე, ზ. დ. 740 მ-ზე. მდინარის სიგრძე გვანდრის სათავიდან 110 კმ-ია, უშუალოდ კოდორად სახელდებული მონაკვეთისა – 84 კმ. აუზის ფართობი 2030 კმ²-ს შეადგენს. კოდორის უმთავრესი შენაკადებია ჩხალთა, მრამბა, ჯამპალა ამტყველი და სხვ. (აფხაზეთი ქსე, V, 1980: 570).

კოდორის აუზის ქვემო ნაწილი (ტერასისებური ხეობით) კოდორის დაბლობში შედის, უმეტესი, ხეობა ნაწილი კი, მასში შემავალი ძირითადი ოროგრაფიული ერთეულებით (მთავარი წყალგამყოფი ქედი, ჩხალთისა და კოდორის (ფანავის) გამყოფი ქედები, ჩხალთა-საკნის გასწვრივი ხეობა, საკუთრივ კოდორის ხეობა), კავკასიონის მთიანეთის შემადგენელი ნაწილია (მარუა-შვილი XIV, 1961: 3).

ვახუშტი შენიშნავს, რომ კოდორმა „მოიგო სახელი დაბის კოდორისაგან, რომელი არს დრანდას ზეით, ამ წყალზედ, მთაში“. მაშასადამე, დაბის სახელი დარქმეულია მდინარეს. კოდორის სახელწოდებით დასახლებული პუნქტი აქამდე კოდორის ხეობის მთიან ნაწილში არ გვხვდება. პ. ინგოროყვამ გამოთქვა მოსაზრება, რომ ვახუშტისეული დაბა კოდორი უნდა შესაბამებოდეს ანასტასი აპოკრიფისა ვერტიკალში მოხსენიებულ სკოტორის ციხეს (ინგოროყვა 1954: 156; გეორგიკა IV, 1941: 42-43, შენიშვნა 4; კეკელიძე VII: 31; ბერაძე სიგ. IV, 1971: 65; მუსხელიშვილი I, 1977: 119).

იბორ კეკელია, (გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ირაკლი ალასანია, ნიკა რურუა და დავით ბაქრაძე ახალ კოალიციას შექმნიან?!

(ხომ გეუბნებოდით, ნაციონალია-მეთქი)



“დავით ბაქრაძე და ირაკლი ალასანია არა მხოლოდ პროდასავლური თვალსაზრისით, პოლიტიკური იდეოლოგიითაც ერთმანეთთან საკმაოდ ახლოს არიან.”

რაც შეეხება “ნაციონალურ მოძრაობას”, აქ დიდი ხანია მიხეილ სააკაშვილი პარტიისგან დამოუკიდებელ თამაშს თამაშობს, პარტიის მართვის სადავეები კი, ხელში გიგა ბოკერიამ აიღო.

ოპოზიციურ ფლანგზე სტანდარტული, სავარაუდოდ, გასაზრუნველზე დასრულებული და ძალაუფლების გარეშე დარჩენილი პარტიები მმართველი კოალიციის ჩასანაცვლებლად მომზადებას აქტიურად დაიწყებენ. მაგალითად, “თავისუფალი დემოკრატები” ხელისუფლებას უკვე დაემუქრნენ და 2016 წლის არჩევნებში, მთავარ მიზნად მმართველ გუნდთან პაექრობაში “გადამწყვეტი გოლის გატანა” დაასახელეს, თუმცა თავდაცვის ყოფილი მინისტრი მთავარ პოლიტიკურ თემად დარჩენას 2015 წელსაც აანონსებს. დიდი ალბათობით, “თავისუფალი დემოკრატების” არც ისე მაღალი რეიტინგის გამო, უკვე ყოფილი სახელისუფლო პარტია ახალი, პროდასავლური კოალიციის შექმნას შეეცდება. საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, ხელისუფლების ცვლილებისთანავე ითქვამს, რომ ირაკლი ალასანია კოალიციას პირველი დატოვებდა და მესამე პოლიტიკურ ცენტრს ასევე პროდასავლურ ჯგუფთან, საზოგადოებრივ ორგანიზაცია “ივერიასთან” შექმნიდა.

შეგახსენებთ, საზოგადოებრივი ორგანიზაცია “ივერია” ნიკა რურუამ, მამუკა გამყრელიძემ, გრიგოლ ვაშაძემ და ყოფილი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებმა დააფუძნეს, რომლებიც აცხადებენ, რომ პარტია “ნაციონალური მოძრაობის” წევრები არასოდეს ყოფილან. გარდა პოლიტიკური კურსისა, ირაკლი ალასანიასა და ნიკა რურუას დიდი ხნის მეგობრობა, ჯერ კიდევ 90-იანი წლებიდან აკავშირებთ. ორივე მათგანი საჯარო ინტერვიუებში ადასტურებს, რომ ერთმანეთთან დღემდე საკმაოდ კარგი ურთიერთობა აქვთ. “წინასწარმეტყველება” სანახევროდ უკვე ახდა!

ირაკლი ალასანიას კიდევ ერთი პოლიტიკოსი მეგობარი, ნაციონალური მოძრაობის ლიდერი დავით ბაქრაძეა. თავდაცვის ყოფილი მინისტრი და პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე, ჯერ კიდევ შეგარდნაძის მმართველობის დროს, საგარეო საქმეთა სამინისტროში თანამშრომლები იყვნენ და ერთ-ერთ დეპარტამენტს ხელმძღვანელობდნენ. თანაც, დიდი ხანია თავად დავით ბაქრაძესაც ნაციონალური მოძრაობის დატოვება სურს. როგორც ამბობენ, ეს გადაწყვეტილება მან ჯერ კიდევ საპრეზიდენტო არჩევნებამდე მიიღო, მაგრამ საბოლოოდ, დიდი ხნის ფიქრის შემდეგ, გუნდის თხოვნას და გიორგი მარგველაშვილის ოპონენტობას დათანხმდა. ამ გარემოებებიდან გამომდინარე, არ არის გამორიცხული მესამე პოლიტიკურ ცენტრად ირაკლი ალასანიას, დავით ბაქრაძისა და ნიკა რურუას პოლიტიკური სამეული შეიკრას.

რაც შეეხება “ნაციონალურ მოძრაობას”, დიდი ხანია მიხეილ სააკაშვილი პარტიისგან დამოუკიდებელ თამაშს თამაშობს, პარტიის მართვის სადავეები კი, ხელში გიგა ბოკერიამ აიღო. პარტიის შედარებით ახალი სახეები დღემდე ვერ ახერხებენ ძველი და საზოგადოებისთვის ოდიოზური თანაპარტიელების ჩანაცვლებას, რის გამოც, დიდი ალბათობით, სხვა პოლიტიკური პლატფორმის პოვნას შეეცდებიან. ბოლო პერიოდში, სავარაუდოდ, სწორედ ამ პროცესის შესახებ უნდა აანონსებს მიხეილ სააკაშვილი თითქმის ყველა გამოსვლაში მეორე რეჟიმის – არ სურს შიდა დაპირისპირება საჯარო განხილვების თემა გახდეს და მითი “ნაციონალური მოძრაობის” “ერთ გუნდად” შეკვრის შესახებ დაიმსხვრეს.

ამ ფონზე, არასაპარლამენტო ოპოზიციას ისეა დარჩენილი ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები მოითხოვოს, რომლის დანიშნავც სულ უფრო და უფრო რეალური ხდება, თუმცა ამისგან რა ხეირს შეიძლება ელოდონ ეს პარტიები, როდესაც სათქმელია... მათ თვითმმართველობის არჩევნების წინ გაერთიანებაც ვერ შეძლეს და ნაკლებად სავარაუდოა, ეს მომავალშიც მოახერხონ. სავარაუდოდ, არასაპარლამენტო ოპოზიციას დიდი პოლიტიკური ცვლილებები არ “ემუქრება”.

ირაკლი ალასანიას, ნიკა რურუასა და დავით ბაქრაძის საერთო პოლიტიკურ იდეოლოგიაზე ლაპარაკობს ექსპერტი კახა გოგოლაშვილიც, რომელიც ახალ პროდასავლურ კოალიციაში “ნაციონალური მოძრაობის” სხვა წევრების გაერთიანებას არ გამოირიცხავს:

– ფაქტია, საზოგადოებაში ახალი პროდასავლური კოალიციის ჩამოყალიბების მოთხოვნა გაჩნდა – “ნაციონალური მოძრაობა” ამ მოვალეობას ვერ ასრულებს და ვერც მომავალში შეასრულებს, რადგან ხელისუფლებაში ყოფნისას პარტიამ უამრავი შეცდომა დაუშვა. თუმცა საკითხავია, კოალიციის ჩამოსაყალიბებლად მხოლოდ პროდასავლური კურსი რამდენად საკმარისია?! ქვეყნის მართვაში სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორებიც მონაწილეობენ. დავით ბაქრაძე და ირაკლი ალასანია არამხოლოდ პროდასავლური თვალსაზრისით, პოლიტიკური იდეოლოგიითაც ერთმანეთთან საკმაოდ ახლოს არიან. ამ ორ პოლიტიკოსს შორის განსხვავებას ვერ ვხვდავ. იგივე შეიძლება ითქვას ნიკა რურუაზე. მართალია, 90-იანი წლების გამო მისთან შესაძლოა კითხვები არსებობს, მაგრამ რურუაც ბაქრაძისა და ალასანიას ტიპაჟის პოლიტიკოსს სრულად შეესაბამება. ამ სამი პოლიტიკოსის გარდა, “ნაციონალურ მოძრაობაში” კიდევ ბევრი ლიდერი მეგობრები, რომლებსაც წინა ხელისუფლებიდან მანკიერი თვისებები არ გადმოყოფილია. მათ მიმართ არც საზოგადოება უარყოფითად განწყობილი. “ნაციონალურ მოძრაობაში” არიან პოლიტიკოსები, რომლებსაც შეუძლიათ პოლიტიკური მოღვაწეობა სხვა პარტიებთან ალიანსში წარმატებით გააგრძელონ.

რ. შელია
გაზეთ “ილორის” კომენტარი: ამრიგად, ირაკლი ალასანიამ სრულიად გაფანტა მისი პოლიტიკური ორიენტაციის მიმართ აღძრული ეჭვები და საბოლოოდ დაადასტურა, რომ მისი სიმპატიები ყოველთვის ეკუთვნოდა ავადსახსენებელ ნაციონალებს. იცის რა, რომ დამოუკიდებლად არჩევნებში მონაწილეობის მიღების შემთხვევაში მას საკუთარი ოჯახის წევრების გარდა ხმას არავინ მისცემს, ახლა ცდილობს თუნდაც ყოფილი ნაციების პოლიტიკურ ტრამპის შეახტეს და როგორმე გაძვრეს მომდევნო მოწვევის პარლამენტში.

სწორედ ამას ნათქვამი: მკვდარი მკვდარს აკიდა – სამარემდე მიმიყვანო...

“პროკურატურაში ბახმაშრებული საქმიანობის დაბლოკვაში ფულს იღებდნენ”

“ქურასბედიანმა პირდაპირ მითხრა, ეს საქმე პროკურატურაში ლაშა ნაცვლიშვილთან გვაქვს “გაიანსებულო”...”

ხელისუფლების შეცვლის შემდეგ პროკურატურას ასობით ბიზნესმენმა მიმართა, რომლებიც აცხადებენ, რომ ბიზნესტერორის მსხვერპლი გახდნენ და ქონება ყოფილმა მაღალჩინოსნებმა თუ მათთან დაახლოებულმა პირებმა იძულებით დაათმობინეს. თუმცა, ექსპერტთა აზრით, ამ კუთხით სამართლიანობის აღდგენა ჭიანჭურდება. შემოსხენებულ ბიზნესმენტა შორის არის ბესო ხარძიაძეც, რომელიც კომპლექს “კუს ტბის” წილის დაბრუნებას სასამართლო გზით ცდილობს.

ბესო ხარძიაძე: – 2011 წლის 16 თებერვალს დამაკავეს გმირთა მოედანზე, ჩამიდეს ნარკოტიკული საშუალება, პირშიც ჩამაყარეს ნარკოტიკი და გლდანის ციხეში გამაწყვეს. ჩემი სიცოცხლისა და თავისუფლების სანაცვლოდ, ჩემს ოჯახს წილის დათმობა აიძულეს (მინდობილობა ოჯახის წევრებზე მქონდა გაფორმებული). წინა ხელისუფლების მთავარი ზონდერი ვიყავი უდესიანის ჩემს დას 5-6-ჯერ შეხვდა, ჩემს ძმას კი სცემდა. ამ ყველაფერს წინ უძღოდა ციხეში ჩემზე ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ზემოქმედება. მოკლედ, იძულებით დამათმობინეს კომპლექს “კუს ტბის” აქციები. რა თქმა უნდა, მომატყვეს, არ გამათავისუფლეს და 2 წელი გავატარე პატიმრობაში. რომ არა ახალი ხელისუფლება, ალბათ, ცოცხალიც არ ვიქნებოდი. დათა ახალია-ვია უდესიანის ბინძურ ტანდემს შევეწირე და დღეს “კუს ტბის” აქციების 43% ზადრი ქურასბედიანისა და ვია უდესიანის ხელშია. ეს ადამიანები ამოეფარნენ კომპანიას ოფ-

შორში, რომელიც “უღმამო სერვისის” სახელით არის დარეგისტრირებული. სანამ ეს ამბები მოხდებოდა, 5 მილიონი გადაამხადეინეს, იმ პირობით, რომ “კუს ტბის” თათბარზე არ შემეხებოდნენ. ასევე, შემომთავაზეს პარლამენტარობა და მთხოვეს კენჭი მეყარა, რაზეც უარი ვუთხარი. ასევე, მთავაზობდნენ სხვისთვის წართმეულ ბიზნესებს, მაგ. “ქინვალკესი” უნდა წაერთმიათ ბიზნესმენ ჭიჭინაძისთვის და ჩემთვის გადმოეცათ, ამაზეც არ დავთანხმდი. მოკლედ, არ ვიყავი “მათიანი” და ამიტომაც დამსაჯეს. სხვათა შორის, “კუს ტბის” ირგვლივ განვითარებულ მოვლენებში უდესიანის თანამზრახველი იყო მხედრიონელი ირაკლი შიხიაშვილი – საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარე და ვეტერანთა დეპარტამენტის ამჟამინდელი უფროსი. შიხიაშვილი ცდილობდა, “კუს ტბა” არაბებზე გაეყიდა, მაგრამ ვერ მოახერხა.

საკრებულოს არჩევნების წინ შიხიაშვილი ცდილობდა, რომ “ქართული ოცნების” საარჩევნო სიაში მეხუთე ნომრად სააკაშვილის ხელისუფლების მთავარი ზონდერი ვიყავი უდესიანი ჩაესვა. თუმცა, კახაკლამდ დროზე მიიღო ზომები და ეს ამბავი დაბლოკა...

უკანონოდ ჩამორთმეულ ქონებასთან დაკავშირებით საქალაქო სასამართლოში პროცესი მოვიგე, საქმის განხილვა სააპელაციომ დაიწყო. სანამ უხენავს სასამართლოშიც არ მოვიგებ პროცესს, გამარჯვებაზე ლაპარაკი ნაადრევია, თუმცა, ისეთი პირი უჩანს, რომ ასეც იქნება. მაგრამ მე სხვა რამ მაინტერესებს: პროკურატურა ძალიან ნელი ტემპით – ზუსტად ორი წელია იძიებს ჩემს საქმეს. როგორც გავიგე, ჩემს

საქმეს ნამდვილად ბლოკდნენ პროკურატურაში.

– ვინ ბლოკავდა თქვენს საქმეს?

– ვინ და, მთავარი პროკურორის ყოფილი მოადგილე ლაშა ნაცვლიშვილი. იგი თავის დროზე შეხვდა ვია უდესიანს და ამის შემდეგ საქმე თაროზე შემოღო, გამოძიება შეაჩერა. ნაცვლიშვილი პროკურატურიდან იმის გამო გაუშვეს, რომ როგორც პროკურორი კი არა, როგორც ჩამწყობი, ისე იქცეოდა. მე მას ვუბედი, მაგრამ მემალეობდა. როცა ქურასბედიანს შეხვდით, პირდაპირ მითხრა, ეს საქმე პროკურატურაში ლაშა ნაცვლიშვილთან გვაქვს “გაიანსებულო”...

რადგან ლაშა არ შემეხვდა, მისი სიმამრი ვნახე და ვუთხარი, შენს სიძეს ხელს ადებენ იმაში, რომ ფული აიღო და ჩემი საქმე გადადმო-მეთქი...

ჩემს წინააღმდეგ უდესიანის მოკავშირე იყო პროკურატურის კიდევ ერთი ყოფილი მაღალჩინოსანი დავით ჩხატარაშვილი. ლაშა ნაცვლიშვილი, მინიმუმ, უნდა დააკითხოს პროკურატურამ და შესაძლოა, საქმე მის დაკავებამდეც მივიდეს. მაქვს ინფორმაცია, რომ პროკურატურაში ნაცვლიშვილი და შესაძლოა, ერთი-ორი ადამიანი, გახმაურებული საქმიანობის დაბლოკვაში ფულს იღებდნენ. ისე, დღესაც ვეძებ ლაშა ნაცვლიშვილს, არ ვიტყვი უარს მასთან შეხვედრაზე, რათა პირადად მისგან მოვისმინო – რატომ გაკვირვდა ჩემი საქმის გამოძიება. სად არის გაუჩინარებული, არ ვიცი...

დიმიტრი ლორთქიფანიძე, უფლებადამცველი: – ფინანსური პოლიცია, რომელსაც ოთარ ფარცხაღაძე ხელმძღვანელობდა,

ნაცვლიშვილისგან იღებდა სიტყვიერ თუ წერილობით მითითებებს. ასევე, დანამდვილებით შემიძლია ვითხრაო, რომ ფარცხაღაძესა და ლაშა ნაცვლიშვილს შორის გარკვეული საქმიანი ურთიერთობები არსებობდა. იყო თუ არა ეს დაკავშირებული შევიწროებული ბიზნესმენების ინტერესებთან, ამაზე ალბათ, პასუხი კომპეტენტურმა ორგანიზებამ უნდა გასცენ...

ნაცვლიშვილის თანამდებობიდან გადადგომის შემდეგ დაიძრა ბევრი საქმე, მათ შორის კეხერაშვილის, უგულავას, მერაბიშვილის საქმეები, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში შემოდებულ იყო თაროზე და საქართველოს პროკურატურა არ ჩქარობდა გამოძიების დაწყებას.

ჩვენ დაგუჯავშირდით მთავარი პროკურორის ყოფილ მოადგილეს ლაშა ნაცვლიშვილს, რომელიც მცირე კომენტარით შემოიფარგლა: – ჯერ ერთი, გეტყვით, რომ მე საქართველოდან არსად წავსულვარ, მხოლოდ გასულ ახალ წელს გავემგზავრე შეიღებულ შევიცარიაში, სადაც ისინი ცხოვრობენ. მეორეც, არც ინტერვიუს ვიძლევი და არც კომენტარს. გეტყვით მხოლოდ იმას, რომ ჩემ მიმართ ავორებული ბრალდებები სისულელე და უსინდისობაა. კაცის სახედაკარგულ, ორდობის ჭორიკანად ქცეული ცილისმწამებლების უსინდისო ნაბოღარზე კომენტარი საკუთარი დირსების შემლახვად ქმედებად მიმაჩნია. რადგან ისინი მაინც ხომ უნდა იყოს ახლოს ბრალდება, კომენტარის დირსად რომ ჩავთვალო? ასევე, ვიტყვი, – ქვეყნიდან ჩემს გაუჩინარებას ვერავინ ეღიბება!

„კავკასიური ბაზაზული“ – საქართველოში, სომხეთსა და უკრაინაში სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ არის აუზი



საქართველოში დაიწყო ტერაქტების მორიგი სერია, რომელიც წინ უძღვის სახელმწიფო გადატრიალებას. სოფელ ყარაფილაში – იური ვაზაგაშვილის და ქ. გიუმრისში (სომხეთი) ავეტისიანების ოჯახის მკვლელობით საქმე არ დასრულდება. დიდ ალბათობით, უკრაინაში პრეზიდენტ პროშენკოს 2015 წლის თებერვლის ბოლოს ჩამოაგდებენ, როცა კიევში მაიდანის წლისთავის აღნიშვნას დაიწყებენ. პროშენკო აშშ-თვის ხელსაყრელი არ არის უკრაინაში რფ-ის ელჩ ზურაბოვთან თავისი კარგი ურთიერთობებისა და მოსკოვში ძველი კავშირების გამო, რომელიც მან უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრობისა და იმერეთის სახელმწიფო უწყაროების დასრულების და თავისი ბიზნესით დაკავების სურვილის გამო, ამიტომ მას დაამხოვს იაცენი უკ-კოლომოსი კი-ტურჩინოვის სამხედრო შს მინისტრი ავაკოვის დახმარებით.

პრემიერი დარბაზში კი აშშ-ს არ აწვობს, რადგან მას სურვილი არ აქვს ეომოს რუსეთს უკრაინაში; ასევე, მცირე, მაგრამ მაინც მიღწევების გამო რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში – მინერალური წყლების, ღვინისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტი, სავიზო რეჟიმისა და ავტოგადაზიდვების წესების შემსუბუქება; საქართველოში რუსული ბიზნესისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნის გამო, განსაკუთრებით – ენერჯეტიკის სფეროში; იმის გამო, რომ საქართველოს არ შეუერთდა დასავლეთის ეკონომიკურ სანქციებს რუსეთის წინააღმდეგ; იმის გამო, რომ მან „ნაციონალების“ და სააკაშვილის დევნა დაიწყო, მიუხედავად აშშ-ის მხრიდან არაერთი გაფრთხილებისა. ამიტომ მას ჩამოაგდებენ ალასანია-საკაშვილი-უსუფაშვილის სამხედრო პრეზიდენტ მარგველაშვილის ხელშეწყობით.

ამერიკას ეშინია, რომ საქართველო ნეიტრალური გახდება, ამერიკისთვის საკმარისი არაა, საქართველო პროამერიკული იყოს, ამერიკისთვის აუცილებელია, რომ საქართველო ანტირუსული იყოს!

არავითარი თავისუფალი სავიზო რეჟიმი ევროკავშირსა და აშშ-თან საქართველოს არ ედირსება – დასავლეთში ჩვენ მაღალი ტერორისტული საფრთხის შემცველ ქვეყნად მიგანიჭვართ და ვაზაგაშვილის წინააღმდეგ განხორციელებულმა ტერაქტმა ეს აზრი მათ კიდევ უფრო განუმტკიცა. მით უფრო, ვერ ვეძივით ევროკავშირისა და ნატოს წევრობას, რომლის გამოც სააკაშვილმა და ალასანიამ, საქართველოში

ნატოს საწვრთნელი ბაზების განთავსებაზე საუბრებით, აიძულეს რუსეთი, თავისი მფარველობის ქვეშ მოექცია აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი.

„მე ვარ შარლი“- გაპყვიროდნენ ევროქართველები თბილისსა და პარიზში, სადაც შეხმატებულად გაფრინდნენ „სოლიდარობის მარშზე“. თუმცა, როდესაც თბილისში ტერაქტები სისტემატურ ხასიათს მიიღებს, როცა პანკისმა დაბრუნდებიან ბოვეიკები სირიიდან, შარლისთვის აღარ გვეცხვლება...

„დიდება გმირებს – ქართველებს, რომლებიც სამშობლოს უკრაინაში იცავენ!“ – გაპყვირიან ქართველი რუსოფობები, რომლებიც მთელი პარლამენტი და „ნაციონალიზმი, საგარეო საქმეთა სამინისტროთი და „თავისუფალი ზონით“ უკრაინაში გაფრინდნენ – რათა თან ხლებოდნენ „ტვირთი 200“-ს თბილისში... სადაც მათ ეროვნული გმირებით ასაფლავენ – მთავარი ტაძრებიდან, სადაც აუცილებლად იმყოფება აშშ-ის ელჩი საქართველოში. ჩვენ კი მორიდებით არ ვეკითხებით – რა ესაქმება რიჩარდ ნორლანდს მართლმადიდებელ ეკლესიაში?! გვეშინია ვიკითხოთ – როგორ შეიძლება იბრძოდო საქართველოსთვის უკრაინაში?! ნუთუ რუსებს ცოცხალი ძალისა და იარაღის რესურსი უფრო ადრე გამოეღვათ, ვიდრე უკრაინელებსა და ქართველებს, რომლებსაც გამარჯვების გემო 1945 წლის მაისის შედეგ დაავიწყდათ?!

თუკი ასეთი „პატრიოტი“ ხარ, განა საქართველოს არ აქვს დაკარგული ტერიტორიები შენი კერპის – მთავარსარდალი სააკაშვილის წყალობით?! გადი ტყეში, დაიწვე პარტიზანული ბრძოლა საქართველოში, დახოცე აფხაზები და ოსები, ნუ მოკვდები დაქირავებულ მებრძოლად დონეცის აეროპორტში დოლარების გამო!

მიდი, დახოცე რუსები, რომლებთან მხარდამხარაც დაამარცხე პიტლერი და რომელთა წყალობითაც დღეს შენი სამშობლო – საქართველო არსებობს! დახოცე რუსები, რომელთა წყალობითაც შენს შვილებს არ ყიდულობს სპარსი პარემში თავშესაქცევად! სამაგიეროდ, დღეს, რუსების გარეშე, ჩვენი ცოლები მათთვის საკუთარი ნებით მუშაობენ...

„ულვაშა ქართველი“ – წავიდა ის დრო, როცა ეს რაინდობისა და პატიოსნების ეტალონი იყო, დღეს ხომ თავმოყვარეობადაკარგული „USA გეორგიანელები“ გაპყვირიან: „აფხაზები და ოსები ჩვენი მძევი არიან! მოდი ჩვენთან, ეკონომიკურად მიმზიდველებთან, ჩვენი მეშვეობით ევროპასა და აშშ-ზე გასასვლელს მიიღებთ!“ მაგრამ როცა აფხაზი მძევი თავად გავიდნენ ევროპაზე და საკუთარი პატარა სტენდი გახსნეს „მწვანე გამოყვანაზე“ ბერლინში და უწოდეს მას „გაზაბაზისად“ – „აფხაზეთი“, ჩვენ სამარცხვინო სკანდალი მოვაწყვეთ, რითიც უკიდურესად გაგაკვირვებთ ორგანიზატორები! რადგან, მაგალითად, თავისი ღვინით ან თეთნაბადი კულტურით სახელგანთქმული საფრანგეთის, იტალიისა და ესპანეთის პროვინციები ხშირად არიან წარმოდგენილი ცალკე სტენდებით...

საქართველოში ჯერ კიდევ ცოცხლობს

საკაშვილის ტრადიციები შპიონაჟის კუთხით.

ნუ გაგიკვირდებათ, პატივცემულო მკითხველო, თუ ხვალ საქართველოში გამოაცხადებენ, რომ იური ვაზაგაშვილის მკვლელობა „კრემლის აგენტი“ იყო, ეროვნებით – ოსი ცხინვალის რეგიონიდან, ანდა პოლკოვნიკი ფორცხალავა „გერეუ“-ს დაგვადლებთ მოქმედება. საქართველოს მთელი ხელისუფლება – ოპოზიცია და უმრავლესობა – ხომ უწინდებურად ერთიანია თავის აშკარა რუსოფობიაში. ჭორებს „კრემლის ხელის“ შესახებ ამ ტერაქტში ავრცელებენ თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე სესიაშვილი, საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე ჯაფარიძე, ბერუაშვილის ქვეშევრდომები, ალასანიას პარლამენტარები, უსუფაშვილის რესპუბლიკელები და თვით „ნაციონალებს“ მიკედლებული საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი ქუცნაშვილიც. ეს უკვე ოფიციალურად შემდგარი ტრადიციაა, რომელიც აშკარად გამოხატავს სააკაშვილის საგარეო პოლიტიკური კურსის მხარდაჭერას და შემდგომში საკუთარ თავს ხელისუფლებაში ხედავს „ნაციონალიზმთან“ ერთად.

2015 წლის 20 იანვარს საქართველოში დასრულდა „ქართული ოცნება“ და დაიწყო „ნაციონალების კონცია“.

როცა სსსრკ-ში არ კმაროდა ძეხვი, ხალხი ამბობდა – არა უშავს, ოღონდ ომი ნუ იქნება... როცა საქართველოში ახალმა ხელისუფლებამ არ შესრულა არცერთი წინასაარჩევნო დაპირება, ხალხი ამბობდა – არა უშავს, სამაგიეროდ, არ გვხოცავენ ქუჩაში, როგორც სააკაშვილის დროს! ამბობდა 2015 წლის 20 იანვრამდე, სანამ არ მოკლეს იური ვაზაგაშვილი – უნებლიე უფლებადამცველი, რომელმაც მთელი ცხორება სააკაშვილის რეჟიმთან ბრძოლას შეაღწია, თუმცა სამართალს ვერ მიიღო ივანიშვილის ხელისუფლების დროსაც, რომლისთვისაც საქართველოს მოქალაქეობის დასაბრუნებლად 300 000 ხელმოწერა შეაგროვა.

მმართველ პარტია „ქართულ ოცნებას“ ბოლო მთელი, თუმცა იმავდროულად, საქართველოში დაიწყო „კონცია“, ანუ ცისფერ ელფერიანი გლობალისტური ლიბერტარიანული ძალების დასასრული, რომელთა კერპებსაც ტრანსვესტიტი ვურსი და მიხილი სააკაშვილი წარმოადგენენ.

ასე უსახელოდ დასრულდა საქართველოს უახლესი ისტორიის ეს მოკლე ეტაპი სახელმწიფოებრივ „ივანიშვილის პატივისცემით“ – როცა ქართველი ხალხი, ბატონი ბიძინას პატივისცემით, ითმენდა მის „პატარა ცვექობებს“ – პრეზიდენტ მარგველაშვილსა და სპიკერ უსუფაშვილს, მინისტრებს – ალასანიასა და ფანჯიკიძეს, მთავარ მოსამართლე კუბლაშვილსა და მთავარ პროკურორ კბილაშვილს, მინისტრებს – პეტრიაშვილს, „საქრეიშვილს“ და იმ ათს, რომლებიც იძულებით გაათავისუფლა დარბაზში; ითმენდა ვირტუალურ პარტია „ქართულ ოცნებას“, რომელმაც სამჯერ მოატყუა თავისი ელექტორატი – საპარლამენტო, საპრეზიდენტო და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში

– დასაქმებით; ითმენდა საპარლამენტო უმრავლესობას, რომელიც უმეტესად დაკომპლექტებული იყო გამოდევნილი ფარისეველი პოლიტიკური პროსტიტუტებით; ითმენდა შარაძისა და ჟვანიას, ვაზაგაშვილისა და რობაქიძის, გირგვლიანისა და თეთრადის მკვლელობის საქმეების „დახურვას“ და სოროსის, NDI-სა და IRI-ს „ენ-ჯე-ოების“ გახსნილ თარეშს; ითმენდა ახალი ხელისუფლების ნეოტიზმსა და ბავშვების გამრყენელ ტელეშოუებს ქართული ტელევიზიების ყველა არხზე, მათ შორის, მშვიერი ხალხის ფულით მთარსებუ „საზოგადოებრივ მაუწყებელზე“...

ითმენდა „ნაციონალებთან“ კოპაბიტაციას, რომელიც დღეს დასრულდა მხოლოდ იმიტომ, რომ „ნაციონალებს“ ის მეტად აღარ სჭირდებოდათ და თავად გადავიდნენ იურიშზე! შსს, პროკურატურა და სასამართლოები საქართველოში უწინდებურად სააკაშვილის კადრებით არის დაკომპლექტებული, რომლისაც სამარემდე დავალებული დარჩებიან. მოსამართლის მანტიანი და პოლიციის სამხრეებიანი მაქციები დაუინებოთ მუშაობენ მიშასა და „ნაციონალების“ ხელისუფლებაში დასაბრუნებლად, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში მათ მხოლოდ ციხის გისოსები ელოდებოდათ...

საქინფორმი

გაზეთ „ილოროს“ კომენტარი: ერთ-ერთ სურათზე გამოსახულია ამერიკულ დროშაში გახვეული ვილაც ნაცდაშნაების მფორა და დამცველი უზნეო ფანატიკოსი ომარ მაგრაქველიძე, რომელიც ხმის ჩახლენამდე იცავს საქართველოში მკვლელებს და შნაეის სააკაშვილისა და ასევე უზნეო ამერიკელების ინტერესებს, რისთვისაც იგი, როგორც ერთგული ეგშია, ამერიკელებმა დააჯილდოვეს აშშ-ში ჩასვლის ათწლიანი ვიზით. სწორედ ამაზეა ნათქვამი: „მაღლი შინ არ ვარგოდა და სანადიროდ გარბოდაო“!

როგორც ხედავთ, მუდამ სხვა სახელწოდების პარცვაში გაწაფულ ამერიკელებს საქართველოში დაუნი მაგრაქველიძისა და მკვლელები ნაცების მეტი სხვა დასაყრდენი არ გააჩნია. ამიტომ, გარდაუვალია, რომ იანკები და მათი ამფსონი ნაციონალი და შნაეები მალე სრულიად ამოიკვეთენ ფეხს საქართველოდან!



დაპირისპირება ზუგდიდში აქციის მონაწილეებსა და სამართალდამცველებს შორის

ზუგდიდში, სადაც ბაჩო ახალაიას წიგნის პრეზენტაცია გააპროტესტეს, აქციის მონაწილეებსა და სამართალდამცველებს შორის დაპირისპირება მოხდა. ამის შესახებ ინფორმაციას ტელეკომპანია „იმედი“ ავრცელებს. მათივე ინფორმაციით, შემთხვევის შედეგად, არიან დაშავებულებიც, მათ შორის პოლიციელი. წინასწარი ინფორმაციით, დაპირისპირების შედეგად, დაკავებულია აქციის ორი მონაწილე. საპროტესტო აქცია ბაჩო ახალაიას წიგნის „სოხუმი – ჩემი იერუსალიმი“-ს პრეზენტაციის პარალელურად გაიმართა. აქციის მონაწილეებმა რამდენ-

ჯერმე სცადეს პოლიციის კორდონის გარღვევა და იმ შენობაში შეჭრა, სადაც წიგნის პრეზენტაცია მიმდინარეობდა. პოლიციამ მათ შენობასთან მიახლოების საშუალება არ მისცა, რამაც სამართალდამცველებსა და აქციის მონაწილეებს შორის დაპირისპირება გამოიწვია. ბაჩო ახალაიას წიგნთან დაკავშირებით კი ერთი ანეკდოტი გაჩნდა: ერთი ზუგდიდელი ეკითხება მეორე ზუგდიდელს: – რატომ ჩაიშალა ბაჩო ახალაიას წიგნის პრეზენტაცია? – ავტორმა მოუცვლელობის გამო ჩამოსვლა ვერ მოახერხა!

81 წლის მარტოხელა ბათობის ბარეში

ზუგდიდში, ფაიფურის დასახლებაში, ძველ, მიტოვებულ საბავშვო ბაღის შენობის ერთ ოთახში ცხოვრობს სოხუმიდან დევნილი, 40 წლიანი მასწავლებლის სტაჟის მქონე 81 წლის მარტოხელა ქუდა სახეიშვილი. სახეიშვილის საცხოვრებელში წყალი ჩადის, ერთდერითი ფანჯარა კი მუყაოთია ატყვლილი. ქუდა სახეიშვილის ყოველთვიურ შემოსავალს პენსია და 60 ლარიანი სოციალური დახმარება შეადგენს. მარტოხელას, რომელსაც დიაბეტი და ტროპიკული წყლული აქვს, ეს თანახა წამლების და ძვირდღირებული მალამოებისთვის არ ყოფნის. მიუხედავად იმისა, რომ დამის საათებში სახეიშვილის საძინებელში ტემპერატურა ნულ

გრადუსზე ქვემოთ ჩადის, მას დღემდე გასათბობად შეშა არ აქვს. მოხუცი ელექტროენერჯის გადასახდელი თანხის არქონის გამო ვერ რთავს ელექტრო-ღუმელსაც. ერთადერთი ძველი პლენი კი სახეიშვილს ვერ ათბობს. მარტოხელას დღისითაც და ღამითაც ცივა, მის მთელ ქონებას, რკინის საწოლი, პატარა მაგიდა, ბაღში დახვედრილი კარადა და ორი სკამი შეადგენს. ქუდა სახეიშვილი საკვებს უპოვრთა სასადილოში იღეს, თუმცა ზუგდიდის ცენტრში მდებარე სასადილომდე ყოველდღიურად 2 კილომეტრის გავლა და გამოვლა ფეხით უწევს. ზუგდიდის მერის ირაკლი გოგოხიას ინფორმაციით, ქუდა სახეიშვილს და ყველა სო-

ციალურად დაუცველ ოჯახს გათბობისთვის 100 ლარი ჩაერიცხებათ. მერის განცხადებით, სახეიშვილი ფულად თანხასთან ერთად დამატებით შეშასაც მიიღებს. ვნახოთ!

პ. ლაბილაზა





ბია კვაშილავამ „ფესტოსის დისკოს“ საოცრება სამებრელოს მოსახლეობას ბააცნო



ზუგდიდის ქალაქისა და რაიონის მუნიციპალიტეტების გამგეობის, მერიის, საკრებულოებისა და საზოგადოება „ზუგდიდელის“ მოწვევით სამებრელოს საზოგადოების წინაშე წარსდგა ცნობილი მათემატიკური ლინგვისტიკის სპეციალისტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახ-

ელმწიფო უნივერსიტეტის პუბლიცისტული მეცნიერებათა ფაკულტეტის თეორიული და გამოყენებითი ინსტიტუტის სამეცნიერო ცენტრის „ენა, ლოგიკა, მეტყველება“ მკვლევარი გია კვაშილავა, რომელმაც გააკეთა მოხსენება თემაზე „კლასის საზოგადოება და ფესტოსის დისკოს ამოკითხვის შედეგების“ შესახებ. როგორც ცნობილია 1908 წელს კრეტაში, ფესტოსში აღმოჩენილ იქნა თიხის მრგვალი ფირფიტა „ფესტოსის დისკო“, რომლის ამოკითხვა მხოლოდ ჩხოროწყუს რაიონის მკვიდრმა გია კვაშილავამ შეძლო. ამის შესახებ ბევრიც დაეწერა და ბევრიც ითქვა, თუმცა ამ შეხვედრაზე გამომსვლელები, მაინც უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ იმის გამო, რომ ამ გრანდიოზულ აღმოჩენას საქართველოში უფრო მეტი ყურადღება უნდა მიქცეოდა. აღქმანდრე ღურწყაიას სახელობის საბუნებისმეტყველო გიმნაზიის შესანიშნავ სააქტო დარბაზში შეკრებილებმა სათანადო ვერის მანძილზე გია კვაშილავას კომენ-

ტარით ეკრანზე იხილეს „ფესტოსის დისკოსადმი“ დაკავშირებული მასალები, ის ტიტანური შრომა, რომელიც გასწია გია კვაშილავამ. ეს აღმოჩენა ადასტურებს, რომ ხმელთაშუა ზღვის აუზში 4.000 წლის წინ, ინდოევროპული წარმოშობის ადამიანებამდე ცხოვრობდნენ პელაზგები, ანუ კოლხების მონათესავე მოსახლეობა. სხდომის წამყვანს, საზოგადოება „ზუგდიდელის“ თავმჯდომარეს ბატონ ოთარ ფაცაცას დიდი ძალისხმევა დასჭირდა, რომ ეს შეხვედრა მხოლოდ კონფერენციის მიმართულებით წარმართულიყო და ადგილი არ ჰქონოდა პოლიტიკურ თუ პირადულ მოსახრებებს გამომსვლელებთან. ეს იყო გია კვაშილავას პირველი შეხვედრა სამებრელოს მოსახლეობასთან, თავის თანამემამულეებთან, რომლებმაც დიდი სიყვარული და თანაგრძნობა გამოხატეს შესანიშნავი მეცნიერის მიმართ. **ლალო ძირია, ზუგდიდი**

განსხვავება

ამ ბოლო დროს კვლავ მატულობს იმ ადამიანთა რაოდენობა, რომლებმაც აინტერესებთ თუ რა შინაარსის მიმართაა გაუგებარებელი საქართველოს პარლამენტს მე და ჩემმა მეგობრებმა. ზოგიერთი მათგანი არ ერიდება აშკარა ინსინუაციებსაც და ცდილობს ჩვენს მიზნებზე და ამოცანებზე არასწორი შეხედულება ჩამოუყალიბოს ქართულ საზოგადოებრიობას! ვინაიდან საკითხი მეტად აქტუალურია; რადგანაც ხელისუფლება-მთავრობას ჯერჯერობით არ აღმოაჩნდა ადეკვატური არც ნება და არც პასუხი; ხოლო, მიმართავა ჩამოყალიბებულ ჩვენს ინიციატივაზე კი, მავანთა მხრიდან, ვრცელდება დეზინფორმაცია, მიზანშეწონილად ვთვლით ინტერნეტსივრცეში კვლავ გაავსაჯაროვოთ ის და ამით წერტილი დაეუსვას მონაჭორების ტირაჟირებას!

საპარტიო მემკვიდრეობის თანამემამულეობა, ბატონ დავით შუშუაშვილს, საქართველოს პარლამენტის წევრებს, ბატონო თანამემამულეობა, პატივცემულო პარლამენტის წევრებო!

მოგახსენებთ, თანამემამულეობა მსოფლიოში სულ უფრო დრამატიკულად გლობალიზებული პროცესებია, რასაც ჩვენი პლანეტის ერებისთვის, შეიძლება ითქვას, მოაქვს, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი შედეგებიც. ცხადია, ეს პროცესები გვერდს ვერ აუვლის ჩვენს სამშობლოსაც და, რაც დრო გადის, მით უფრო აქტუალური და საშური ხდება ისეთი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების შექმნა, რომლებიც მეტნაკლებად მაინც უზრუნველყოფს კოლხური იბერიული (ქართველური) მოდგმის კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობის შენარჩუნებას და მეტიც, ეროვნულ, ტრადიციულ და ქრისტიანულ საფუძველზე მის შემდგომ განვითარებასაც. თქვენთვის, რა თქმა უნდა, კარგადაა ცნობილი, რომ ჩვენს ერს, საკუთარი ენობრივ-კულტურული თვალსაზრისით, გააჩნია უდიდესი სიმდიდრე. ეს სიმდიდრე დაუნჯებელია ჩვენსავე უნიკალური ენობრივი ტრადიაში (ქართულში, მეგრულ-ჭანურსა და სვანურში). უწინარესად ამ ენებშია გამოხატული ჩვენი თვითმყოფადობა, ჩვენი იდენტობა, ჩვენი განსხვავებულობა. არადა, აშკარაა, რომ ქართველურ ენებს ჩვენს მიერ ზემოთ ნახსენები გლობალიზებული ტენდენციების პირობებში ემუქრება გაქრობის სასიშროება. ასე, რომ, წარსულის, აწმყოს და მომავლის წინაშე მოვალენი ვართ, ვილონოთ ყველაფერი მის შესანარჩუნებლად. ქართული სახელმწიფო მოვალეა, უპატრონოს ამ საუნჯეს.

აქვე გვსურს, შევეხოთ ჩვენთვის (და არამარტო ჩვენთვის) მეტად მტკივნეულ საკითხს. სამწუხაროდ, მავანნი ჯიუტად კამათობენ იმაზე, - უძველესი, უმდიდრესი და უმშვენიერესი მეგრული ენა საერთოდ არის თუ არა ენა, თუმცა გენიალურმა ნიკო მარმა ჯერ კიდევ როდის ბრძანა: „მეგრული ენა არის მეგრული ენა; იგი ლინგვისტურად არ არის კილო, არც დიალექტი“. იმავეს ბრძანებდნენ უდიდესი კორიფეები, პომეროსის ეპოქიდან მოყოლებული დღემდე. არ დაგიმალავთ. ჩვენთვის არც ესაა სადისკუსიო და საკამათო საკითხი. აქ ისედაც ნათელია ყველაფერი. ვიმედოვნებთ ასევე თქვენთვისაც. აქედან გამომდინარე, დარწმუნებული ვართ, თქვენ, ვინც ქართველი ერის მიერ არჩეული ბრძანდებით ქვეყნის უმაღლეს

საკანონმდებლო ორგანოში, აცნობიერებთ პასუხისმგებლობას მშობელი ხალხის ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის წინაშე და გააკეთებთ მაქსიმუმს მისი თვითმყოფადობის უპირველესი გამოხატულების - ქართველურ ენათა გადასარჩენად. ვიმეორებთ: ქართული სახელმწიფო ვალდებულია ეს გააკეთოს, ხოლო, რაც შეეხება ყბადაღებულ „ევროსაბჭოს კონვენციას“, ჩვენს სპეციფიკურ სინამდვილეში მხოლოდ დამატებით არგუმენტად გამოვადგება. საერთოდ, მიგვაჩნია, რომ კონვენციების არსებობა კი არ უნდა განაპირობებდეს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პრიორიტეტებს, არამედ ჩვენივე ერისა და ქვეყნის მარადიული სასიცოცხლო და სტრატეგიული ინტერესები. დრო არ ითმენს. არსებობს პრობლემა, მაშასადამე არსებობს პრობლემის მოგვარების აუცილებლობაც. მისი იგნორირება უსათუოდ შეგვიყვანს ჩიხში და მიგვიყვანს საერთო ეროვნულ ტრაგედიაში. მხოლოდ რიტორიკა, რომ არ გამოგვივიდეს, თქვენს წინაშე გამოვდივართ ინიციატივით: პარლამენტის შესაბამის კომიტეტებში და უახლოეს საპარლამენტო სხდომებზე განხილულ იქნას ჩვენს მიერ აქტუალიზებული საკითხი და საკანონმდებლო დონეზე მიღებულ იქნას გადაწყვეტილება ქართველურ ენათა დაცვის სახელმწიფო დპარტამენტის ჩამოყალიბების თაობაზე. ვფიქრობთ, რომ დეპარტამენტმა, თავის მხრივ უნდა შექმნას სპეციალური კომისია, რომელშიც უნდა შევიდნენ ქართველურ ენათა აღიარებული სპეციალისტები, მწერლები, საზოგადო მოღვაწეები, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების წარმომადგენლები. კომისიამ უნდა შეძლოს ისეთი სახელმწიფო პროგრამის შემუშავება, რომლის რეალიზებაც უზრუნველყოფს ქართველურ ენათა შენარჩუნება-განვითარებას.

ბატონო პარლამენტის თავმჯდომარე!
პატივცემულო დეპუტატებო!
იმედია, ახალი ხელისუფლება, პირველად ისტორიაში, აიღებს პასუხისმგებლობას ქართველურ (ქართულ, მეგრულ-ჭანურ, სვანურ) ენათა გადარჩენასა და განვითარებაზე. ამით ის უთუოდ ადასტურებს უდიდეს ისტორიულ მისიას და უფლისათვის სათნო საქმეს.

- პატივისცემით,
- ზურაბ კვარაცხელია**
- ვლადიმერ ლუპაკა**
- ბაბაკ თოღუა**
- რევაზ ვიფია**
- ბორის ბულია**
- გიორგი მუსხიანი**
- რევაზ ბლათურია**
- ხატია ჯანაშია**
- ზაალ ჯალაღონია**
- ზაზა ჯალაღონია**

აი, ჩემო თანამემამულენო ის ტექსტი... ამას რომ გაეცნობი ადამიანი და მაინც თუ გააიხილება სურვილი დაგვადანაშაულო სეპარატიზმში, ე. ი. თავად ხარ სეპარატიზტიც, პროოკატორიც, სპეცსამსახურების აგენტიც და... რასაკვირველია ასევე, მარგალი-ფობიც და შესაბამისად ეროვნული ერთიანობის მტერიც!

სახალხო მოძრაობა „სამებრელოს“ ზუგდიდის ორგანიზაცია თანამემამულეობას უცხადებს სოხუმიდან დეზინფორმაციას, ბატონ სოსო ვიფურიას დედის ლამარა ქარჩავა-ვიფურიას ბარდაცვალების გამო.

პოეზიის კუთხე

ბეჭოთ, პარბი, რა!
სათრეველები, რომლებიც დაბადა ბიბინა ივანიშვილის 28 იანვრის სატელევიზიო ინტერვიუმ და ყოფილთა წაგვყავმა:

გვირაბის ბოლო
წინ ნათელია,
უკან – მონობა,
„ცოცხოსნობა“ და
უკანონობა!
ჭირიმე, გოლუაფირო!
ნაცემმა არაკაცობა
საქვეყნოდ გამოაფინეს;
ვინც მოქალაქედ არ გცნობდა,
დღეს ხმის წართმევას აპირებს.
ნუ გიკვირს მისი ბაცნობა,
ჭირიმე-გოლუაფირო,
ახლა იმიტომ დაგვცოფა,
მტრებთან რომ გაინაპიროს.


ბეჭოთ, პარბი, რა!
რას მოვესწარით?
ღმერთო გვიშველე!
„ცოცხოსნობი“ ხელს საით იშვერენ?
რად აგინებენ ასე უშვერად
კაცად კაცს,
ვინც ხალხს ბევრჯერ უშველა?
ცრუპენტელებო,
მორჩით,
კარგი რა!
მან აფხაზული დაგვაკარგინა?
მან სამაჩაბლო დაგვაკარგინა?
მან ახალგორი დაგვაკარგინა?
დალის ხეობა დაგვაკარგინა?
მისგან რა გინდათ?
ყველა მარგინალს
სინდისი იმან დააკარგინა?
დღე ხელი მისკენ იმან იშვიროს,
ვინც მასზე უკეთ ივანიშვილობს!
ალექსანდრე შენბელია

სახალწიანი
ქიშულელებუნო თე წანას
უშარ შარფი კვათასე?
მუშ თია ვადუზარუას
არმა შეტირენულ კათასე?
ფირქქეწ დო მორსხას შხვა გარუნეს,
კორი კორიში მენდი რე,
თი არზი ვაგოსვანჯუანს,
ართ დლასე ოკო მედინენ.
თაშ რე ორინჯუ თე ანდა
ცოლდაშ ოხალუ გორუა,
ჩქინ ნასოფა დო ნახანდას
მუშ წყითეს მიშმუწყორუანს.
მეურს ბორჯი დო ითებუ,
იკილოთ გური ნახაში,
მარა იშენთ ხილო რე
მაკურხურ ახალ წანაში.

ბიორბი ხულორდა
ლილუ ვორემ
ცხოტილი რე ირ ჩქიმ შურიშ აკანი,
კარაკანო გაკოროცხე ჭყოლეფი.
ჩქიმ მოხვარას ვახალამენს აკანი -
ლილუ ვორექ, ონწეშ ეშნა ონეფი.
აკიონჯუ- გეკოლაფე ჭარკანი.
შარა გემიძ ოფინოთე ოლეფი...
ქუდუჩინი ღორონც ჩქიმი ნარკვანი,
ვანე, ვინცას გობთირუათ როლეფი.
ჭიო-ჭიოთ აკიფუშაფუ ღოლეფი,
არსხას ისოფ შური - ნაკირაკანი.
გონქირაფე ჩილაპურამ თოლეფი.
წიმოტებულ იკვანწ ჩქიმი არკვანი...

გავალუ
დიდაბტონეფ მოსურუნო დო ვარ
ფალო
ბუბგურელი სქან ხელეფი მუკობდ-
ვალუ?
თე გეკვათილ გურიშ ჯიეშე,
ჭეველაცალო
შურქანქალა ლელ შეეერეფს გამე-
უფალუ.
გამაფულე, შური ღარჯილ ვენმა-
პალუ,
მუს გარზინე მონკაშ ღალას, გი-
ლაფხვალუ...
მუშ მაჰამა ჭარას ჩქიმდა დღა მუდ-
ვალუ -
შქაბან გურშე გეშაბრდელექ ჯა
მაფალუ!
ბიბა ქავთარაძე

რინოსი კვარაცხელია – კვალი ნათელი კაცისა



რა უღმობელია დრო – თითქოს წამის უმად გაიღია ერთი წელიწადი მას შემდეგ, რაც ჩვენთან აღარ არის ამდღობული სულის შემოქმედი და უდალბატო თანამდროში რინოს კვარაცხელია.

იგი პოპულარული პოეტი და საზოგადო მოღვაწე გახლდათ, ავ ბედისწერაზე გამარჯვებული პიროვნება!

სულგანათლებული რინოსი გულის დარჩენილ მცირე ნაწილს აქსოვდა ოქროსუროვლით დაფერილ ლექსებში. დიახ, მცირე ნაწილს, რადგან მისი გულის დიდი ნაწილი ტრაგიკულად აღსრულებულია შეიღებმა წარტაცვის ზეციურ საქართველოში!

განსაკუთრებით უყვარდათ რინოსი მშობლიურ წალენჯიხასა და სამეგრელოში, რადგან აქ უფრო იცნობდნენ, ახლობდნენ თავმდაბლობითა და გულითალობით, ვაკაცური პირდაპირობით გამორჩეულ პიროვნებასთან. ხშირად ლაკადური მეგრული მახვილი მოუქნევია სიტყვითაც გამორჩეულ შემოქმედს, მაგრამ არ შეეცდებოდა თუ ვიტყვი, რომ საქართველოში, ვინც მის პოეზიას იცნობდა, შეუძლებელია იყო არ ეგრძნო პოეტის ერთგული, კეთილშობილური შეძარბება ჩვენი

ქვეყნის ეროვნული ინტერესების დასაცავად...

იგი მუდამ ცხოვრების მღვდელურ ზვირთებში ცურავდა და ცდილობდა გადმოეცა ადამიანის სულის ყველაზე სათუთი ხშიანობა...
მამული, სამშობლო, ადამიანის ადგილი სამყაროში, სიმაღლის მდგრად სამსახური, ზნეობა და სიყვარული, ტრაგიკული ხვედრის – სიკვდილ-სიცოცხლის უმძაფრეს განცდათა სიმწვავე გახლდათ მისი საფიქრალ-საწუხარი...

პატიოსნად, უხადოდ განვლო ცხოვრებისეული გზა პოეტმა. თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ათეული წლების მანძილზე მშობლიური რაიონის გაზეთში სოფლის მეურნეობის განყოფილებას პირნათლად ხელმძღვანელობდა. 80-იანი წლებიდან ეროვნული მემკვიდრის ტაღდას აკვია – საქართველოს თავისუფლებისთვის ბრძოლაში ჩაება, – 1993 წელს მკვეთრად ოპოზიციურ გაზეთ „წალენჯიხის ზარებში“ საქმიანობდა, შემდეგ უფრო ფართო მასშტაბით გააგრძელა ოპოზიციურ პრესაში თანამშრომლობა.

ჟურნალისტობა ახალგაზრდობიდანვე მისი პროფესია გახდა, ლექსის ჟურნალური კი ბავშვობიდანვე თანმხლები იყო და ასეც დარჩა ბოლომდე, – პოეტ-ჟურნალისტად. მისი, როგორც ლექსები, ისე სტატიები და ნარკვევები ხშირად ქვეყნდებოდა რესპუბლიკურ თუ რეგიონალურ ჟურნალ-გაზეთებში.

პოეტს ბედისწერამ საშინელი ტრაგედია არგუნა: 1986 წელს რინოსის ორი ვაჟი-შვილი, ერთი უკვე ინსტიტუტში ახლადწარიცხული, 17 წლის დათო, მეორე კი საშუალო სკოლის დამამთავრებელი კლასის მოსწავლე გახტანდა, ორ უახლოეს ნათესავთან ერთად, ზღვაში დაიხრჩო ანაკლიაში, ენგურის შესართავთან. ეს საზარელი უბედურება წალენჯიხის რაიონმა დიდად განიცადა, მისი ექო მთელ რესპუბლიკას გადაწვდა... ოჯახი თავზარდამცემმა მწუხარებამ განადგურების პირას მიიყვანა და მაშინ გამოიჩინა შესაშური სულიერი

სიმტკიცე მამამ, – ქალიშვილი ეზრდებოდათ, კვლავ ფეხზე უნდა დამდგარიყვნენ და სწორედ რინოსმა აიძულა მეუღლეც გამკლავებოდა გაუსაძლის ჭირ-ვარამს. თვით რინოსს ლექსებში გამოხატული ტკივილი ესაშველა უწინარესად. მისი დათოც თურმე მალულად წერდა ლექსებს. ეს ლექსები 1989 წელს ცალკე წიგნად გამოსცა მამამ.

მერე, 90-იან წლებში, ვაიდემოკრატიკულ სამშობლოსადმი თავსდატყვილი უბედურების შეგრძნებამ, რინოსის მიერ მეგობრებთან ნათქვამი რომ გაემიეროთ, მისი პირადი, განუზომელი უბედურებაც კი დანრდილა...

ტრაგიკულმა ხვედრმა და ზოგჯერ სასოწარკვეთამდე მისულმა განცდამ ვერ გადაახვევინა რინოსს ერთხელ არჩეული გზიდან. მისი პოეზია დარჩა ადამიანის სულიერი სიწმინდისკენ, მაღალზნეობრივი იდეალების ერთგულებისკენ, სიმაღლის, უფლისა და მამულის სიყვარულისკენ მოწოდებად და ამასთანავე, უდიდესი სულიერი ტკივილის ამსახველად.

რინოს კვარაცხელიას პოეზია ტკივილის პოეზიაა, ოღონდ პირადულზე ამდღობული...

რინოსი მუდამ დირსეული მესვეური გახლდათ შემოქმედთა იმ სახელოვანი პლადისა, რომელთაც უკომპრომისო ბრძოლა გამოუცხადეს ეროვნულ მემკვიდრეობასა და საქართველოს ჭეშმარიტ დამოუკიდებლობას დაპირისპირებულ მოძალადე შეგარდნაძის, მეგრე კი ბოროტი თავნება სააკაშვილის ხელისუფლებებს და გააშვილა მათ ირგვლივ შემოკრებილი ვაიდემოკრატიკების ნამდვილი სახე.

არ არსებობდა შემოქმედისა და მოღვაწის საქმიანობის უფრო მაღალი და უფრო დიდი კრიტერიუმი, ვიდრე მამულის გადარჩენისთვის მწვავე ბრძოლაში სიმაღლის აფენგარდში ყოფნა და ერის უშთავერესი საზრუნავის უღელში შებმა.

პოეტის გულზე გადაიარა წუთისოფლის დაუნდობელმა ქარბორბალამ, მაგრამ მან შეძლო ვუკაცურად გამკლავებოდა მრავალ განსაცდელს და შემართებულად განაგრძო კელიანი გზა სიმაღლის დასამკვიდრებლად.

თავმდაბლობით გამორჩეული ადამიანი სიცოცხლის მიმწუხრს იმითაც გამოირჩა, რომ საკუთარი 80 წლის იუბილემდე რამდენიმე დღით ადრე ამდღდა იმქვეყნიურ საქართველოში და ტრაგიკულად დაღუპული პირმშობის სულს შეუერთა თავისი ნატანჯი სული!

ნათელში იყოს ჩვენი მეგობრისა და თანამებრძოლის რინოს კვარაცხელიას სული!

რინოსის ერთერთი წიგნის რედაქტორის თამაზ ფიფიასი არ იყოს: გვიჭირს რინოს კვარაცხელიაზე წარსულ დროში საუბარი, მაგრამ ეს ცხოვრების მკაცრი რეკლამენტია და მას ვერავინ გაეცეკვით. მოწოდებულ სვედას კი იმით გაუქმლავდებით, რომ მონატრებული პოეტის ლექსებით დავითობით ცხოვრების ამოუცხადებელი გათოშილ სულს:

ვერ იმერაბა ვერავინ და
ვერ იზვიადა, –
მიტომ მოიცვა საქართველო
ასე წყვედაღმა...
ლომაიებმა, სააკაშვილ-ბოკერიებმა,
მზაკერულად სცადეს ქართველობის
მოგერიება...
მტრობენ სამშობლოს ვერაგულად
დიად, ფარულად, –
გამართულია შეჯიბრება,
როგორც მარულა...
ვარდებს კი არა, დღეს პირიდან
ყრიან ლენციფას, –
თვით ამკვიდრებენ ბოროტებას
და უდმერთობას.
როცა სულბნენლი მტრობენ
ქართულ ცნობიერებას, –
ხალხს პირდებთან სამოთხეს და
ბედნიერებას.
სწანს, დაივიწყეს გუშინდელი
დანაპირები, –
ეროვნულ ფესვებს ამოძირკვას
რომ უპირებენ...
ვერ იმერაბა ვერავინ და
ვერ იზვიადა, –
ამად მოიცვა საქართველო
ასე წყვედაღმა.

გაზეთის რედაქცია

ავხაზეთის ომში მონაწილეობდა რამდენიმე (ან რამდენიმე ათეული) უკრაინელი ნაციონალისტი, რადიკალური „უნა-უნსოს“ წევრი

ისინი არასოდეს მაღავენენ, რომ რუსეთის დასასუსტებლად იბრძოდნენ. სხვათა შორის, „უნა-უნსოს“ მოგვიანებით ჩეჩნების მხარესაც იბრძოდა – იმ ჩეჩენი „ბოვეიკების“ მხარეს, რომლებსაც აფხაზეთში მშვიდობიანი ქართველების სისხლში ჰქონდათ ხელები გასვრილი.

ვინ დაგწვევლათ ასე მწარედ, ვაიპატრიოტებო?!

ილია ჯავახიშვილის „ასის წლის წინათ“ მაინც ვაბამითხათ, ფარისევლებო!

იცით, რამდენი რუსი ჯარისკაცი შეეწირა სამცხე-ჯავახეთის გათავისუფლებას?! იცით, რამდენი რუსი ჯარისკაცი დაიხრცა აჭარისა და ტაო-კლარჯეთის გამოსახსნელად?! სხვა თუ არაფერი, სწორედ რუსი ჯარისკაცის დამსახურებაა დასავლეთ საქართველოში მონობით ვაჭრობის – სამარცხენო „ტყვის სყიდვის“ ამოძირკვა! ქრისტიანობა და ქართველობა სწორედ რუსეთის მეშვეობით გადარჩა, საქართველოს სასიკეთოდ მათ მიერ გადაბულსხვა მსხვერპლზე რომ არაფერი ვთქვათ, ფარისევლებო!

რუსი (ისევე, როგორც უკრაინელი და ნებისმიერი სხვა) არ არის ვადღებელი, იბრძოლოს საქართველოს ნაციონალისტურად გაგებული ინტერესებისთვის, და მთავარი: ამ იმპერიის იდეალები იყო ქრისტიკის სჯული და მართლმადიდებელი ხელმწიფის ერთგულება, რაც საფესვით მისაღები იყო (და უნდა იყოს!) ყველა ნორმალური ქართველისთვის!

საჭიროდ მივიჩნევ, გამოვეხმაურო ბოლო ხანს აგორებულ ახალ არაკეთილსინდისიერ პროპაგანდას, რომელიც ყველაზე უფრო აუცილებელ ადამიანურ განცდაზე – მადლიერებაზე – აპელირებს.

საუბარია 1992-1993 წლებში აფხაზეთში ქართული შენაერთების მხარეს მებრძოლ უკრაინელებზე, რომელთა ღვაწლი ახლა,

უკრაინაში მიმდინარე ომის ფონზე გაახსენდა ზოგიერთს (არადა, აფხაზეთის ომის ქართველი ვეტერანების დიდ ნაწილს უკიდურესად უჭირს და ეს არავის ახსოვს). ამ ზოგიერთის აზრით, ქართველებმა სოლიდარობა უნდა გამოეცხადათ კიევის და თვალეები დაგზუჯოთ ყველაფერზე, მათ შორის, სააკაშვილის დამნაშავე რეჟიმის წარმომადგენლებისთვის უკრაინაში სასაბურე პირობების შექმნაზე. მეტიც, რუსეთი ხომ ჩვენი „მტერია“, უკრაინელები კი იმხანად, ჩვენთან ერთად, თურმე „რუსეთს ებრძოდნენ“.

საქმეც სწორედ ეს არის – ისინი რუსეთს ებრძოდნენ, რუსეთთან საბრძოლველად იყვნენ ჩამოსულნი. საქართველოს ბედი, როგორც ასეთი, მათთვის არ იყო საინტერესო. აფხაზეთის ომში მონაწილეობდა რამდენიმე (ან რამდენიმე ათეული) უკრაინელი ნაციონალისტი, რადიკალური „უნა-უნსოს“ წევრი. ისინი არასოდეს მაღავენენ, რომ რუსეთის დასასუსტებლად იბრძოდნენ. სხვათა შორის, „უნა-უნსოს“ მოგვიანებით ჩეჩნების მხარესაც იბრძოდა – იმ ჩეჩენი „ბოვეიკების“ მხარეს, რომლებსაც აფხაზეთში მშვიდობიანი ქართველების სისხლში ჰქონდათ ხელები გასვრილი.

ინტერნეტში ვრცელდება დაკრძალვის კადრები 1992 წელს აფხაზეთში დაღუპული 19 წლის უკრაინელი მებრძოლისა, რომელსაც მამა დასტერის. ამ ფაქტს დასავლეთის მიერ მართული პროპაგანდა ქართველებში ანტირუსული და უკრაინელი ნაციონალისტების სასარგებლო განწყობების გასაღვიძებლად იყენებს. ვიდეოკადრების ავტორი მოუწოდებს ქართველებს, სოლიდარობა გამოუცხადონ უკრაინელ ხალხს, რადგან უკრაინელები თურმე გასაჭირის დროს დაგვეხმარნენ.

კეთილი და პატიოსანი. მეც მივიჩნევ,

რომ, მიუხედავად „უნა-უნსოს“ წევრების კონკრეტული მოტივისა, ომმათ აფხაზეთში, ჩვენ გულწრფელად მაღლიერები უნდა ვიყოთ მათი, რადგან ისინი ქართველების მხარეს იდგნენ. ეს მართალია. ოღონდ არ შეიძლება, სახელმწიფო ინტერესები დაუჭქვემდებაროთ ემოციებს, მაგრამ ესეც არ არის ახლა მთავარი. თუკი მორალის კატეგორიებით ვიმსჯელებთ, მაშინ მიუმათავ ქართველ ვაიპატრიოტებს, რომლებიც უკრაინისადმი სოლიდარობას ითხოვენ რამდენიმე დაღუპული უკრაინელი ნაციონალისტის გამო და ამ დროს უზარმაზარი ღვაწლი, რომელიც რუსმა ჯარისკაცებმა ორასი წლის მანძილზე გასწიეს საქართველოს ისტორიაში, დაგიწვევთ აქეთ.

იცით, რამდენი რუსი ჯარისკაცი შეეწირა სამცხე-ჯავახეთის გათავისუფლებას?! იცით, რამდენი რუსი ჯარისკაცი დაიხრცა აჭარისა და ტაო-კლარჯეთის გამოსახსნელად?! სხვა თუ არაფერი, სწორედ რუსი ჯარისკაცის დამსახურებაა დასავლეთ საქართველოში მონობით ვაჭრობის – სამარცხენო „ტყვის სყიდვის“ ამოძირკვა! ქრისტიანობა და ქართველობა სწორედ რუსეთის მეშვეობით გადარჩა – ილია ჯავახიშვილის „ასის წლის წინათ“ მაინც წაგვეითხათ, ფარისევლებო!

არ იცით და არც გინდათ, იცოდეთ! ეს კი უდიდესი უმადურობაა. თქვენსთანების გამო არ უნდა რცხვენოდეს ქართველ კაცს რუსების წინაშე, არ უნდა გეჭონდეს უმადური ხალხის სახელი! ამიტომაც გვეოხებოთ: ვაიპატრიოტებო, ვინ დაგწვევლათ ასე მწარედ, რომ ამხელა უმადურობას ავლენთ?!

ქართველი ხალხი მადლიერია, არ დაივიწყებს არავის ღვაწლს. სწორედ ამიტომ შეუწყო ჩვენმა ორგანიზაციამ ხელი აჭარაში, სოფელ ხუცუბანში, სააკაშვილის

ავადსახსენებელი რეჟიმის დროს იავარქმნილი სამო სასაფლაოს რეაბილიტაციას, სადაც ციხისძირის ბრძოლაში (1878 წლის იანვარში) დაღუპული, აჭარის გათავისუფლებას შეწირული რუსი ჯარისკაცები განისვენებენ. აქვე უნდა აღნიშნოს, რომ აჭარის, ისევე, როგორც მანამდე სამცხე-ჯავახეთის გათავისუფლებისას, ქართული შენაერთები რუსების გვერდზე მამაცურად იბრძოდნენ. ისინი ერთგულნი იყვნენ რუსეთის იმპერატორისადმი მიცემული ფიცისა, ამასთანავე, სამშობლოს – საქართველოს ინტერესებს იცავდნენ. მაღლობა ღმერთს, რომ ეს გენეტიკურად ახსოვს ნამდვილ, ხალხს ქართველ კაცს, როგორებიც ბევრი ვნახე ხუცუბანში და მეგულება საქართველოს ყველა კუთხეში, ყველა ქალაქსა და სოფელში.

ახლა იმასაც იტყვიან: თუკი უკრაინელი ნაციონალისტები რუსეთის წინააღმდეგ იბრძოდნენ, მაშინ რუსი ჯარისკაცებიც რუსეთის იმპერიისთვის (და არა საქართველოს სიყვარულით) იბრძოდნენ. მათ ვუპასუხებ: დიახ, იმპერიის ინტერესებისთვის იბრძოდნენ, მაგრამ, ჯერ ერთი, რუსი (ისევე, როგორც უკრაინელი და ნებისმიერი სხვა) არ არის ვადღებელი, იბრძოლოს საქართველოს ნაციონალისტურად გაგებული ინტერესებისთვის, და მთავარი: ამ იმპერიის იდეალები იყო ქრისტიკის სჯული და მართლმადიდებელი ხელმწიფის ერთგულება, რომელიც საფესვით მისაღები იყო (და უნდა იყოს!) ყველა ნორმალური ქართველისთვის!

დასასრულ, აჭარაც და სამცხე-ჯავახეთიც, როგორც ვიცით, საქართველოს დარჩა, იგი არც იმპერატორს წაუღია იმქვეყნად, არც – ლენინსა და სტალინს.

გულგაათ რცხილაემ



დიდი ბაკური ქართული ასომთავრული დამწერლობის ფუძემდებელი

დავითს ქვასვეტზე დიდ ბაკურთან ერთად, როგორც ეს ჩვენ მიერ უწინ აღინიშნა (იხ. 102:31, 33, 125-126), გამოსახულია მისი ძუძუსმეტე, სეფეწული გრი ორმიზდი. ბაკური, რომლის რელიეფური გამოსახულებაც წინა პლანზეა გამოსახული, მარჯვენა ხელის მტკენით უთითებს გვერდით მდგომ გრი ორმიზდზე, რომელსაც მარცხენა ხელში უჭერდა დახვეწილი ეტრატის გრაფილი, - სიმბოლო წიგნისა და საზოგადოდ მწიგნობრობისა, - «წერილი». დიდად არ შეეცოდავო, თუკი აღნიშნულ სცენაში გრი ორმიზდის მიერ «სადმროთ წერილის» ქართულ ენაზე გადმოღების ფაქტს ამოუკითხავო. გრი ორმიზდი, როგორც ითქვამს, იგივე სომხური წყაროების «ჯადო»-ია, რომელიც, მოგვს ხორენაცის თხზულებაში დაცული ცნობით, ქართული ანბანის ერთ-ერთი შემქმნელი და უცხო ენებიდან მთარგმნელი პირია, კორიუნის სიტყვებით კი, ის «წიგნის მცოდნე» (სომხ. «გრაგეტი»), ანუ, როგორც ეს ჩვენ გვგონია, - «[სადმროთ] წერილის მცოდნე», და «ტეშ-მარტების მეტყველი» (სომხ. «ტეშმარტახოს») კაცია. ქართლის სეფეწულთა წრიდან გამოსვლით გრი ორმიზდი, რომელიც ვითარცა ძუძუსმეტე და სიერმის მეგობარი, მეფისწულ ბაკურს თავის დროზე თან უნდა გაჰყოლოდა ბიზანტიაში.

ბაკურის პალესტინის საზღვრების სარდლად გამწვესების შემდეგ გრი ორმიზდი კვლავ მის გვერდით უნდა ვივლოთ «წმინდა მიწაზე». ქალაქ ბეთლემის მახლობლად ქართული სამონასტრო კერის (შემდგომში რომ დიდი ბაკურის სახელოვანმა შვილიშვილმა - პეტრე იბერმა და მისმა მასწავლებლებმა - იოანე ღაზმა ერთობლივ განაახლეს) დაარსების სათავეებთან (დაახლ. IV ს-ის 80-იანი წლებში) დიდ ბაკურთან ერთად უეჭველად გრი ორმიზდიც იდგა და ადგილი შეხადლებელია, რომ შემდგომში ის იქვე მოღვაწეობდა კიდევ მანამდე, სანამ ბაკურის სამშობლოში დაბრუნების ჟამამდე არ ჩამოჰყრა. ქართულ ასომთავრულ დამწერლობასა და საეკლესიო წელთაღრიცხვასაც, ჩვენი აზრით, იერუსალიმთან ერთად სწორედ აქ, ბეთლემის შემოგარენში არსებულ ქართულ სამონასტრო კერაში უნდა ჩაჰყარა საფუძველი; აქვე უნდა შესრულებულიყო პირველად ახლადშექმნილი ანბანის შეთხზვა «სადმროთ წერილის» პირველი ქართული თარგმანებიც, რომ ყოველივე აღნიშნულს ადგილი IV ს-ის 80-იან წლებში უნდა ჰქონოდა, ეს ჩანს შემდეგი გარემოებიდანაც. 532-წლიან პასქალურ ციკლებზე დაფუძნებული ქრისტიანული ქრონოლოგიის ქართული სისტემა - «დასაბამითანი», როგორც ცნობილია, წარმოადგენს ისეთ კალენდარულ წელთაღრიცხვას, რომლის წლის დასაწყისად მოაზრებულია 25 მარტი. ქრისტიანულ სამყაროში ამ თარიღისადმი ძველთაგანვე უდიდეს ყურადღებას იხენდნენ; დასავლეთის ეკლესიის თვალსაჩინო წარმომადგენლები: იპოლიტე რომაელის, ტერტილიანის და ავეუსტინის მიერ ის იესუ ქრისტეს ჯვარცმის თარიღად იყო აღიარებული, ხოლო აღმოსავლეთის ეკლესიის მესვეურებს 25 მარტი (კვირა დღე) III ს-დან მოყოლებული იესუ ქრისტეს მკვდრეთით აღდგომის მისტიური მოვლენის თარიღად ესახებოდათ; იმავედროულად ღმრთისმეტყველთა შორის ჩამოყალიბდა შეხედულება იმის შესახებაც, რომ ღმერთმა სწორედ 25 მარტს შექმნა სამყარო, რომ ამავე დღეს ახარა გაბრიელ მთავარანგელოზმა ქალწულ მარიამს «ღვთის სიტყვის» მომავალი ხორცშესხმის (განკაცების) ამბავი და რომ უშუალოდ «მეორედ მოსვლის» ჟამის დადგომის წინ უკანასკნელად სწორედ 25 მარტის კვირადღეს ექნებოდა ადგილი ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის დღესასწაულს.

საინტერესოა, რომ III-IV სს-ის ერთ-ერთი სექტა (მეათათხმეტეანნი) მუდმივად აღნიშნავდა უფლის ბრწყინვალე აღდგომის დღესასწაულს ყოველი წლის 25 მარტს, იმისდა მიუხედავად, თუ კვირის რომელ დღეზე მოდიოდა ეს თარიღი ამა თუ იმ წლის ფარგლებში. იგივე 25 მარტის თარიღი ქრისტეს აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით ფიგურირებს «კონსტანტინეპოლის 395 წლის კონსულთა სიაში» (იხ. 54:242). სამყაროს დასაბამიდან 5539 წლის, ანუ ჩ. წ. აღ-ის 31 წლის 25 მარტის კვირადღეს ქრისტეს მკვდრეთით აღდგომაზე უთითებდა მის მიერ შექმნილი წელთაღრიცხვაში ბერი დიონისე მცირე (VI ს.); სამყაროს დასაბამიდან 5550 წლის, ანუ ჩ. წ. აღ-ის 42 წლის 25 მარტის კვირადღეს უფლის აღდგომის

თარიღად აცხადებდა თავის დროზე ანიანოს ალექსანდრიელიც (დაახლ. ჩ. წ. აღ-ის 400 წ.) და ა.შ. (იხ. 79:69). ერთი სიტყვით, ქართული ასომთავრული ანბანის შექმნისას, რა დროსაც მისი ავტორები წერითან ერთად მას კალენდარულ ფუნქციასაც ანიჭებდნენ, თარიღი: «25 მარტი, კვირა-დღე», - დაკავშირებული ხარებისა და აღდგომის საუფლო დღესასწაულებთან, - საქრისტიანო სამყაროში საზოგადოდ კარგად ცნობილი და პოპულარული გახლდათ და ამდენად, შემთხვევითობასთან დაკავშირებული ნამდვილად არ ჩანს ის გარემოება, რომ ზემოდასახელებულმა პირებმა მათ მიერ შემუშავებული კალენდარული წელთაღრიცხვის ამოსავალ თარიღად სწორედ «25 მარტი, კვირა-დღე» შეარჩიეს.

ღვთისმშობლის ხარების დღესასწაული საეკლესიო კალენდარში ოფიციალურად შეტანილი იქნა მას შემდეგ, რაც 354 წელს ქრისტიანულმა ეკლესიამ საბოლოოდ მიიღო გადაწყვეტილება ცალკე-ცალკე აღენიშნა ქრისტეს შობისა (25 დეკემბერი) და ნათლისღების (6 იანვარი) უძრავი დღესასწაულები, რომლებსაც ის ადრე ერთდროულად აღნიშნავდა. კერძოდ, საბერძნეთსა და აღმოსავლეთის საქრისტიანო ქვეყნებში ქრისტეს შობას ნათლისღებასთან ერთად დღესასწაულობდნენ 6 იანვარს და მას «განცხადება» (ბერძ. «ანაფანია») ეწოდებოდა, რაც თავის მხრივ გულისხმობდა ქრისტეს გამოჩენას, როგორც შობის, ისე ნათლისღების ფაქტით. შობისა და ნათლისღების დღესასწაულების ერთად აღნიშვნის ძველი პრაქტიკა ბოლომდე იქნა შენარჩუნებული მხოლოდ სომხეთში, ხოლო იერუსალიმში ის ოფიციალურად, როგორც ფიქრობენ, V საუკუნის გასულს გაუქმდა. ქრისტეს შობის დღესასწაულის 25 დეკემბერს აღნიშვნის პრაქტიკა აღმოსავლეთის საქრისტიანო სამყაროში ოფიციალურად პირველად ჩნდება კონსტანტინეპოლში 376 წელს და შემდეგ ანტიოქიაში 386 წელს (იხ. 48:64-65). ჩვენთვის უფრო საყურადღებო შეიძლება იყოს უკანასკნელი თარიღი, რადგან, როგორც უკვირობენ, განსახილველ პერიოდში ქართლის ეკლესია სწორედ ანტიოქიის ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა (იხ. 61:15; 22:91-94 და სხვ.). გარდა ამისა, იმავე პერიოდში ქართული ანბანისა და საეკლესიო წელთაღრიცხვის შესახებ კვლევები - დიდი ბაკური და გრი-ორმიზდიც ხომ ანტიოქიიდან არც ისე შორს, მეზობელ პალესტინაში იმყოფებოდნენ, ხოლო პირველი, როგორც უკვე დავრწმუნდით, ანტიოქიასაც სტუმრობდა ხოლმე. ადარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ დიდი ბაკური, როგორც კეთილშესახური იმპერატორის - თეოდოსი I დიდის (379-395 წწ.) ერთგული სარდალი და თანამოაზრე, მთლიანად იზიარებდა «ღვთაებრივი ავეუსტინის» რელიგიურ შეხედულებებს, რომლებიც თავის მხრივ თანხედრებაში იყვნენ იმპერიის ოფიციალური, ანუ ორთოდოქსული ეკლესიის მოთხოვნებთან. გარდა აღნიშნულისა, უთუოდ ხაზგასმებულია ის გარემოებაც, რომ 386 წელს იქვე, ბეთლემში დამკვიდრდა დასავლეთის ცნობილი საეკლესიო მოღვაწე - ნეტარი იერონიმე (340/42-419/20 წწ.), რომელმაც «სადმროთ წერილის» ლათინურ თარგმანზე («ფულგატა») 382 წელს დაწვებული მუშაობა ფაქტიურად დაასრულა 390 წლისათვის სწორედ ბეთლემში, რომლის შემოგარენში ბაკურმა და გრი ორმიზდმა იმავე პერიოდში საფუძველი ჩაუყარეს ქართველთა ჩვენთვის ცნობილ მონასტერს, რომელიც თავის მხრივ ნახევარი საუკუნის შემდეგ პეტრე იბერმა და იოანე ღაზმა განაახლეს. ნეტარი იერონიმეს საკმაოდ გახმაურებულ დამოთხოვანთა საქმიანობას, ჩვენი აზრით, შეძლო არამხოლოდ საგრძნობი გავლენის მოხდენა დიდი ბაკურისა და გრი ორმიზდის სურველსა და ინიციატივაზე, არამედ გადაწყვეტი ბიბიცი ქო მიეცა მათ მიერ «სადმროთ წერილის» ქართული რედაქციის შექმნისაკენ გადადგმული პირველი ნაბიჯებისათვის. მოკლედ, ჩვენ ამით იმის თქმა გვსურს, რომ ქართული ქრისტიანული დამწერლობის შექმნასა და მისი მეოხებით «სადმროთ წერილის» მშობლიურ ენაზე პირველად თარგმნის ფაქტს ადგილი საქართველოს ფარგლებს გარეთ, «წმინდა მიწაზე» ჰქონდა. ვფიქრობთ, დიდად არ შეეცდებით, თუ ქართული ასომთავრულის შექმნის ქვედა ქრონოლოგიურ ზღვარს 386 წელთან გავავლებთ და აღნიშნულის საფუძველზე ქართული ქრისტიანული დამწერლობისა და წელთაღრიცხვის შექმნის მოვლენას ადგილს 386-

390 წლებს შორის მიუყენებ; საკითხის კვლევის ამ ეტაპზე დასახელებული მოვლენის ოპტიმალურ თარიღად შეგვიძლია 387 წელი გამოვაცხადოთ (ამასთანავე, აღნიშნული დასკვნა არ გამორიცხავს იმეკარ შესაძლებლობასაც, რომ ქართული ეროვნული დამწერლობისა და წელთაღრიცხვის შემუშავების პროცესს უკვე 381-383 წლებში კონსტანტინეპოლში გამართული II მოსოფლიო საეკლესიო კრების დამთავრებისთანავე მისცემოდ ბიბიცი და შესაბამისად, ქართული ასომთავრულიც ზემოდასახელებულ თარიღზე ერთი-ორი წლით ადრე იყოს შექმნილი - ბ.ხ.). გაგვანჩნია დამატებით სხვა არგუმენტებიც, რომლებიც აღნიშნული თვალსაზრისის მართებულობას დაადასტურებენ.

ზემოთ ჩვენ «კიროპასხა» შემთხვევით არ გვიხსენებია. მართალია, ხარება ყოველდღეა ღვთისმშობლისა და მარადის ქალწულისა მარიამისა უძრავი ქრისტიანული დღესასწაულია, საუფლო პასექი (აღდგომა) კი მოძრავი, მაგრამ იშვიათ შემთხვევაში ეს ორი უდიდესი საეკლესიო დღესასწაული ერთმანეთს ემთხვევა ხოლმე, რასაც ბერძნულად «კიროპასხა», ანუ საუფლო პასექი ეწოდება და რაც, თავის მხრივ, იმის აშკარა მინიშნებას წარმოადგენს, რომ აღდგომის მისტიურ მოვლენას ადგილი ჰქონდა 25 მარტს, კვირა-დღეს. ქართულ საეკლესიო წელთაღრიცხვაში ქრისტეს აღდგომის სიმბოლურ დროდ მინიშნული იყო დასაბამიდან 5635-ე წელი, ანუ ქორონიკონით XI მოქცევის 315-ე წელი, რაც ჩ. წ. აღ-ის 31 წლის 25 მარტის (კვირა-დღე) თარიღს ეთანადება (იხ. 44:162). ხაზგასმებულია ის გარემოება, რომ ამ დროს ხარებისა და აღდგომის დღესასწაულთა ბედნიერ დამთხვევასთან, ანუ «კიროპასხა»-სთან გვაქვს საქმე. მსგავსი თანხედრება ანიანოს ალექსანდრიელის მიერ ქრისტეს მკვდრეთით აღდგომისათვის შერჩეულ თარიღის - ჩ. წ. აღ-ის 42 წლის 25 მარტის - შემთხვევაშიც და ჩ. წ. აღ-ის I ს-ის ფარგლებში კიდევ ერთხელ - 53 წლის 25 მარტს. ქორონიკონულ პასქალურ ციკლებზე დაფუძნებული ქართული «დასაბამითანი» წელთაღრიცხვის შემთხვევაში აღნიშნული სამიდან ერთადერთი მისაღები თარიღი მხოლოდ ჩ. წ. აღ-ის 31 წლის 25 მარტის კვირა-დღე იყო. ამასთანავე, სამყაროს არსებობის ხანგრძლივობა ქრისტიანთა შორის იმ დროს (III-IV სს.) გავრცელებული წარმოდგენის შესაბამისად ქართული ანბანისა და წელთაღრიცხვის შემქმნელებს, როგორც ითქვამს, განსახილველად ჰქონდათ 6000 წელი. მაშასადამე, ისინი ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის დღესასწაულის უკანასკნელად აღნიშვნას წინასწარმეტყველებდნენ სამყაროს არსებობის «უკანასკნელში», 5999 წლის 25 მარტის კვირა-დღეს, ანუ მათ მიერვე შემუშავებული 5600 და 5604-წლიანი წელთაღრიცხვის სისტემებით რომ ვიხელმძღვანელოთ, ჩ. წ. აღ-ის 399 და ჩ. წ. აღ-ის 395 წელს. უადრესად საინტერესოა ის ფაქტი, რომ ჩ. წ. აღ-ის 395 წლის 25 მარტი არის კვირა-დღე და რაც უფრო საგულისხმოდ მიგვანჩნია, ამ დროს ადგილი აქვს სწორედ «კიროპასხას» - საუფლო პასექს!!! ჩ. წ. აღ-ის IV ასწლეულში, ნიკეას საეკლესიო კრების (325 წ.) შემდგომ პერიოდში ეს გახლავთ ერთადერთი შემთხვევა, როდესაც ხარებისა და აღდგომის დღესასწაულების ერთმანეთთან დამთხვევას აქვს ადგილი; მომდევნო «კიროპასხა» 479 წლის 25 მარტის (კვირა) თარიღს თანხედრება. აღნიშნული ფაქტის უბრალო შემთხვევითობად მიჩნევის შესახებ აზრის დაშვება, ჩვენი აზრით, დიდი უსამართლობა იქნებოდა. გარდა ამისა, ინტერესი მოკლებული არ უნდა იყოს ის გარემოებაც, რომ ქართული საეკლესიო წელთაღრიცხვის შემქმნელებმა «მეორედ მოსვლის» საათის დაწყება ქრისტეს შობიდან IV ასწლეულის ბოლო წლებით განსაზღვრეს. მართალია, ქრისტიანთა მოძულე იმპერატორ იულიანე «განდგომილის» (361-363 წწ.) უფრო, ტრაგიკულმა სიკვდილმა წარმართობა ერთგვარად წელში გატეხა, მაგრამ მისი მიმდევრები და ლიბანოსის მსგავსი წარმართი სოფისტების მოწაფეები იულიანეს შემდგომაც არ თმობდნენ წარმართობის აღდგენის სანუკვარ ოცნებას. კერძოდ, როგორც ირკვევა, მათ შორის იმ დროს ფართოდ ყოფილა გავრცელებული რწმენა იმის შესახებ, რომ მათი ძველი ღმერთები მღვდელ უნდა გაცოცხლებულიყვნენ და ქრისტეზე გაემარჯვათ. წარმართი მისწები ხალხში ავრცელებდნენ ვითომცდა ძველ წინასწარმეტყველებას, რომლის თანახმად,

- მათი აზრით, პეტრე მოციქულის ჯადოქრობათა შედეგად, - ქრისტიანთაგან მოპოვებული ყველა წარმატება, IV ასწლეულით უნდა დასრულებულიყო და ჩ. წ. აღ-ის მე-400 წელი უნდა აღნიშნულიყო ქრისტიანობის სამარცხვინო დაცემითა და წარმართობის სრული ზეიმით. ხალხის ბნელი მასები, მიდრეკილნი ყოველივე გასაიდუმლოებლისაკენ, არცთუ აუღელვებლად ელოდნენ ხსენებული საუკუნის დასასრულს. იმპერატორები - არკადიუსი და განსაკუთრებით კი, ჰონორიუსი - ენერგიული ზომებით აკრწებდნენ წარმართთა აღნიშნულ ღმერთებს (იხ. 36:62). ნაკლებად საეჭვოა ის, რომ ქართული საეკლესიო წელთაღრიცხვის IV ს-ის 80-იანი წლების შუახანებში შემუშავების ფაქტი პირდაპირ კავშირშია აღნიშნულთან. დიდმა ბაკურმა და გრი ორმიზდმა წარმართული საზოგადოების ზემოხსენებული «წინასწარმეტყველების» საპირისპიროდ IV ასწლეულის გასულს ქრისტეს «მეორედ მოსვლის» მისტიური მოვლენის საათის დაწყებაზე მიუთითეს, საიდანაც, სხვათა შორის, თვალნათლივ ჩანს ისიც, თუ რა დროს მოვლენაა ქართული დამწერლობის შემოღება და როგორი მსოფლმხედველობისანი იყვნენ მისი შემქმნელები.

სპეციალურ ლიტერატურაში ერთხანს გაბატონებული იყო აზრი იმის შესახებ, რომ 532-წლიანმა პასქალურმა ციკლმა, რომელიც საფუძველად უდევს ქართულ საეკლესიო წელთაღრიცხვას, ჩვენში მხოლოდ VIII ს-ის II ნახევარში მოიკიდა ფეხი. დავითს ქვასვეტზე (VI ს.) რიცხვის «5320» დამწვების ფაქტმა, ვგონებთ, ცხადყოფს ის გარემოება, რომ ქორონიკონული წელთაღრიცხვა ქართული ეკლესიის მიერ გაცილებით ადრე იქნა შემოღებული (იხ. 3; 76:134, 141-142; 39:53). ამჟამად უკვე გამორკვეულია ის, რომ აღნიშნული ციკლის დაფუძნება III ს-ის ცნობილი ქრისტიანი პასქალისტის - ანატოლი ლაოდიკელის დამსახურებაა, მაგრამ V ს-მდე ის ფართოდ არ ყოფილა ცნობილი; მასზე ყველაზე ადრინდელი მინიშნებები დაკავშირებულია V ს-ის საეკლესიო მოღვაწეებთან - ანიანოს ალექსანდრიელის და ვიქტორიუს აქიტანელის სახელებთან (26:108). «დიდი ინდიქტიონის» სახელით ცნობილი 532-წლიანი ციკლი პასქალურ გამოთვლებში რომ მანამდე გამოიყენებოდა, ამას ნიკეას 325 წლის მსოფლიო საეკლესიო კრების მისაღებიც ცხადყოფენ. სხვათა შორის, იგივე ციკლი გამოუყენებია VI ს-ში ეროვნული წელთაღრიცხვის რეფორმირების პროცესში (რომელიც ადგილობრივი ეკლესიის პასქალისტის მოწესრიგების მიზნით ჩატარდა) სომხეთის ქრისტიანულ ეკლესიასაც (53:42-44).

მათემატიკოსებმა ნ. კანდელაკმა და გ. ცერცვაძემ არგუმენტებულად ცხადყვეს ის გარემოება, რომ ქართული დასაბამიდან «მეორედ მოსვლამდე» განვლილი დროის ხანგრძლივობის ძირითადი საზომი ერთეული - 532 წელი არის მეგობრული რიცხვების პითაგორას წყვილისა («220» და «284») და სრულყოფილი რიცხვის «28» არითმეტიკული ჯამი, რაც წარმოადგენს ცნობილი ბიბლიური იდეის უშუალო განვითარებას, რომლის მიხედვით სამყაროს ექვს დღეში შექმნა რიცხვის «6» სრულყოფილობითაა განპირობებული (42:145). მათემატიკოსთა ხსენებულმა დუეტმა კართი მეტად საყურადღებოდ დასკვნაც გააკეთა, რომლის თანახმად დიონისე მცირემ თავისი წელთაღრიცხვის ეპოქის დადგენისას ისარგებლა «ქართველი ანონიმი კომპიუტისტის» მიერ ჩატარებული გამოთვლებით და ქრისტეს ცხოვრების ხანგრძლივობის მოკლე ვადიანი კონცეფციით (42:146). მაშასადამე, VI ს-ის I ნახევარში ქართული ქორონიკონული წელთაღრიცხვა არათუ არსებობდა, არამედ იგი ცნობილი ყოფილა გარე სამყაროშიც. ამდენად, შემთხვევითი არ არის ის ფაქტიც, რომ შემდგომში, VIII ს-ის გასულს ქართულ წერილობით ძეგლებში უკვე ვხვდებით წელთაღრიცხვის აღნიშნულ სისტემას, თუმცა მისი სხვა მსგავსი სისტემებისაგან (მაგ. ბიზანტიური, იერუსალიმური, ალექსანდრიული და ა.შ.) განსხვავებულობის მიზეზი X ს-თვის ჩვენში უკვე აღარ სცოდნიათ.

ბესიკ ხუციშვილი (გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ლია წერილი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს ქალბატონ თამარ ბერუჩაშვილს

ჩვენ, ლტოლვილებს აფხაზეთიდან, მიუხედავად იმისა, რომ ყოველდღიურად ვგრძობთ ხალხის თანადგომის ჩვენდამი, ძალიან გვენატრება აფხაზეთი. ჩვენი სახლ-კარი, რომელიც ყოფილი მთავრობების უგუნურებამ დაგვაკარგინა. აბა, რას მივაწეროთ ის, რომ ვითომ ჯარი იყო საჭირო აფხაზეთის რკინიგზის სადგურებში ტვირთების გასაკონტროლებლად. ისინი უკვე კონტროლის ხელმძღვანელობით შეჯღიჯინდნენ სოხუმში ტანკებით (ჯარს კი არა მილიციას უნდა დაეცვა სადგურები) და შუაგულ სოხუმში ესროლეს ლენინის ძეგლს, თავი მოაძრეს, აფხაზეთის დროშა ჩამოსხრეს მთავრობის შენობიდან და თბილისში გააფრინეს. აი სწორედ ასეთმა უგუნურმა - მოღალატეობრივმა ქმედებებმა დაგვაკარგინა აფხაზეთი - სააკაშვილმა კი ეს არ იმყოფინა და თავისი პროვოკაციებით ოსეთიც დაგვაკარგინა, მისცა რა საშუალება რუსეთს დაუფლებოდა ორივე რეგიონს - არის დიდი ალბათობა იმისა, რომ მან ეს განახორციელა შეგნებულად და ის მტერია საქართველოს.

გამოსვლით ერთია. როდენ მიძე არ უნდა იყოს ჩვენთვის, რუსეთისადმი დამოკიდებულება უნდა შევცვალოთ. კი ბატონო, გეთანხმებით - რუსეთი ოკუპანტია - ეს ჩვენ ლტოლვილებს და არა მარტო ლტოლვილებს, საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას გათიხვინებულს აქვს, მაგრამ ახლა რა ვქნათ - ვიძახოთ რუსეთი ოკუპანტია და ამით გამოვა რამე? მოვიტანს ეს კარგს? - რა საკვირველია არა - ამიტომ ჭკუით უნდა ვიმოქმედოთ - ეს ჩემზე უკეთესად თქვენ უნდა იცოდეთ ხელისუფალნი.

ახლა კი შევეხებით თქვენს წერილს, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთ "ახალი თაობის" ფურცლებზე 2015 წლის 17 იანვარს.

ორი წლის ანგარიში, ისევე როგორც მთავრობის მუშაობა, იმსახურებს ყურადღებას - ბევრი კარგი რეფორმა ჩატარდა როგორც ჯანდაცვის, ისე ბევრ სხვა სფეროში, მაგრამ საზოგადოების უმრავლესობა ხედავს, რომ ერთი უკიდურესობიდან ვვარდებით მეორეში. თქვე ოჯახაშენებულებო, რომ დაგინებთათ ვეროკავშირი გაუცაკეთებო, დავიჯერო, გაზეთებს არ კითხულობთ? თუ კითხულობთ უნდა იცოდეთ, ინგლისის, იტალიის, საბერძნეთის და სხვა ქვეყნების ხელისუფალნი 2015 წელს აპირებენ ვეროკავშირიდან გამოსვლას. თან ამერიკას რომ ეტმსნებით რა გაგვიკეთა? ერთი გვახსოვს 2008 წლის ომში პამპურებით დაგვეხმარნენ. მათ მხოლოდ ჩვენი ჯარისკაცები და ტერიტორია სჭირდებოდათ. არა მგონია ეს თქვენ მთავრობას არ ესმოდეს. იცოდეთ, ორი კურდღელი ჯერ ერთდროულად არავის დაუჭერია. არ სჯობია მონურ დამოკიდებულებას საქართველოს მთავრობამ აკეთოს საქართველოს საქმე? რასაკვირველია ვიყოთ კარგად როგორც ამერიკასთან ისე ვეროპასთან მაგრამ რუსეთთან მოლაპარაკებებით ვეცადოთ ჩვენი პრობლემების მოგვარებას. (ამას თვითონ ამერიკა და ევროპა გვეუბნება) რაც უფრო გაბედულად დავიწყებთ ქართველები დამოუკიდებლად საქმის კეთებას, მით უფრო პატივით მოპყრობას დავიმსახურებთ - ეს თქვენ ჩემზე უკეთ უნდა იცოდეთ.

თქვენ ანგარიშში ამბობთ (ეს გაზეთებში იბეჭდება) რომ რუსეთი არასწორ პოლი-

ტიკას ატარებს უკრაინის მიმართ, რომ რუსეთი პროვოკაციულ გზას დაადგა უკრაინასთან მიმართებაში. როგორ ფიქრობთ, ეს გაუხარდება რუსეთს? ამის შემდეგ რატომ ითხოვთ რუსეთის ჩვენდამი პატივისცემას. ყველაფერი ზემოთ თქმულის გვერდის ავლა შეიძლებოდა, მაგრამ თქვენმა მონურმა დამოკიდებულებამ ამერიკასა და ევროპისადმი გაიძულათ ასე მოქცეულიყავით, რასაც საზოგადოება სინანულით აღიქვამს. ასეთი პოლიტიკის გატარებით თქვენდამი ნდობა ნელ-ნელა ქრება.

თქვენ ავრძობთ რუსეთთან მიმართებაში საუბარს და ამბობთ, მის მიმართ სანქციები არის საუკეთესო სტრატეგია აგრესიის შესაჩერებლად - კიდევ მეტიც, ამბობთ რომ უკრაინაში მრჩეველთა მისი-აში აპირებთ მონაწილეობის მიღებას. ამას დაეუმატოთ ის, რომ მთავრობა ნატოს საწვრთნელ ბაზას აყალიბებს საქართველოში და მრავალი სხვა. როგორ ფიქრობთ ეს ვის მოუწონება, რუსეთს? და საპასუხოდ რას მოიმოქმედებს - კიდევ არ ჩამოგვაჭრის ტერიტორიებს? თქვენ მრავალი წლის დიპლომატიური მუშაობის სტრატეგია გაქვთ და ეს არ უნდა შეგეშალოს.

ხელმძღვანელ თანამდებობებზე მოღვაწე მოხელეები გაზეთებს რომ არ კითხულობენ და ისტორიაში მოიკოჭლებენ, იქედანაც ჩანს, რომ ეთაყვანებიან უკრაინის მთავრობას, რომელიც ბუნდერას მიმდევრები არიან და ის უკვე ეროვნულ გმირად პყავთ აღიარებული. ეს ის ბუნდერაა, რომელიც პიტლერის არმიასთან ერთად მსოფლიო ბატონობისათვის იბრძოდა და ხოცავდა ხალხს, მათ შორის ქართველებს. მათი ტყვეა მეც მეორე - მსუბუქად დავიჭერი მეორე მსოფლიო ომის პერიოდში. ამჟამინდელი უკრაინის მთავრობის ხელმძღვანელები კი მათი საქმის გამგრძელებელი და ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი აგენტურის შვილები და შვილიშვილები არიან - ნახევარზე მეტი ეროვნებით უკრაინელი არაა, ან დედის გვარზეა, ან კიდევ ვინ იცის ვისი. გაიგეთ ეს, რომ მათი ხელმძღვანელობით დიდი ისტორიის მქონე უკრაინელ ხალხს - უკრაინას გამარჯვება არ უწერია, შეიძლება დაიშალოს კიდევ.

მოუწოდებთ ბატონ ირაკლი ღარიბაშვილის ხელისუფლებას სათანადოდ აღნიშნოს ფაშისზე გამარჯვების 70 წლის თავი, რომელსაც მივლი მსოფლიო 2015 წლის 9 მაისს აღნიშნავს. სათანადოდ დაფასონ მეორე მსოფლიო ომის მონაწილე ქართველი ვეტერანები, რამეთუ ფაშისში გამარჯვება ქართველებისთვისაც ტრაგიკულად დამთავრდებოდა. ქართველებს გადასახლება ელოდათ, საქართველო კი გერმანელების ელიტურ დასახვეწებულ ადგილად იყო მიჩნეული.

ჩემი ვინმეს თუ არ სჯერა ვურჩევ წაიკითხოთ - გაზეთ "საქართველო და მსოფლიოში" ბატონ გიორგი ვაჩივილიანის ავტობიოგრაფიის წერილები სათაურით: "გერმანიის გაკვეთილები უკრაინისათვის და არა მხოლოდ მისთვის", სადაც მოყვანილი უტყუარი ფაქტები ადასტურებს ჩემს მოსაზრებებს - განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ბატონი გიორგი დეტალურად აღწერს პიტლერებთან მათ კავშირს, ფლობს მდიდარ მასალებს და ვრცლად აშუქებს მათ. ბოლოს და ბოლოს ყველამ უნდა გააცნობიეროს სიმართლე იმის

შესახებ, რომ გადატრიალება უკრაინაში მოაწყო ამერიკამ და მისი აღზრდილები ბუნდერას ნაციონალური პარტიიდან დასვა უკრაინის მმართველებად. მისი მიზანი ცნობილია. უნდა რუსეთს ალყა შემოარტყას და მისი აზრით დაშალოს - მოსკოვს და მსოფლიო ბატონ-პატრონი გახდეს - მასთან ერთად დაანგრიოს, მოსკოვს მართლმადიდებლობა... მოსკოვს ყოველგვარი ეროვნული, რამეთუ თვითონ უეროვნოა და იცის, რომ უეროვნო ხალხის მიწა-წყალს ადვილად დაეპატრონება.

რომ არ დამავიწყდეს უნდა შეგახსენოთ სავიზო რეჟიმის გაუქმების შესახებ. როგორც ფიქრობთ, ევროკავშირის ქვეყნებთან სავიზო რეჟიმის გაუქმება (რასაც დიდი ზემოთ ხედება მთავრობა) ისედაც დაცლილ საქართველოს დიდ უბედურებას არ მოუტანს? მშვიდი ხალხი წავა და საქართველოს წალოკო მიწა-წყალს დაეპატრონებიან უცხოელები. სწორედ ეს უნდათ - ჩვენი სთანა ტრადიციის - მართლმადიდებელი ერი არც ამერიკას და არც ევროკავშირს არ ეპიტნავენა.

ჩვენ ხელისუფალთა მონური დამოკიდებულების მკაფიო მაგალითია ამერიკის ელჩი საქართველოში. ის როგორც ძველად მოურავი ყველგან არის.

ჯობია მთავრობამ მიხედოს საქართველოს, გაწმინდოს დამნაშავე პროკურორებისა და სხვა უდროს ელემენტებისგან, რომლებიც განაგრძობენ ამჟამინდელი რეჟიმის მომხრეთა უკანონო დასჯას. ამის მაგალითია ემზარ კვიციანის და სხვათა საქმე.

სირცხვილია, კვანთა, შარაძის, რობაქიძის, ვახაგაშვილის და სხვათა საქმე ჯერ კიდევ გაუსხნელია.

დროა სააკაშვილის პირსისხლიანი დროის დამნაშავეები სათანადოდ დაისაჯონ, თქვენ კი მხოლოდ ნაციონალების მიერ წამოყენებულ საკითხებზე პასუხის გაცემით ხართ დაკავებული. თავზე წამოგაფლდა ნაციონალიზმი, გაჯეჯილდნენ პარლამენტში - იმის მაგივრად, რომ ყველგან - რადიოში, ტელევიზიებში, პარლამენტში, არასამთავრობო ორგანიზაციებში და სხვაგან ყოველ დღე ისმოდეს დამნაშავე ნაციონალებზე მსჯელობა და ფაქტების დადება, საზოგადოება ხედავს, რომ პირიქით ხდება - ისინი გადანაშაულებენ თქვენ.

მთავრობამ უნდა დაანებოს თავი ემაწვილების მოყვანას საპასუხისმგებლო თანამდებობებზე. მარტო განათლება, მეცობრობა ან ნათესაობა არ უნდა იყოს გადამწყვეტი ფაქტორი. მოიხილეთ გამოცდილი კადრები, რამეთუ გამოცდილება გამარჯვების საწინდარია.

ლაპარაკობთ კადრები არ არისო - ტყუილია ეს. სად არის ყოფილი სოფლის მეურნეობის მინისტრი? - გამოცდილი პიროვნება, რომელიც ტყუილბრალად გაავადეთ. დააბრუნეთ ის, ხოლო ამჟამინდელი მინისტრი 4-5 წელი აშუშავთ განყოფილების უფროსად და ამის შემდეგ ის თამამად შეიძლება დაწინაურდეს მინისტრად.

თუ ადამიანს დანაშაული არ ჩაუდენია და კარგად მუშაობდა შევარდნაძის თუ სააკაშვილის დროს რატომ არ უნდა დაწინაურდეს? ასეთები ბევრია - მინდია უგრეხელიძე, ლადო ჭანტურია, ნოდარ ჭითანავა, ვანო კიდურაძე და მრავალი სხვა. სჯობია გამოასწოროთ სააკაშვილის

მიერ ჩადენილი დანაშაული და ალაღვიოთ ქუთაისში დანგრეული მემორიალი. დაღვთო გორში მუხუცების ეპოქაში მინც სტალინის ძეგლი. სირცხვილია თუ არა დანაშაული, გენიოსი, რომლის წინაშე ქედს იხრიდნენ კაპიტალიზმის ისეთი იდეოლოგები, როგორებიც იყვნენ რუსველტი და ჩერნილი - პიტლერს შეადარო, როგორც ეს გააკეთა თქვენი მთავრობის წევრმა, ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ქალბატონმა ფანჯიკიძემ.

ნუთუ მთავრობას არა პყავს პიროვნებები, რომლებიც გაანალიზებენ პერიოდულ პრესას და მოახსენებენ ხელისუფალთ, ან სად არიან თქვენი მრჩეველები?

ეს რომ ასეა ისიც ამტკიცებს, რომ ჩვენ ვეტერანებმა, როცა სახსრების უქონლობის გამო შეწყვეტა გამოცემლობა გაზეთმა "საქართველოს ვეტერანი", წერილობით და პრესის მეშვეობით ვითხოვეთ საქართველოს მთავრობას გამოეყო საქართველოს ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა კავშირისათვის 150 ათას ლარამდე, რაც უპასუხოდ დარჩა. მაშინ, როცა შევარდნაძის მთავრობის დროს ამ კავშირს 300 ათას ლარამდე ყრიცხებოდა და "საქართველოს ვეტერანი" გამოდიოდა მრავალგვერდიანი დიდი ტირაჟით. ამჯერადც ვითხოვთ ვეტერანთა კავშირს გამოეყოთ თანხა გაზეთის გამოსაშვებად.

მინდა შევეხო პრეზიდენტისა და მთავრობის მეთაერთობას. შეწყვიტეთ საჯაროდ ერთმანეთთან კამათი, სირცხვილია და თქვენი იმიჯის დაცემის მეტს არაფერს ემსახურება. რა საჭირო იყო კალაძის და საგანგებო გამოსვლა პრესაში, გინდათ თქვენმა მსოფლიო გაიგოს ამის შესახებ? - აი სწორედ ესაა გამოცდილების არ ქონა. ასე შორს ვერ წახვალთ. საზოგადოებამ იცის დადებითი და უარყოფითი მხარეები პრეზიდენტისა, მაგრამ მისი გახმაურება, როგორც ადვინუნთ საქმეს არ წაადგება. იმსჯელოთ მთავრობის შიგნით, სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით - რაც აუცილებლად შედეგს გამოიღებს.

ალბათ იტყვით, ვინ არის ეს კაცი ჭკუას რომ ვგარვიგებო, მაგრამ 90 წელს მიღწეული ადამიანის აზრი, რომლის თავზე ათას კარგსა და უბედურებას გადაუდგია, შეიძლება სასარგებლო იყოს. თქვენი მთავრობის გამარჯვება სულითა და გულით მსურს!

ამჯერად ვთხოვთ სხვა შეცდომების ჩამოთვლას და ვთხოვთ და მოგიწოდებთ ხალხის წინაშე აღებული ვალდებულებების შესრულებას, რომელმაც დიდწილად განაპირობა თქვენი გამარჯვება - სხვა შემთხვევაში ხალხი მალე გეტყვით არას და თუ ეს მოხდა თქვენი მოღვაწეობა დამთავრდება სრული კრახით. ხოლო სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმის ჯალათების ხალხი საკადრის პასუხს გაცემს და მიაბრძანებს იქ, სადაც ისინი ცოცხებით აუპატიურებდნენ უდანაშაულო ადამიანებს - დაისხმეთ ეს!

მამანტი ჯოლია,
აფხაზეთიდან დევნილი ქართველ უხუცესთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, აფხაზეთის ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა კავშირის საპატიო თავმჯდომარე, ნორდენისა და 29 მედლის კავალერი, გადამღვარი პოლკოვნიკი

“მიუძახებია, წელიწადნახევარში ნახევარ საქართველოს ციხეში ამობალებო” - რა საუბარი შედგა აღეიშვილსა და ქართველ ბიზნესმენს შორის “ჰილტონში”

ბრიუსელში ევროპარლამენტის პრესკლუბის ფოიეში გამოფენა, სახელწოდებით "საკაშვილის რეჟიმის სისხლიანი ქრონიკა" გაიმართა. არასამთავრობო ორგანიზაცია "ყველა თაობა საქართველოსთვის" თავმჯდომარის, ვია სალუქიძის ორგანიზებით ფილმის ჩვენებაც მოეწყო, რომელიც ბოლო პერიოდში საქართველოში მომხდარ განხარგრეულ საქმეებს ეხებოდა. სწორედ ამ ფაქტის შესახებ ვითხროლებს კომენტარი ბატონ ვიას, თუმცა საუბარი მის მიერ გავრცელებული ინფორმაციით დავიწყეთ, რომელიც ზურაბ აღეიშვილს შეეხებოდა: - ერთ-ერთ ინტერვიუში ვთქვი "შერატონი", მაგრამ ახლა დავაზუსტებ, - ეს მოხდა უკრაინაში, სასტუმრო "ჰილტონში", იანვრის დასაწყისში, ჩემი მეგობარი ქართველი ბიზნესმენი (რომელიც უახლოეს მომავალში თვითონაც გადაკეთებს ამაზე განცხადებას) იყო შესული და დაინახა, რომ აღეიშვილი და "ნაციონალური მოძრაობის" სხვა ლიდერები (ვაშაძე, საყვარელიძე და სხვ), ისხდნენ და ლაპარაკობდნენ. ეს ბიზნესმენი აღეიშვილის დროს იყო რეპრესირებული და გაკვირვებული მისთან მასთან და უთქვამს, აქ რა გინდაო და არც თუ ისე დაბალი ტონით უსაუბრია. როგორც ჩემმა მეგობარმა მითხრა, თურმე აღეიშვილი მშვიდად უსმენდა მის ლაპარაკს, ერთი სიტყვაც კი არ უთქვამს, მაგრამ როცა ეს წამოხვალა, აღეიშვილს მიუძახებია - წელიწად-

ნახევარში განვენებთ რასაც ვიხამო, ნახევარ საქართველოს ციხეში ამობალებო. ხედავთ, აღეიშვილი საკუთარ განზრახვას, ადარც მალავს, თავისუფლად გადაადგილდება, ხან "ჰილტონში" და ხანაც "შერატონში" და აკეთებს იმას, რაც თვითონ სურს. - რა აძლევს ასეთი განცხადების საბაბს? - რა აძლევს ამის საშუალებას და ის მოტაცებული ფული, რაც მან და მისმა მეგობრებმა ხელისუფლებაში ყოფნის დროს იშოვეს. სწორედ ამ ფულის იმედი აქვთ, რომ მობრუნდებიან ხელისუფლებაში და სათავეში ყოფნით კვალავაც დატკბებიან. მერე ისევე ქართველი ხალხის ხარჯზე იშოვიან ფულს. მათ იმდენ აძლევს ისიც, რომ საქართველოში ისევე აქტიურად თარეშობენ "ნაციონალური მოძრაობის" ლიდერებს, რომლებსაც ფაქტობრივად სისხლის სამართლის დანაშაული აქვთ ჩადენილი და მიუხედავად ამისა ციხეში არ სხედან. მე როგორც იურისტი გეტყვით, რომ არ შეიძლება ადამიანს ამდენი დანაშაული ჰქონდეს ჩადენილი და არ იჯდეს ციხეში, ესაა პარადოქსი და დანაშაულიც კი, როდესაც დამნაშავეს არ ეხდება საკადრისი. - როგორ ფიქრობთ, რატომ იკრიბებიან უკრაინაში? - როგორც ჩანს, უკრაინის დღევანდელი პრეზიდენტი სააკაშვილის მიმართ გარკვეულწილად დავალებულია და

თან "ნაციონალებმა" უკრაინას თავის თავი მიაწოდეს, როგორც "დემოკრატიის შუქურა" და ამთავც როგორც ჩანს, მიიღეს. - ევროპარლამენტში თქვენს გამოფენაზე მინდა გკითხოთ... - ჩვენ ევროპარლამენტარებს ვაჩვენებთ დოკუმენტური კადრები, თუ რას სხადიოდა "ნაციონალური" რეჟიმი საქართველოში. დამოწმებთ, რაც იქ მოხდა, იმას არც ჩვენ ველოდით. მათთვის ეს შოკისმომგვრელი იყო და ამას განცხადებებშიც არ მალავდნენ. ჩვენ მოვახდინეთ როგორც ფოტო-ვიდეო მასალის დემონსტრირება, ასევე დავარიგეთ ბუკლეტებიც, რათა უფრო მეტ ხალხს ჰქონოდა საშუალება გაცნობოდა "ნაციონალების" "გმირობებს". - მოახდენს ეს გავლენას? - აუცილებლად ექნება შედეგი. უბრალოდ, მე ჩვენს ხელისუფლებას მოეწოდებ კიდევ უფრო მეტი აქტიურობისაკენ და დანახოს დემოკრატიულ ქვეყნებს, რომ თვითონაც რაღაცას აკეთებენ. მთვარია, რომ დამნაშავე იყოს საკადრისად დასჯილი. ჩვენ უდანაშაულო ადამიანებს ვეჭვრდნენ და ახლა დამნაშავეები არიან გარეთ. ამას აუცილებლად უნდა მიხედოს ხელისუფლებამ. **ლ. ბოგოლაძე**



ნიმე ღობორჯიშიძე – ორიოდ სიტყვა მიცნიერების მართვისა და ბანკარბვის საფრთხეზე წინათქმასად

გამოთქმა „მისამართი შეგუშალა“ ქართული ენის მყარი ფრაზოლოგიზმია, რომელიც სალიტერატურო ენასა თუ კარგონში, ოფიციალურ და არაოფიციალურ მეტყველებაში არცთუ იშვიათად შეგხვდება. იგი საკმაოდ მოხერხებული ენობრივი მეტაფორაა, რომელიც იმპლიციტურ დონეზე ზუსტად აღწერს ობიექტის გაუმართლებელ გადახვევას, გადახრას მისთვის ბუნებრივი გზიდან ან დაწესებული საზღვრებიდან.

ამ ფრაზოლოგიზმის პროდუქტობა, ენაში მისი გამოყენების სიხშირე, შემთხვევითი როლია: ფუნქციონირების, გაერცვლებისა თუ გაყვანის სფეროებში „მისამართის შეშლა“ ჩვენი სახელმწიფოებრივი, კულტურული და რელიგიური ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე ნაცნობი და „უწყინარი“ მოვლენაა, ცხადია, უამრავ ბევრად უფრო „საწყინარი“ მოვლენასთან შედარებით. ალბათ, გაგიკვირდებათ, ასეთი ჩვეულებრივი რამ რა გამოსარჩევი იყო. შეიძლება ასეცაა, მაგრამ მე მაინც გეტყვით ჩემს სათქმელს.

„ვიცი, ბოლოდ არ დამიგმობ ამა ჩემსა გარდასულსა, კაცი ბრძენი ვერ გასწირავს მოყვარულსა“ რუსთაველი

გასული საუკუნის ბოლოს საქართველოს ერთიანობის გაფრთხილების მოტივით ორმა ქართველმა ენათმეცნიერმა სცადა გამოეყენებინა ყოფილ საბჭოთა სივრცეში კარგად აპრობირებული მეთოდი, საენათმეცნიერო საკითხებით მანიპულირება. აფხაზური ენის მკვლევარმა, ყოფილი „მოავლიტის“ თანამშრომელმა, ახლა ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტის პროფესორმა, თეიმურაზ გვანცელაძემ და ბათუმის ყოფილი პრეფექტმა, ამჟამად ქუთაისის აკადემიის წევრის უნივერსიტეტის პროფესორმა, ტარიელ ფუტყარაძემ [1] განსაკუთრებული აგრესიულობით დაიწყეს მეცნიერთა მიერ აღიარებული და მეთოდოლოგიურად დადასტურებული ქართველურ ენათა თეორიის უარყოფა. როგორც ქართულ, ისე უცხოურ სამეცნიერო წრეებში საყოველთაოდ გაზიარებული ეს თეორია ამტკიცებს, რომ არსებობდა წინარექტოვური ფუძეწარმოების დაშლის შედეგად მივიღეთ სამი ქართველური მონათესავე ენა: ქართული, მეგრულ-ჭანური და სვანური. სამივე ენა საუკუნეების განმავლობაში ერთმანეთის გვერდითადად მშვიდობიანად თანაარსებობდა – ისტორიამ არ იცის ქართველურ ენებს შორის ფუნქციური სფეროების გადასანაწილებლად თუ გასაყოფად გაჩენილი შუღლი. სალიტერატურო ქართული ენა და კულტურა საერთო ეროვნული ღირებულებაა, მასში ქართველთა ერთიანი ეროვნულ-კულტურული და სახელმწიფოებრივი ცნობიერება ინტერუმენტალიზებული; ჩვენი ისტორიის არცერთ ეტაპზე – ქართველურ ენათა საერთო ისტორიული წარსული კი მართლაც ძალიან ხანგაბილია – ამ ერთიანობას საფრთხე არ დამუქრებია.

წარმოიადგინეთ, ასეთი ხანგაბივი ისტორიით და საერთო ეროვნული ცნობიერებით შეკრულ ერთობას, სამეცნიერო მეთოდოლოგიით მკაფიოდ დადასტურებულ მონათესავე ენებსა და ამ ენების მატარებელ ქართველობას საუკეთესო იდეოლოგიურად ორი თუ სამი ენათმეცნიერი [2] სრულიად თვითნებურად უცვლის ენობრივ რუკას და სთავაზობს უსაფუძვლო, მეცნიერულ მტკიცებულებებს მოკლებულ თეორიას, რომ მათი ენები, მეგრულ-ჭანური და სვანური, ენები კი არაა, დი-ალექტები.

არ არის საჭირო ლინგვისტიკის და განსაკუთრებით სოციოლინგვისტიკის ცოდნა, დაკვირვებები კაცი ისედაც მიხვდება, რა დიდი საფრთხე იმალება საენათმეცნიერო საკითხებით ამგვარ მანიპულაციებში: მეგრულსა და სვანებს, ანუ ორ მილიონზე მეტ ქართველს, რომელთაც გარდა ერთიანი ეროვნული ქართული სალიტერატურო-სამწერლობო ენისა, ადგილობრივი არასამწერლობო ენებიც აქვთ და საერთო-ეროვნულ ქართულთან მათი თანაარსებობა არასდროს გამხდარა რაიმე თვალსაზრისით მტკიცებულად, უცებ უცხადებ, რომ ეს თქვენი სიმდიდრე, მეგრული ან სვანური ენები, სინამდვილეში დიდი-ქტები და რომ ენებად ისინი საბჭოთა სპეცსამსახურებმა შერაცხეს [3] თუ გაეითვალისწინებთ ენისადმი ამ ენის მატარე-

ბლის განსაკუთრებით მგრამობიარე დამოკიდებულებას და ისტორიულად კარგად დოკუმენტირებულ კონცეპტუალურ ციკლებს, იოლი მისახვედრია, რა საფრთხე იმალება ამგვარ მანიპულაციაში. ალბათ, ამ საფრთხეს მოერიდნენ ქართველი ლინგვისტები, როცა „წაუფრეს“ ორი ენათმეცნიერის ახირებას და საჭიროდ არ ჩათვალეს იმ აქსიომის მტკიცება, რასაც დღეს ენათმეცნიერებაში საერთო ქართველური ფუძეებისა და ქართველურ ენათა თეორია ჰქვია. მაგრამ აბსურდულ თეორიას წაერეებამ ვერაფერი დააკლო, პირიქით, ეს ფსევდოლენინგვისტიკური ქართველურ ენათა მოქმედი კლასიფიკაციის რევიზიას არ დასჯერდნენ და პატრიოტული ან მოღალატეობრივი ნიშნით ქართველ და უცხოელ ენათმეცნიერთა (ძირითადად ქართველოლოგების) კლასიფიკაციასაც შეუდგნენ. ტ. ფუტყარაძემ ორ ჯგუფად დაყო ენათმეცნიერები: პატრიოტებად და „საქართველოს დაშლა-დაქუცმაცების მომხრე პრორუსულ ძალად“ [4].

ქართველურ ენათა მიმართ ამგვარმა დამოკიდებულებამ დიდი თავსატეხი გაუჩინა ახალ კლასიფიკატორებს; მათაც კი ეს-ამუშაო, რომ „საქართველოს დაშლა-დაქუცმაცების მომხრე პრორუსული იმპერიული ძალების“ თანამოაზრეებად გამოეცხადებინათ ალექსანდრე ცაგარელი, იოსებ ყიფშიძე, თედო სახოკია, აკაკი შანიძე, ივანე ჯავახიშვილი, ვარლამ თოფურია, გიორგი ახვლედიანი, არნოლდ ჩიქობავა, გივი მაჭავარიანი, თამაზ გამყრელიძე და სხვა ცნობილი ენათმეცნიერები, რომელთა სახელსაც უშუალოდ უკავშირდება ამ თეორიის შექმნა და განვითარება. ამიტომაც ტაბუ დაადეს ცნობილ მეცნიერთა სახელებს, თითქმის ქართველურ ენათა თეორია მათი შექმნილი არ იყო, თითქმის სპარცხვინოთა ჯგუფში შეყვანილი უცხოელი ქართველოლოგები ამ თეორიის მხოლოდ ცალკეულ საკითხებს არ ამუშავებდნენ. მოკლედ, ტ. ფუტყარაძემ და თ. გვანცელაძემ „სამარცხვინოთა“ სიის პირველი, მთავარი და განსაკუთრებით საჩოთირო ათეული „გადამალეს“ და ასე შეადგინეს „საქართველოს დაშლა-დაქუცმაცების მოსურნე ენათმეცნიერთა“ შავი სია.

ახლა გადავხედოთ პატრიოტ ენათმეცნიერთა „საბატიო“ ჯგუფს. ცხადია, აქ მოხვდნენ თავად კლასიფიკატორები იმ „მოწინავე ქართულ საზოგადოებასთან“ [5] ერთად, რომელსაც თანამშრომლობას აპირებდნენ: აქაოდა მარტო ჩვენ კი არა, მათაც სჯერათ, რომ მეგრული და სვანური ქართველური ენები კი არაა, ქართულის დიდი-ქტები. ტ. ფუტყარაძის ეს ახალი თეორია თ. გვანცელაძემ რამდენიმე საუკუნით „დააქველა“ და იგი გერმანული წარმოშობის რუს ექიმს, ბუნებისმეტყველსა და მოგზაურს, იმპერატორიცა ეკატერინე მეორის ემისარს, იოჰან ანტონ გიულდენ-შტეტს დაუკავშირა. [7] აქ არ დავიწყებ კამათს იმის თაობაზე, რამდენად უადგილო და რბილად რომ ვთქვა, შეუფერებელია საენათმეცნიერო დისკუსიაში ექიმის, გეოგრაფისა და მოგზაურის, ან თუნდაც ცნობილი საზოგადო მოღვაწის მოსაზრებებით მანიპულირება; არაფერია გასაკვირი იმაში, „ენისა და კილოს საყოველთაოდ ცნება მეცნიერულისგან“ [8] რომ განსხვავდებოდეს, უცნაური და მიუღებელი ისაა, პროფესიით ენათმეცნიერი ტ. ფუტყარაძე და თ. გვანცელაძე მეგრულისა და სვანურის, როგორც ენების, განსაზღვრებისას არა ენათა იმანენტურ სტრუქტურულ ნიშნებს, არამედ სხვადასხვა პროფესიის ადამიანთა, მათ შორის საზოგადო მოღვაწეების, ემოციური შეფერილობის გამონათქვამებს რომ ყვრდნობიან.

ენათმეცნიერთა დაყოფამ პატრიოტებად და საქართველოს ერთიანობის მტრებად როგორც იქნა, გამოაფხიზლა ლინგვისტიკის პოლიტიზებულ ენათმეცნიერთა ბრალდებას ბევრმა ქართველმა და უცხოელმა მეცნიერმა გასცა პასუხი; პატრიოტთა აგრესიულ ახირებას გაშართლიანად იწოდეს „მეცნიერულად სამართლიანი და იდეოლოგიურად საშიში“ [9] მართლაც, იგი ცვეცხლთან თამაშს უფრო ჰგავს, ვიდრე კამათს, ვინაიდან ენისადმი ამ ენის მატარებლის მძაფრ ემოციურ განცდებს ეხება უხეშად. ენის სტატუსით მანიპულირება და საენათმეცნიერო საკითხების იდეოლოგიზება კარგად ნაცადი საბჭოური ხერხია, ენის მატარებელთა უკმაყოფილებისა და სამართლიანი გაღიზიანების გამოსაწვევად.

ორი ენათმეცნიერის სახიფათო და-ქინების მიუხედავად, მაინც ნაკლებად იყო მოსალოდნელი, რომ მათი ახირება რაიმე განსაკუთრებულ წონას შეიძენდა, რომ არა საპატრიარქოს, რბილად რომ ვთქვა, არამეცნიერული, არაკომპეტენტური და ამასთან ხმადაღლილ ჩარევა მეცნიერთა დისკუსიაში. სამწუხაროდ, საპატრიარქო სრულიად გაუმართლებლად ჩაერთო კამათში არა ერთ-ერთი მონაწილის, არამედ არბიტრის ფუნქციით. ჯერ იყო და საპატრიარქოს ტელეგადცემებით დაიწყო პროპაგანდა, რომ მეგრული და სვანური ენები კი არაა, არამედ დიდი-ქტები და რომ ენებად ისინი თურმე საბჭოთა სპეცსამსახურებმა გამოაცხადა. საპატრიარქოს მიერ ხელდასმულმა ტ. ფუტყარაძემ და თ. გვანცელაძემ საბჭო სპეცსამსახურების იდეების გამარცხვლებად მონათლეს ის ქართველი და უცხოელი ენათმეცნიერები, ვინც ქართველურ ენათა თეორიას ემხრობა.

ამ ისედაც საშიშ თამაშს კიდევ უფრო ამძაფრებდა ტ. ფუტყარაძისა და თ. გვანცელაძის აგრესიულობა ცნობილი ევროპელი ქართველოლოგების მიმართ. ტ. ფუტყარაძემ ქართველოლოგებს შორის გამორჩეულად მაღალი სამეცნიერო რეიტინგის მქონე ენათმეცნიერს, პროფესორ ვინფრიდ ბოლდერს, ვის სახელსაც ასე მჭიდროდ უკავშირდება ქართველური ენების შესახებ კვლევის ჩართვა საერთაშორისო სამეცნიერო დისკუსიებში, სამეცნიერო მეთოდოლოგია დაუწუნა და „საბჭოთა სტერეოტიპებით ახროვნება“ უსაყვედურა. [10]

უკეთესი დღე არც სხვებს დასდგომიათ. ზოგიერთ უცხოელ ქართველოლოგს ბრალდება „დაუმძიმეს“, საგანგებო მამხილებელი საბუთი შეუთითხნენ და მარქსისტულ-ლენინურ ენათმეცნიერებასთან პირდაპირი კავშირი „დაუდგინეს“. მაგალითად, თ. გვანცელაძემ მაინც ფრანკფურტის უნივერსიტეტის პროფესორს, იოსტ გიპერტს უცხოურ, განსაკუთრებით რუსულ, სპეცსამსახურებთან თანამშრომლობა დაუშეშტოცა იმით, რომ პროფესიით ირანისტი იოსტ გიპერტი სლავისტიკა და, ამდენად, რუსეთის იმპერიალისტური ინტერესების გამტარებლად გამოაცხადა. [11] პროფესორმა იოსტ გიპერტმა აღშფოთება ვერ დამალა – ის ხმამ სამართლებრივ ქვეყანაში ცხოვრობს და ვერც კი წარმოუდგენია, როგორ შეიძლება, საუნივერსიტეტო ეთიკამ ასეთი ცილისწამებლური ქმედება დაუშვას – და მკაცრი წერილით მიმართა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ გიორგი ხუბუას; წერილის ასლი მან გადაუგზავნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს, გელათის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს, საქართველოს მეცნიერებისა და განათლების მინისტრს, საქართველოს პატრიარქს.

პროფესორ გიორგი ხუბუასადმი გაგზავნილ წერილში იოსტ გიპერტი ითხოვდა მომხდარზე „სამეცნიერო ეთიკის ნორმების შესაბამისად“ რეაგირებას:

„ბატონო რექტორო, თქვენთვის გასაკვირი უნდა იყოს, რომ უფლება არა მაქვს, იგნორირება გაუკეთო ჩემ მიმართ გამოთქმულ შეურაცხყოფასა და ცილისწამებას, როგორც აკადემიური საზოგადოებისთვის შეუფერებელ და ყოველად გაუგებარ ქმედებას. მსურს დაინებოთ თხოვრობო, როგორც სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, შესაბამისი რეაგირება მოახდინოთ აკადემიური ეთიკის თვალსაზრისით და შეაჩეროთ საუნივერსიტეტო საზოგადოებისთვის ყოველად უდროსი ცილისწამებლური გამოსხივება თქვენი თანამშრომლის მხრიდან. მანამდე კი შეუძლებლად მიმაჩნია ჩვენი უნივერსიტეტების თანამშრომლობის შესახებ საუბარი. გარდა ამისა, მოვლენების განვითარებისა და შესაბამისად, უფლებას ვიტოვებ, თეიმურაზ გვანცელაძის ქმედებას მივეცე სამოქალაქო სამართლის შესაბამისი მსვლელობა“ [12]

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს ივანე ჯავახიშვილიც დაავიწყდა, სამეცნიერო ეთიკაც და საკუთარი პროფესიაც – ის იურისტი – და უპრეცედენტო რამ ჩაიდინა: არათუ დაინტერესდა იოსტ გიპერტის წერილში მონათხრობით, არათუ გაარკვია, საქმის რეალური ვითარება, პირიქით, უკიდურესად გაამწვავა საქმე უსამართლო ქმედებით: პროფესიით იურისტმა რექტორმა პირადი საუბრების

(რექტორის ასხნა) საფუძველზე გააუქმა ჰუმანიტარული ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილება იოსტ გიპერტის, ვინფრიდ ბოლდერისა და ბერნარ უტიესთვის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის მინიჭების თაობაზე და საბჭოს მიერ დადგენილი ამ სამი კანდიდატურიდან ამოავლო მისი აზრით საუკეთესო რეპუტაციის მქონე იოსტ გიპერტი. საინტერესოა, განდობილ პროფესორებთან საუბრის გარდა კიდევ რომელი ხანდო მეთოდოლოგიით იხელმძღვანელა მეცნიერმა იურისტმა, იოსტ გიპერტის არასანდობლობაში რომ დარწმუნებულიყო და საბჭოს გადაწყვეტილება შეეცვალა? რას ვიხამოთ, ისიც ქართველია და „მისამართი შეგუშალა“. ამაში ის არც პირველია და არც უკანასკნელი. ამიტომ პასუხსაც არავინ მოსთხოვს.

მოკლედ, კამათი ყოველგვარ სამეცნიერო საზღვარს გასცდა და ქართველოლოგიას, როგორც სამეცნიერო დარგს, აშკარად დაემუქრა ვეროპული და საერთაშორისო მეცნიერებისგან ჩამოშორებისა და პროვინციალურ და შოვინისტურ დარგად ქცევის საშიშროება. იგი აშკარად გადაიხარა მეცნიერულად დაუსაბუთებელი და იდეოლოგიურად საშიში თამაშისკენ. ამაში მას ისევე საპატრიარქოს ავტორიტეტი წამოეშველა, თორემ, ზემოთაც ვთქვი, ორი ადამიანის ახირება დიდი ვერაფერი საფრთხე იქნებოდა. საპატრიარქოს წარმომადგენლებთან შეხვედრებზე ქართველი ლინგვისტიკის პროფესიული პატიოსნებით იცავდნენ საკუთარ პოზიციას ქართველური ენების შესახებ. [13] მიუხედავად ამისა, ლინგვისტიკის მოსაზრებებით საპატრიარქო დიდად არ დაინტერესებულა, თავად გადაწყვიტა საენათმეცნიერო საკითხები – საქართველოს ერთიანობისთვის აჯობებს ენას დიდი-ქტები, ან რამე შეუადგური ტერმინი, ვთქვათ, განშტოება, დავარქვათ.

ლინგვისტიკა არგუმენტაცია საპატრიარქომ არასაკმარისად მიიჩნია და ენათმეცნიერების ინსტიტუტში ამ საკითხთან დაკავშირებით საგანგებოდ გამოიწვიო შეხვედრაზე მიტროპოლიტი ანანია ჯავარიძე მიავილია. შეხვედრის ყველა მონაწილემ კიდევ ერთხელ დაუდასტურა საპატრიარქოს წარმომადგენელს მტკიცე პოზიცია ქართველურ ენებთან დაკავშირებით და დაწერილობით უამბო იმ საფრთხეების შესახებაც, რაც ამგვარ ანტიმეცნიერულ და იდეოლოგიზებულ „დაკვეთას“ შეიძლება მოჰყოლოდა; ამასთანავე, შეახსენა ის მეცნიერული „უხერხულობაც“, რაც საენათმეცნიერო საკითხებით მანიპულაციას მოსდევს ხოლმე. ლინგვისტიკაში პატივისცემა და ერთგულება დაუდასტურეს მიტროპოლიტს, მაგრამ არ გაიზიარეს საპატრიარქოსთვის სასურველი თვალსაზრისი, რომელსაც არაფერი აქვს საერთო მეცნიერებასთან.

სხვათა შორის, აკადემიკოს ანდრია აფაქიძისადმი მიძღვნილ მეცნიერებათა აკადემიის სხდომაზე მიტროპოლიტმა თავის გამოსვლაში საგანგებოდ გაუსვა ხაზი, რომ ცოდნა და რწმენა მჭიდროდ უნდა დაუახლოვდეს ერთმანეთს და მეცნიერება ზნეობრივი უნდა გახდეს. ნუთუ ზნეობრიობასა და სიახლოვეში ამგვარ ყურმოჭრილ სამეცნიერო მორჩილებას გულისხმობენ ეკლესიის მესვეურები? თუ არა, მაშინ რა არის ასეთი უხეში ჩარევა სამეცნიერო კამათში, სამეცნიერო არგუმენტაციის მიმართ სრულიად გაუმართლებელი უნდობლობა, საენათმეცნიერო საკითხებით მანიპულირება და ცვეცხლთან თამაში ისეთი სათუთი და საფრთხილო კონცეპტებით, როგორიცაა ენის სტატუსი და ენის მიმართ ამ ენის მატარებლის დამოკიდებულება?

მიტროპოლიტ ანანია ჯავარიძესთან შეხვედრაზე ენათმეცნიერთა გამოსვლები ცალკე მონოგრაფიად დაიბეჭდა ზემოთ-დასახელებულ კრებულში ქართველური ენები და დიდი-ქტები (ერთი სამეცნიერო პოლემიკის გამო). შეხვედრის ყველა მონაწილემ – კრებულში თხუთმეტი ქართველოლოგი გამოსვლა დაბეჭდილი – ერთმნიშვნელოვნად დადასტურეს საკუთარ პოზიციას, რომ მეცნიერებაში ისინი „სხვა მოძღვარს“ ემორჩილებიან და არ აპირებენ ხელი აიღონ სამეცნიერო პატიოსნებაზე, არ აპირებენ მტკნარი სიცრუე მეცნიერულ ღირებულებად გამოაცხადონ. სწორედ ამ მიუღებელი სიცრუის საიდუმლო-ტრაციოდ შემოვთავაზეთ წინამდებარე წერილი.

მასალა მოგვწოდა ბატონმა ელემ ივორიამ

მართლა წყევლა ხომ არ ბვიწია?

ევრაზიის ინსტიტუტმა 2014 წლის 10-დან 17 ნოემბრამდე განხორციელა ბოლო ორი წლის მანძილზე მეორე სოციოლოგიური გამოკვლევა. ამჯერად გამოკითხვის თემატიკა მხოლოდ და მხოლოდ საგარეო პოლიტიკის ასპექტებს მოიცავდა, კერძოდ, საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულებას ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში (ნატო) ინტეგრაციისადმი და საკუთრივ ამ ორგანიზაციისადმი, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატებისადმი.

გამოკითხვა ჩატარდა ქალაქებსა და სოფლებში, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში. სავსებით შეგნებულად, მეთოდოლოგიური (და არა რაიმე სხვა) მოსაზრებით, ევრაზიის ინსტიტუტმა გვერდით აუარა ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებს – ქვემო ქართლსა და ჯავახეთს.

საველე სამუშაოებს ევრაზიის ინსტიტუტის თანამშრომლები აწარმოებდნენ რესპონდენტების საცხოვრებელ ადგილზე, მათი შემთხვევითი შერჩევის მეთოდით, და არავითარ ზეგავლენას მათზე არ ახდენდნენ. გამოკითხვა ანონიმური გახლდათ, რაც მითითებული იყო კიდევ ყველა ანკეტა-კითხვარზე.

ძირითადი დასკვნა: საქართველოს მოსახლეობა მთლიანობაში საკმაოდ სკეპტიკურად აფასებს ნატოსთან და შეერთებულ შტატებთან საქართველოს თანამშრომლობას. ამ დღეებში (2014 წლის ბოლო) რომ ტარდებოდა პლემბისციტი, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის რიგებში საქართველოს შესვლას, ყველაზე ოპტიმისტური გათვლებით, ამომრჩეველთა ნახევარზე ნაკლები მისცემდა ხმას.

მოსალოდნელია, რომ დასავლური საელჩოების მიერ დაფინანსებული ანგაჟირებული ორგანიზაციები ამ გამოკითხვის შედეგებს საკამათოდ გახდიან და მკვლევარის „ვერაზიულ“ დასახელებასე გაამახვილებენ ყურადღებას. მაგრამ ინსტიტუტი მზად არის, წარმოადგინოს ყველა შევსებული ანკეტა-კითხვარი, და, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია – დაუბეჭდოს ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად ჩატარების განხორციელების გამოკითხვა.

მთლიანობაში გამოკითხულია 1718 რესპონდენტი მთელი საქართველოდან. მათგან 825 მამაკაცი (48.5%) და 875 ქალბატონი (51.5%). გამოკითხულთა სოციალური სტატუსი: თვითდასაქმებულები – 22.8%, სახელმწიფო მოხელეები – 11.2%, ბიზნესმენები – 2.9%, უმუშევრები – 35.2%, პენსიონერები – 17.3%, სტუდენტები – 8.2%, დაქირავებული მუშაკები – 2.5%.

გამოკითხულთა ასაკობრივი დიაპაზონი ასევე დაბალანსებულია: 18-25 წელი – 14.5%, 26-35 წელი – 16.0%, 36-45 წელი – 20.9%, 46-55 წელი – 19.7%, 56-65 წელი – 14.7%, 65 წელზე ზევით – 14.1%. მოსახლეობამ აქტიური მონაწილეობა მიიღო გამოკითხვაში. განხილავთ 2012 წლის აგვისტო-სექტემბრისაგან, აშკარა ხალხის მეტი გაბედულება, გამოხატოს საკუთარი აზრი, ძალიან ცოტა იყო მათი

რიცხვი, ვინც უარი განაცხადა გამოკითხვაში მონაწილეობაზე ან ცალკეულ შეკითხვებს პასუხი არ გასცა. თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ ამჟამინდელი გამოკითხვა მხოლოდ საგარეო პოლიტიკას შეეხებოდა.

ცალკეული საკითხების კორელაციამ ევრაზიის ინსტიტუტის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგების საკმარისად მაღალი სანდობის ხარისხი აჩვენა. ამიტომ, ეს გამოკითხვა შეიძლება, ჩაითვალოს რეპრეზენტატიულად.

ევრაზიის ინსტიტუტი გეგმავს უახლოეს პერიოდში მოაწიოს მასშტაბისა და ყველა დანატარებული პირისათვის გამოკითხვის შედეგების პრეზენტაცია და გამოაქვეყნოს დეტალური მონაცემები (რეგიონული, სოციალური და სხვა თავისებურების გათვალისწინებით). აღინიშნა მხოლოდ, რომ ყველაზე „პრონატორული“ და „პროამერიკული“ რეგიონი აღმოჩნდა ქალაქი ზუგდიდი და ზუგდიდის რაიონი, ხოლო ყველაზე „ანტინატორული“ და „ანტიამერიკული“ შედეგები მცხეთისა და დუშეთის რაიონებში, ლტოლვილების ჩათვლით, აგრეთვე ქალაქ ბათუმში დაიღო.

როგორც ჩვენი შორეული წინაპრები იტყვდნენ: **„საწუხარია ფრიად, ესე ამბავი...“** ზუგდიდელთა პრონატორობისა...

ვიღაც გულუბრყვილოს შეიძლება ჰგონია, რომ ნატოში საქართველოს გაწევრიანებით ჩვენთან ამერიკული, ფრანგული ამ თუნდაც შეგული ჯარი ჩაღებდა. ეს კატეგორიულად გამორიცხულია, რადგან ამ ქვეყნების არმიათა გაქსეუბლ წარმომადგენლებს ნატომ მაღალი ხელფასები უნდა გადაუხადოს. ამიტომ, ალიანსის შესეურები შედარებით „იფფასიან“ სამხედრო ძალებს მოქმედებს საქართველოში ჩასაყვებლად. ასეთი კი სწორედაც რომ თურქეთის ჯარია.

აღბათ ძნელი წარმოადგენი არ იქნება, თუ როგორ საფრთხეს შეუქმნის ჩვენს ეროვნულ და რელიგიურ თვითმყოფადობას საქართველოში ასკრებისა და იანჩრების მოზღვაება...

სამრეოთხედიან მომავალი მომაკდინებელი საფრთხე ჯერ კიდევ 1996 წელს განჭვრიტა ცნობილმა ქართველმა პოლიტიკოსმა ბატონმა ალექსანდრე ჭაჭიაძემ ერცულ პუბლიცისტურ წერილში „საქართველოს ბორცვებზე ფეხის ჩრდილი ჩამოწვა“ სადაც კოალიციონსმა დაწვრილებით მიმოიხილა კავკასიის გასამუსულმანებელი ე.წ. „დიდი თურანის“ ავტორთა განაზრახი. დიახ, ალექსანდრე ჭაჭია გვაფრთხილებდა თურქული საფრთხის თაობაზე ჯერ კიდევ 1996 წელს, 19 წლის წინათ, როცა თურქეთი ჯერ კიდევ არ იყო ისე ძლიერად „ფეხშემოდგმული“ საქართველოში, როგორც დღესაა.

როცა წინდაუხედავ მაგანს ჭკვიანი კაცი გააფრთხილებს იმის თაობაზე, რომ მის გაუზრებელ ქმედებას შეიძლება გარკვეული საფრთხე მოჰყვეს, წინდაუხედავი კი ამ რჩევას უგულვებლყოფს, როგორც კი ეს უკანასკნელი რეალური საფრთხის წინაშე აღმოჩნდება, ჭკვიან

კაცზე იტყვის, რომ მაგან დამთარსაო.

ამასთან დაკავშირებით, ერთი სახალისო ამბავი მახსენდება, კახელ კაცს რომ შეემთხვა. ეს არაკი ერთ შარშანდელ წერილში ჩავსვი, მაგრამ იმდენად უპრიანია დღევანდელი მდგომარეობისთვის, რომ მისი ხელმოწერა მოხმობა ჩავთვალე საჭიროდ: მოდის კახელი მისო ტყეში ფიხის შესაგროვებლად და დაინახა, რომ მისი მეზობელი მიტუა მაღალ ხეზე შემომჯდარა და დიდს მონდომებით ხერხავს ხის იმ ტოტს, რომელზეც ზის.

– რასა შერევი, მიტუა, ეგრე ხომ ჩამოვარდები! – გააფრთხილა მისომ.

– წადი, საქმე ნახე, ჩემს საქმეში ნუ ერევი! – დაუდრინა მიტუამ და ხერხვა განაგრძო.

წავიდა მისო, შეაგროვა ფიხი, დაბრუნდა უკან და ხედავს, რომ მისი მეზობელი მიტუა ხიდან ჩამოვარდნილა, ტკივილები-საგან ოხრავს და იკლაკნება.

– ხომ გაგაფრთხილე, მიტუა, ჩამოვარდები-მეთქი, – უთანაგრძნო მისომ.

– შენ რომ კაცს დათარსავ, უარესიც დაემართება! – უსაყვედურა მიტუამ.

მართლაც ასეა ჩვენი საქმე – პოლიტიკოსი ჯერ კიდევ ცხრამეტი წლის წინ გვაფრთხილებდა, მაგ გზით ნუ ივლით, თორემ მტკივნეულად დაეცემითო, ახლა კი, როცა მისი ყველა ავი წინასწარმეტყველება აგვიხდა, ღამისაა ვუსაყვედუროთ – რატომ დაგვთარსე!

არა და, უკვე ხიდან ჩამოცვენილები რომ ვართ, იქიდანაც კარგად ჩანს, რომ ბათუმში თურქები ქართველ მღვდლებს ქუჩაში სიარულს უკრძალავენ, თბილისში, ადამაშენების გამზირზე, თურქი რესტორნის მეპატრონეები, საღამოს საათებში, ეთნიკურ ქართველებს რესტორნებში არ ატარებენ...

წარმოიდგინეთ, რომ ამას სწადიან სააკაშვილისა და თურქულ გათხოვილი დედამისის გიული აღსანიას ადვირასხინილი ძალადობის ქამს საქართველოში „სტუმრად“ ჩამობრძანებული თურქი მოქალაქეები, რომლებიც თითქოს და არ უნდა იყვნენ მიდრეკილი ძალადობისაკენ, მაგრამ განა ისტორიულად დამტკიცებული რეალობა არ გახლავთ, რომ ისინი ყოველთვის ატარებდნენ ფარულ თუ ღია სიძულვილს ქრისტიანების მიმართ?!

ახლა ისიც წარმოიდგინეთ, რომ როცა „ნატო“-ს ეგიდით საქართველოში თურქი სამხედროები შემოვიდნენ, როგორ მოგვეპყრობან ისინი.

ძალადობა და თავხედობა მერე ნახეთ თქვენ, რადგან ელემენტარული კულტურა და თურქი ასკერი ისევე დგანან „ახლოს“ ერთმანეთთან, როგორც მზე და დედამიწა! ეს, რაც შეეხება თურქეთის სახელმწიფო სტრუქტურებს, მაგრამ რა საფრთხეები შემოჰყვება ფუნდამენტურ ისლამიზმს, ეს კიდევ ცალკე მსჯელობის საგანია.

არ ვიცი ვინ როგორ ფიქრობს, მაგრამ საქართველოს საზოგადოების ჯანსაღი ნაწილი ამ პოლიტიკური ორომბილით-საგან კარგს რომ არაფერს გამოიღოს, ფაქტია!

ისიც საკითხავია, თუ ვის აძლევს ხელს საქართველოს პირისაგან მიწისა ალგვა? რა თქმა უნდა, მხოლოდ მათ, ვისაც ველში თევზის ფხად აქვს განხერილი ქართული ეროვნული ერთგულება ისტორიული ტრადიციებისა და მართლმადიდებლობისადმი.

ასეთებად კი მე მხოლოდ აგრესორი ამერიკელები და გაპედერასტებული ევროპელები მეგულებიან, რომელიც სოლომური ცოდვისადმი ჩვენს გაუცხოებასა და ზიზღს ჩვენს უკულტურობასა და ბარბაროსობას მიაწერს.

ქართველებს კი ვერა და ვერ მოგვიცლია საკუთარი საშინაო საქმეების მოსაგვარებლად და ახლა მხოლოდ იმ საქმეებით ვერთობით, რომელიც დამნაშავე ნაცების წინააღმდეგ არის აღძრული. ამასობაში კი თვალუბრებულად და ყურებმიყურსული მტერი ჯოჯოხეთად მოიწვეს ქართული მიწებისაკენ.

გაეხსენოთ, განა სწორედ სააკაშვილის ბოროტი ნების წყალობით არ ჩამოაშორეს აჭარას არწივით გადაფარებული ასლან აბაშიძე, რომლის ხეობის დროს თურქი მხოლოდ რამდენიმე საათით თუ შეპოხიდა და აჭარაში? ახლა კი აჭარაში 23 ათასი თურქი ცხოვრობს, რომელთაც ისევე ვერ ამოფხეკ აჭარიდან, როგორც 80 ათას სომეხს – აფხაზეთიდან. და იცით ვისი დამსახურებაა ეს? იმ ნაციონალების, რომელთაც, ჩვენდა დიდად სამწუხაროდ, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში სამეგრელოს მოსახლეობის უმეტესობამ „ერთგულად“ გამოუცხადა მხარდაჭერა. კარგით, ბატონო, შეიძლება არჩევნების შედეგი იმას მივაწეროთ, რომ სამეგრელოს მოსახლეობა დაშინებული ჰყავდა მკვლეელი ახალაიების ოჯახს, მაგრამ ახლა რისი შიში გაქვთ, ასე ჯოჯოხეთად რომ ადგახართ ნაციონალების საქართველოსათვის დამღუპველ კურსს?


ჩვენს წინაპრს უთქვამს: „ასჯერ გაზომე და ერთხელ გასჭერიო“. საქართველოს ისტორია გადაჭყდილია იმ საველელო ფაქტებით, როცა დაუფიქრებლად მიღებულია გადაწყვეტილებამ არაერთგზის დააყენა ჩვენი სამშობლო რეალური საფრთხის წინაშე. ასჯერ გაზომვა კი დღეს თუნდაც იმიტომ არის აუცილებელი, რომ ავადსახსენებელმა ნაციონალებმა და მათმა დორბლიანმა ბელადმა სააკაშვილმა მრავალი ფარული პოლიტიკური ნაღმი დაგვიტოვეს, რომელთა აფეთქებამ შეიძლება გამოუსწორებელი ზიანი მოგვაყენოს!

ამიტომ, სჯობს კარგად დაფიქრდეთ ჩემო კოლეგებო, ვიდრე გეზს იმ ნატოსაკენ ავიღებთ, რომელში გაწევრიანება სასიკეთოს არაფერს მოუტანს ჩვენს ქვეყანას.

ებრძვლებს ერთი საშინელი წყევლა აქვთ: „მტერ-მოყვარე ვერ გაგაერჩიოს ერთმანეთისაგანო“!

ნეტავი, ჩვენ ხომ არ გვიწია ამ წყევლამ? **როლანდ ჯალაღანიძე, უფრანდისტი**

Global Research: „ამერიკამ ნამდვილი ომი გააჩაღა კაცობრიობის წინააღმდეგ და მზალაა რუსეთის წინააღმდეგ ბირთვული ომის გასაჩაღებლად. ისტორიაში არც ერთი სახელმწიფო არ წარმოადგენდა მთელი მსოფლიო თანამებობრობისათვის ისეთი საფრთხეს, როგორცაა აშშ“



ქვეყნის ხელისუფლება მიმართავს ისეთ მეთოდებს, რომელთა გამოყენებაც დიქტატორებსაც კი ერიდებოთ. „ისინი იყენებენ მასობრივი განადგურების იარაღს: ქიმიურს, ბიოლოგიურსა და რადიაციულს. ასევე, ატარებენ ახალი სახეობის შეიარაღების ცდებს. ვაშინგტონი ამერიკის იმპერიის საზღვრების გაფართოებას მანამდე გეგმავს, სანამ აბსოლუტურ მსოფლიო ბატონობას არ მიღწევს. ამისათვის ის მზალაა რუსეთის

ანდა ირანის წინააღმდეგ ბირთვული ომიც კი გააჩაღოს“, – წერს სტატიის ავტორი ცნობილ ამერიკულ გამოცემაში.

„ბარაკ ობამა „ისლამურ სახელმწიფოსთან“ ომის საბაბით ცდილობს კონგრესი დაითანხმოს შეუზღუდავ ომზე მთელ მსოფლიოში. პირველივე დღიდან, როგორც კი ობამა პრეზიდენტი გახდა, მან ომი გამოუცხადა მთელ კაცობრიობას. არც ერთი სახელმწიფო ისტორიაში არ წარმოადგენდა ისეთ საფრთხეს მთელი მსოფლიო თანამებობრობისათვის, როგორცაა აშშ“ – აღნიშნავს Global Research.

„უკრაინელი სამხედროები ღონბასში პენტაგონის მითითებებით მოქმედებენ, ე.წ. ამერიკულ-უკრაინული ერთობლივი წვრთნები შესაძლოა სრულმასშტაბიანი სამხედრო შეჭრისთვის მომზადებას წარმოადგენდეს. ამერიკელებს განზრახული აქვთ ბრძოლების წარმოება რუსეთის საზღვრის უშუალო სიახლოვეს, რათა საჭიროების შემთხვევაში გააჩაღონ ამერიკა-რუსეთის კონფლიქტი. ამავდროულად, ათობით ამერიკელი სამხედრო ინსტრუქტორი სირიაში გასამგზავრებლად ემზადება. მათი

ამოცანაა ე.წ. „ზომიერი ოპოზიციის“ ბოვიკების გაწვრთნა“, – წერს ავტორი.

ბოლო სამი წლის განმავლობაში ამერიკულმა სპეცნაზმა ოპერაციები განახორციელა 150-ზე მეტ ქვეყანაში. სპეცნაზელების საქმიანობა არ კონტროლდება და არ შექდება პრესაში. მათი ძირითადი ამოცანებია, სახელმწიფო გადატრიალებების, პოლიტიკური მკვლელობების ანდა სამხედრო ინტერვენციის გზით მოახდინონ სიტუაციის დესტაბილიზაცია ქვეყნებში, რომლებიც დამოუკიდებელ პოლიტიკას აწარმოებენ.

„ბარაკ ობამა ემსახურება მხოლოდ მდიდრების ინტერესებს. ჩვეულებრივი ხალხისთვის მას მიუფერთხებიან. ამერიკის პოლიციურ სახელმწიფოდ გადაქცევის პროცესმა, რომელიც ბუში-უმცროსის დროს დაიწყო, ობამას დროს თავის აპოკეას მიაღწია... როცა საგოეთის გიჟები მართავენ, ყველაფერი შეიძლება მოხდეს, ყველაზე დიდი საშინელება კი – რუსეთთან ან ირანთან სამხედრო კონფლიქტი!“ – ასკენის სტატიის ავტორი.

ნოქალაქში-ლემპაამ-დიდი ჭყონის 17 კილომეტრიანი საავტომობილო გზის გახსნა

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა დავით შავლიაშვილმა, საქართველოს საავტომობილო დეპარტამენტის თავმჯდომარემ ვაჟა ფანჩულიძემ და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა ნოქალაქე-ლემპაამ-დიდი ჭყონის 17 კილომეტრიანი რეაბილიტირებული საავტომობილო გზა გახსნეს. პროექტის ფარგლებში, გზის სავალ ნაწილზე ასფალტობეტონის საფარი, რკინაბეტონის კოუკეტები, ბორდირები და ტროტუარები მოეწყო. საავტომობილო გზაზე ერთი ახალი ხიდი აშენდა, ხოლო ერთს რეაბილიტაცია ჩატარდა. რეაბილიტირებულ გზაზე სიმბოლურად 20-მდე ველომოყვარულმა გაიარა. აღნიშნული მონაკვეთი 5 სოფელს – ნოქალაქეს, ნახურცილაოს, ლემპაამეს, თამაკონსა და დიდ ჭყონს სენაკის ადმინისტრაციულ ცენტრთან აკავშირებს. პროექტის ღირებულებაა, დაახლოებით, 7 მილიონი ლარი შეადგინა. სამუშაოს „არქეოპოლისმა“ შეასრულა. დასაქმებული იყო 400-მდე ადამიანი.



პირთი აპიზორდი ახალი ქართველები სსოპრეხილნი

საკვირაოდ წასაკითხი დადავიორ მოქმედებად

მოქმედნი პირნი: ლეონარდო თათქარიძე - ორმოცი წლის ჩასუქებული ბიზნესმენი.

ჯენიფერი, ლეონარდოს ცოლი - ლამაზი გარეგნობის ქალბატონი.

ლიზი, თათქარიძის მისახლე - ლამაზი ქალიშვილი. ჰიპოპოტი და კისერზე ტატუ აქვს.

ჯორჯ მანიფელი - გაურკვეველი ასაკის მქონე ამერიკელი ბიზნესმენი. ლაპარაკობს დამტკრეული რუსულით და ქართულით.

მოქმედება მიმდინარეობს თათქარიძეების აგარაკზე, თბილისთან ახლოს.

მოქმედება პირველი

თათქარიძეების ორსართულიანი სახლის ფართო აივანი. კედელზე კიდია წითელი ვარდებით შემკული სოროსის პორტრეტი. მის შორეული კი ორდღობიანი სანადირო თოფი. სავარძელში ჯენიფერი ზის და მაგიდაზე გაშლილ კარტს ჩაკრიკიტებს.

შემოდის ლეონარდო

ლეონარდო - (აღელვებული). ყველაფერს საზღვარი აქვს! ჩვენს საერთაშორისო იმიჯს ძირს უხზობან! საქმეში აღარავინ გვენდობა! იმიჯს გვიღობავენ, იმიჯს! იმიჯს რა ვუყო! არა! არა! ამის პატიება უკვე აღარ შეიძლება!

ჯენიფერი - რა მოხდა, ჩემო ტურფავ? რამე პრობლემა შეგექმნა?

ლეონარდო - ჯენიფერ, საზოგადო პრობლემა მაწუხებს, თორემ პირად საქმეს მე თვითონ მოვაგვარებ. ისე, როგორც მჩვევია!

ჯენიფერი - ლეონარდო, თუ ჩვენი ბარაქტი სავსე ოჯახს რაიმე საფრთხე არ ემუქრება, მაშინ სხვის საქმეში ცხვირს ნუ ჩაყოფ... განა ასე არ მასწავლებია?

ლეონარდო - ჯენიფერ, ჩემო სულის ხინკალო, მართალი ხარ, მაგრამ...

ჯენიფერი - (თავისთვის). რა? სულის ხინკალო? აკი აქამდე მისთვის სულის პიცა ვიყავი? არა, აქ სხვა რაღაც ამბავია... (ლეონარდოს) ჩემო ტურფავ, რისი თქმა გასურს? მითხარი, რა გეხვეწები...

ლეონარდო - არაფრის...

ჯენიფერი - ნუთუ პიცა აღარ გიყვარს და ხინკალო მოგხიბლავ?

ლეონარდო - საზოგადო საქმე მსხვერპლს მოითხოვს... ზოგჯერ პირადის დათმობა მიწევს...

ჯენიფერი - როგორი ნამიოკებით მელაპარაკები? პირდაპირ მითხარი, პიცა შეგჯავრდა და ახლა ხინკალი შეგიყვარდა?

ლეონარდო - ღიბა, ხინკალი თქმულა საჭმელების მეფე!

ჯენიფერი - ეგ ვინ მოგახსენა? საჭმელების მეფედ პიცა თქმულა!

ლეონარდო - მაშ თუ პიცა თქმულა, რუსთაველზე „პიცა ცენტრს“ გახსნიდნენ და არა „ხინკალ ცენტრს“! ოლოლო შენ, ახლა რას იტყვი?

ჯენიფერი - იმას ვიტყვი, რომ მე „პიცა ცენტრს“ გახსნი! პიცა თქმულა საჭმელების მეფე!

ლეონარდო - ხინკალი-მეთქი! ხინკალი, ხინკალი... ხინკალი!...

ჯენიფერი - პიცა... პიცა... პიცა!

პაშუბა ლეონარდო - ჩვენ ასე კონსესუსს ვერ მივალწვეთ...

(ჯენიფერი სღუკუნებს და ცრემლებს იწმენდს).

ქალის ცრემლების რუსთხელმწიფისაც არა სჯერა და მე დავიჯერებ?

იტირე რამდენიც გეწიბოს.

პაშუბა

ჯენიფერი - ძლივს ვეროპელობა გვედირსა... შენ... შენ... შენ კი მაინც გაკაცისებულად დარჩი, ბარბაროსად... ბარემ ჩონხა ჩაიცივი და ხანჯალი დაიცივი... ნუთუ ასე მალე დაივიწყე ჩვენი პარტიის პიმი? (მღერის) „ჩვენ კარგები ვართ და ყველას ვუნდობართ, ჩვენ დიდი მიშას გუნდი ვართ!“

მაშ, შენ იმ კაცს ღალატობ, ვინც ადამიანებს დავგავსაგავსა და ვეროპელობა გვაქცია? ვინც სულელების მიერ მოგონილი დაუწერელი კანონები, ვეროპოლოდული დრო-მოჭმული ზნეობრივი ნორმები მოგვაშორა და საქართველოში პიროვნების თავისუფლებას საფუძველი ჩაუყარა... პირველად საქართველოში! ვინც? ვინც ზედმეტი მიწა-წყალი თავიდან მოგვაშორა, გავეიდეთ უცხოელებზე და გავგამიდრა?

ლეონარდო - (თავისთვის). რა ჭკვიანი ცოლი მყავს. ხედავ, ხინკალი და პიცა

პოლიტიკას რა მარჯვეთ დაუკავშირა? მაგრამ... ხომ შეიძლება ასევე მარჯვედ ჩამიშვას? ითანამშრომლოს, ანუ დამაბეზლოს? მერე რა ვქნა? რა მეშველება?

ეე, ჭკუით იყავ ლეონარდო, ჭკუით... სოლომონ მეფე ჭკუით იცნეს! (ჯენიფერს) ჩემო პიცავ, მოიწმინდე მარგალიტის ცრემლები... არა, მე თვითონ მოგწმენდ... აი, ასე... თინეფერი კი ხარ, მაგრამ ასე ტირილი არ შეგშენის... მოდი, ჩვენებურად ვიმდეროთ და კარგ ხასიათზე დავდგებით.

ჯენიფერი იღიმის, ცრემლებს იწმენდს და მღერია:

„ნახევარი საქართველო გავვიდეთ, ნახევარი კიდევ გასაყიდი გვაქვს - ჩვენ დიდი მიშას გუნდი ვართ!“

პაშუბა

ლეონარდო - გულზე მართლა მომეშვა. ლეონარდო - აბა რა გითხარი? ნერვებს ტყუილა იწმინდა... განა შეიძლება ხინკალის პიცასთან შედარება?

ჯენიფერი - მაშ, რატომ მითხარი ჩემო სულის ხინკალო? ნუთუ ჩემზე გული აიყარე? ვიღაცას ჩვენი ბედნიერება შეშურდა და ჯადო გაგვიკეთა... კარტიც ამას ამბობს... აუცილებლად თელეთის სალოცავში ავიდეთ და ცხვარი შევწიროთ!

პაშუბა

ლეონარდო - ჯენიფერ, არა გრცხვინია? ცხოვრებას ასე როგორ ჩამორჩი... როგორ გაიფიქრე შენს სახამორთხავით კოხტა თავში ზეთისხილით შევი ფიქრები? რაც შეეხება ჯადოს... სამწუხაროდ, თელეთის ხატ-სალოცავი ვერაფერს გახდება!

ჯენიფერი - (შეშინებული). ღმერთო, გვიშველე! რატომ, ლეონარდო, რატომ?

ლეონარდო - იმიტომ.

ჯენიფერი - რატომ, ლეონარდო, რატომ? ლეონარდო - რატომ და იმიტომ!

ჯენიფერი - მაინც, რატომ? ნუ გაჯიუტდი პაპაიჯორივით, ნუ ამომხადე სული... მითხარი...

ლეონარდო - გეტყვი, რატომ არ გეტყვი? შენთან დასამალი რა მაქვს?

ჯენიფერი - მითხარი, ჩემო ტურფავ!

ლეონარდო - ჯერ ერთი, გვარიშვილობითა და პურ-ღვინით განთქმულ ჩემი წინაპრს მაგ სალოცავმა ვერ უშველა...

მეორე, დღევანდელი, გლობალიზებული, ახლებურად მოახროვნე ღია საზოგადოება ვერ ეტყება იმ კაცის დრომოჭმულ, ნეგატიურ შეხედულებებს, ვინაც ჩვენი გვარი ასე უსამართლოდ ღაფში ამოსვარა...

ისტორია ჩვენ გვამართლებს... ჩვენ ჭკუ-მარტიტ გზაზე ვდგავართ... მესამე, ჩვენ ქალაქელები ვართ და სირცხვილია ვიღაც ჭკუიშელების, სხვიტორლების, ყვარ-ღელელების, ჩარგელელების სოფლურ ხატ-სალოცავებში ვიართ... ამის შემდეგ, ერთი მითხარი, ჩემო პიცავ, რა გვინდა თელეთში, რა უნდა ვაკეთოთ, როცა ვეროპაში სახელგანთქმული ახალი სალოცავი არსებობს და რაც მთავარია, პლენხანოზე გაზრდილი, თბილისელი კაცის, თანამედროების უდიდესი ფილოსოფოსის მამარდაიდის სწავლება გლობალურ საზოგადოებაში „ხადავ გინდა იქ ილოცეს“ უნივერსალური ფუნქციის შესახებ, სრულ უფლებას გვაძლევს ვიართ ახალ სალოცავებში, ახალ ღმერთებთან!

ჯენიფერი - ეგ რომელი სალოცავია? რომ არა მსმენია?

ლეონარდო - ბილდენბურგის სალოცავია! დიდი ძალა აქვს, დიდი ძალა! ვე-ნაცვალე იმის მადლს! იქაური ბანკირები, მრჩეველები, ექსპერტები ყველანიარ ჯადოს ხსნიან, მაშ!

ჯენიფერი - (გახარებული). წავიდეთ, ლეონარდო, წავიდეთ! გადავუფრინოთ მთელ ვეროპას! ეგებ მუცელადაც ვიღო? აი, მაშინ კი დაუდგება ორთავ თვალი ჩემ მახლს!

პაშუბა

ლეონარდო - იცი, ჯენიფერ, უშვილობა ჩემი ბრალი არ არის...

ჯენიფერი - (გაოცებული). მაშ, ჩემი ბრალია?

ლეონარდო - ეგრე გამოდის, რა!

ჯენიფერი - ვაი, ვაი, ვაი, მაგ სიმართლით იარე ამ მიწაზე! მე და უშვილობა? ეგ სადა თქმულა, რას ამბობ! მართალია, ჩვენი ახლა მიღებული კანონი ცოლ-ქმრული სარეცლის გამოყენებას არეგულირებს, მაგრამ ეს სულაც არ უშლის ქალს დაორსულდეს!

ლეონარდო - მე რა, კიტრი ვარ? გეუბნები საბუთი მაქვს! ადრე მინდოდა მეთქვა, მაგრამ თავს ვიკავებდი, ეგებ დაფეხმძიდვს-მეთქი...

ჯენიფერი - რა საბუთსა ბრძანებ? ლეონარდო - გეტყვი და არ გეწიხის. ჯენიფერი - მითხარი, არ გეწიხება. ლეონარდო - არ გეწიხება? ჯენიფერი - არა-მეთქი! მანვენე ეგ საბუთი, ოღონდ ქალაღელსა არ იყო!

პაშუბა

ლეონარდო - რა ქალაღელი, რის ქალაღელი. ნაღლი საბუთი მაქვს. ნივთბეციცება... შვილი მყავს!

ჯენიფერი - (თავისთვის) რას ამბობ? ხომ არ მომეხმა? (ლეონარდოს) მერე სად არის ეგ შენი შვილი?

ლეონარდო - ხომ იცი, რუსის ჯარში ორ წელიწადს ვიმსახურე. კომუნისტების დროს... სისხლის წვიმების დროს... პოლარული წრის იქით, ვორკუტაში...

ჯენიფერი - ვიცი, მერე?

ლეონარდო - იმენა, იქ ორწლიანხვერის ბიჭი დავტოვე, რა!

ჯენიფერი - რამდენ წელიწადს მსახურობდი, როგორ თქვი?

ლეონარდო - ორ წელიწადს. ზუსტად ორ წელიწადს, კარგად მახსოვს!

ჯენიფერი - ნამდვილად? ხომ არ მატყუებ?

ლეონარდო - შემიძლია ბიბლიაზე დავიფიცო!

ჯენიფერი - თუ ორ წელიწადს მსახურობდი, ორწლიანხვერის ბიჭი როგორ დატოვე?

ლეონარდო - (შემცბარი). ჯენიფერ, ჩემო პიცავ, შენ ერთი რამ გავიწყდება...

ჯენიფერი - (აწვევტივებს). რა მავიწყდება, ნუ სულელობ!

ლეონარდო - ის გავიწყდება, რომ ვორკუტაში ერთი წლის სამსახური ორი წლის სტაჟით ითვლებოდა, მაშ! აზრზე მოდი, რა!

გულშეღონებული ჯენიფერი სავარძელში გადაეხვეწება. ლეონარდო წყალს აბკურებს. ჯენიფერი მოსულიერდება და თვალები ჭერს მიაშტერა.

ჯენიფერი - (თავისთვის). ადრე თქვა, ბუზები გაფრენილანო, ახლა კიდევ... ოპ, ღმერთო მიშველე!

პაშუბა

წელან რა საზოგადო პრობლემა გაწუხებდა? არ გითქვამს.

ლეონარდო - პო, იმას ვამბობდი... ჟირინოვსკის უბრძანებია ხინკალი არ მომწონსო. ამ ვაუბატონს, არც ჩვენებური ღვინო მოსწონს, არც ბორჯომის წყალი... არც ნაქაფული, ბოზხაში, ჩიხირთმა, მრგვლად მოხარშული ფხებაპლაკული დედალი, არც შქმერულად შემწვარი წიწილა და არც ხაშლაში! ასეთი უმადური კაცი სუფრის ახლოს არ უნდა გაიკარო! ცივი ომის დამტყუებ, არ ვაჭამოთ ხინკალი... როგორც მღერია...

პაშუბა

ლეონარდო - ჯენიფერ, ჩემო ტურფავ, ჯანდაბას პოლიტიკა... შენ ეს მითხარი დღეს სადილად რა გვაქვს?

ჯენიფერი - რა გვაქვს და დეთის ბოძებული ყველაფერი, რაც ჟირინოვსკის არ მოსწონს და პლუს ენ რაოდენობის პიცები, პოთდოგები, კამბურგერები, სენდვიჩები, ამერიკული ჩხრიალა გველებისა და ფრანგულად მომზადებული ბაყაყის კონსერვები, კალიის წვინანი, მოხრატული ტარაკანები... ეს, რაც ჩვენ გვიყვარს!

ლეონარდო - ბარაქალა, ბარაქალა ოჯახის დედაბობო!

პაშუბა

ოს, მე იმათი... (მუშტით ვიღაცას ემუქრება) ყველამ რომ ჩემნიარად პრინციპულად იბრძოლოს, ცხადია, მშვიდობიანი მეთოდებით და არა საპროტესტო შიმშილობით, მაშინ საქართველოს საერთაშორისო იმიჯი არ დაეცემა. იმიჯს რა ვუყო, იმიჯს! გამოძვრებიან საიღვინად ვიღაც ოხრები, რატომ აშენებო რესტორნებს, გაგონილა? რატო ჭამოთ! მას, დავიხოცოთ? მაშ, დაგტყუიანდეთ? ავი ძაღლები არიან, არც თვითონ ჭამენ და არც ჩვენ გვანებებენ მშვიდად ჭამას! ბიბლიოთეკები ინგრევა, არიქა, ბიბლიოთეკები მიხვედითო! თქვე მამაოხრებო, ბიბლიოთეკებში იქიფებ, ბიბლიოთეკებში იცეკვებ შალახოს თუ კინტოურს? მე თუ ბიბლიოთეკაში არ დავდივარ, ამიტომ მაკლია ვერ-ხორცი, აი! ვაპ! ესენი ვინა ყოფილა, ეს... ეს ჭლექიანები!

ჯენიფერი - მგაბათ მოთხოვნებს რომ ვუსმინოთ, მშვიდობიანი დავიხოცებოთ (გასძახებს ლიზის). ლიზი, ლიზი, სუფრა გაშალე, უნდა ვისადილოთ!

შემოდის ლიზი. ურიკას მოავორებს და

საჭმლით სავსე ჭურჭელს მაგიდაზე ალაგებს. შემდეგ სოროსის პორტრეტის წინ დგებიან და ლოცულობენ.

ლეონარდო - მამაზე კაცი კაცი! ჩვენო მარჩენალო, რომელი ხარ მოვლინებული ახალი აზროვნების საქადავოდ, ახლებური ცხოვრების წესის დასანერგად და ღირსეულთა განსაძღობად, უკეთურთა მოსაქცევად და მოუქცევართა განსადევნად, პრისხავტიზაციის მეუფეო, განგვაძღე დღეს ჩვენ და გვაკურთხე დოღართა მრავლითა და ღირსეუვად ვადილოთ სახელი შენი და მრწამსი შენი უკუნისი უკუნისამდე. ამინ!

ლოცვას დაამთავრებენ.

ლიზი ურიკით გახვლას აპირებს. ისმის ზარის ხმა.

ლეონარდო - ლიზი, ნახე ვინ არის. თუ ღირსეული სტუმარია შინა ვართ, თუ ვინმე მუდრეგია სამათხოვროდ მოსული, შინ არა ვართ! (ლიზი გადის). მიზეზები არ გამოვლევათ, ზოგს წინის გამოცემა უნდა, ზოგს წამის ფული არა აქვს... საოცარი ის არის, რომ ზოგიერთს მაინც და მაინც მაშინ მოუნდა კუჭის ოპერაციის გაკეთება, როცა საჭმელი არა აქვს! გაგაგიჟებს ეს ხალხი! რა გეწიხება, რა გელექსება შე ოხერო უსაქმურო! მიდექი, მოდექი, უცხოეთში წადი და იქ ნამდვილად დაივიწყებ მავნე ჩვევებს... დაივიწყებ კი არა, დაგავიწყებენ, გადაგაჩვენენ და შაირობის მაგიერ ფულის კეთებას ისწავლი!

შემოდან ლიზი და ჯორჯ მანიფელი.

მანიფელი - გულ მონინგ ლეიდიხ ენდ ჯენიფერ!

ლეონარდო - (გახარებული). მისტერ ჯორჯ! ავი ილაითიდ სე სიიუ! მობრძანდი, მობრძანდი, ძალიან მიხარია თქვენი სტუმრობა!

ერთმანეთს ხელს ართმევენ. მანიფელი ჯენიფერს ხელზე კოცნის და ძვირფასთვლიან ბეჭედს უკეთებს.

მანიფელი - მე ამერიკელი კაცი საქმის გადადება არ იცის. რეშილ პადარიტ ტოტ თისრინა? გთხოვ უარი არ გააკეთო. თუ უარი გააკეთო, მაშინ ვიფიქრო ია ლიზინი და მე ბიზნესიდან გადის!

ჯენიფერი - სერ, თქვენი საჩუქარი იმდენად მოულოდნელია, რომ არ ვიცი მადლობა როგორ გადაგიხადო... თენქ იუ ვერი მან!

ლეონარდო - მისტერ ჯორჯ, განა ჩვენ საერთო ბიზნესს ჩაშლა ემუქრება და გასურს ამ ბეჭდით განამტკიცოთ ჩვენი მეგობრობა? გარწმუნებთ, ჩვენი საერთო ბიზნესი თქვენ ფირმას დიდ მოგებას მოუტანს და ჩვენი მოკრძალებული წილის მიუხედავად...

მანიფელი - (აწვევტივებს). ოქეი! ე სტიოტ ობ ეტომ გავარიტ! რაიმეს ხომ არ დავლითო? (მანიფელი სავარძელში გაითხლარშება და ფეხებს მაგიდაზე შემოაწყოებს).

ჯენიფერი - ვიცი, თქვენ შოტლანდიური ვისკი გიყვართ...

მანიფელი - და, და, ვისკი ხარაშო!

ლეონარდო - (ლიზის) სასწრაფოდ შემწვარი გოჭი! ო, არა, არა! შემწვარი ინდაური! (მანიფელს) სერ, ვისკის გარდა სხვა სასმელებიც გვაქვს... თუ ინებებთ ფრანგულ შამპანურს, ბორდოს, იტალიის, რაინის ღვინოებს, ან რუსულ არაყს...

მანიფელი - სენთლი! ნო ნანნიომ სვისკი!

ლეონარდო - (შეაფხებს ჭიქებს). აი ემ ოფული გლეფ, ძალიან, ძალიან მიხარია...

მანიფელი - წამოდგება. ჭიქას ლეონარდოს და ჯენიფერის ჭიქებს მიუჭახუნებს და სადღეგრძელოს იტყვის.

მის ჯენიფერ ენდ მისტერ ლეონარდო! აი ფრიფოუზ თუ აუა ფრენდშიფ! თუ აუა ფრენდშიფ!

ჭიქებს უჭახუნებენ და სვამენ. შემოდის ლიზი. ურიკით შემწვარი ინდაური შემოაქვს.

მანიფელი - (აღტაცებული) ოქეი! ოჩენ, ოჩენ ხარაშო! სტენდი!

რეკავს ლეონარდოს მობილური ტელეფონი.

ლეონარდო - ჰელოუ... დიახ... დიახ... აუცილებლად მოვალ... უცხოელი სტუმარი მყავს, მაგრამ აუცილებლად მოვალ... დიახ, ოქეი!

თენიზი კუპლაშვილი (გაგრძელება შემდეგ ნომერში)

სკორტული კუთხე მიჰყავს შურნაღის ბიორბი ჯალაღანია



ერთა თასის გათამაშება სტარტს 7 თებერვალს აიღებს. ჩვენი ნაკრების მეტოქეები მომავალი ბატალიებისთვის მზადებას შეუდგნენ.

უკვე ვწვდით, რომ რუსეთის ნაკრებს ახალი მწვრთნელი ჰყავს, ჩვენთვის კარგად ნაცნობი ალექსანდრ პერევიჩინი, რომელიც "დათვებს" 2002-04 წლებში თავაჯობდა.

პერევიჩინმა გუნდის გაფართოებული, 32-კაციანი შემადგენლობა დაასახელა. მან უარი თქვა ნატურალიზებულ ქართველ მორაგბეებზე, ვალერი და გრიგოლ ცნობილადებზე. გამოძახებულია შორის არ არიან ლეგიონერებიც, ანდრეი ოსტრიკოვი და კირილ კულუშინი.

რუსეთის ნაკრებში პერევიჩინმა ოთხი გუნდის: კრასნოიარსკის "ენისეს", კრასნოიარსკის "კრასნი იარის", მონინოს "ვვასა" და მოსკოვის "სლავას" მორაგბეებს უხმო. "დათვები" საწვრთნელ შეკრებაზე, ტრადიციულად, სოჭში გაემგზავრებიან. რუსები 7 თებერვალს მადრიდში ესპანეთის ეროვნულ გუნდს, ერთი კვირის თავზე კი, ასევე სტუმრად, გერმანიის ნაკრებს დაუპირისპირდებიან.

რუსეთის ნაკრები: სერგეი ნოვოსელოვი, სტანისლავ სელსკი, ალექსანდრ ბეხვეროვი, ინოკენტი ზიკოვი, ნიკოლაი სერკოვი, ანდრეი ტემნოვი, დიმიტრი კროტოვი, ალექსეი შერბანი, რამილ გაისინი, იური კუშნარიოვი, დიმიტრი გერასიმოვი, იგორ კურაშოვი, პაველ ბუტენკო (ყველა-ენისეი), ალექსეი ვოლკოვი, ვლადისლავ კორშუნოვი, სერგეი სეკისოვი, ალექსეი პანასენკო, არტემ ფა-

ტახოვი, ალექსანდრ იანუშკინი, სერგეი ტრიშინი, მიხაილ ბაბაევი, იგორ კლუნიკოვი (ყველა - vva), ვიქტორ გრესევი, რუშან იაგუდინი, ანტონ რიაბოვი, ვასილი არტემევი, ანდრეი ოტროკოვი, იგორ გალინოვსკი (ყველა - კრასნი იარის), ანდრეი იგრეცოვი, დენის ანტონოვი, ილია ოსმინკო, მიხაილ სიდორივი (ოთხივე - სლავა).

ახალი სეზონისთვის მზადებას შეუდგა გერმანიის ნაკრებიც, რომელთანაც "ბორჯღალოსნები" 7 თებერვალს სტუმრად ემართავენ პირველი ტურის შეხვედრას. ჩვენი მომავალი მეტოქე საწვრთნელ მატჩში ირლანდიური "ქონოთის" სათადარიგო გუნდს დაუპირისპირდა და 7:50 წააგო.

გერმანელთა მწვრთნელების აზრით, ასეთი კატასტროფული შედეგი დაცვაში სერიოზული ხარვეზების ბრალია, რაზეც ერთა თასის დაწყებამდე დარჩენილ დროში განსაკუთრებით ყურადღებით უნდა ვიმუშაოთ.

აი, რა შემადგენლობა დაუპირისპირეს გერმანელებმა ირლანდიურ გუნდს.

გერმანიის ნაკრები: 15. გილემ ფრანკი (სემ პარისი 41), 14. პენდრიკ ფან დერ მერვე, 13. კლემან ფონ ბრუკოვი (კარლოს სოტერასი 50), 12. რაინორ პარკისონი, 11. სტეფან ლიუბიგი, 10. ჯერემი ტეუია, 9. შონ არმსტრონგი (პიერ მატურინი 60), 1. მატეას შოსერი (კრის პოულსი 41), 2. მიკა ტიუმენევი (ალექსანდრ ვიდიკერი 64), 3. სემი ფუშსელი (პაულ ვეისი 49), 4. რობ მაი, 5. რობერტ მორი (უმბერტო პილა 69), 6. კეპომა ბრენერი (ფალკ დუვე 56), 7. ანს-გერ რუნაუ, 8. რობერტ მორი.

საერთაშორისო შემადგენლობა დაასახელა ესპანეთის ნაკრების თავაჯობა სანტიაგო სანტოსმა. თუმცა "ლომებს" საწვრთნელი შეხვედრის გამართვას ვერ ახერხებენ, რადგან ნაკრებში გამოძახებული 22 მორაგბიდან 15 ლეგიონერია, რომლებიც საფრანგეთის სხვადასხვა დივიზიონის გუნდებში ასპარეზობენ.

ესპანელთა რიგებში კვლავ ითამაშებს ცხრა ნომერი პაბლო ფეიხო, რომელიც ამ ქვეყნის შვიდკაცი რაგბის ნაკრების

ლიდერიცაა. ძველი, ჩვენთვის კარგად ნაცნობი მორაგბეებიდან გუნდს შემორჩნენ ხაიმე ნავა (პერიუი) და წარმოშობით ბასკი ხულიენ გოია (ბიარიცი).

ესპანელები პირველ მატჩს შინ გამართავენ 7 თებერვალს, რუსეთის ნაკრებთან.

ესპანეთის ნაკრები: ხუან ანაია, ხავიერ სანსი (ორივე-ინდერპენდიენტე), ანხელ ვასკესი, იგნასიო სერანო, პაბლო ფეიხო (სამივე-კისნეროსი), დანიელ სნი (ვალე-ალოლიდი), ბრედლი ლინკატერი (გეიხო), ხუან ლუის ლაბე, მარკოს პოვი (ორივე-ლორმონი), ფერნანდო პერესი (მასი), აუგუსტინ ორტისი (ნარაფოა), ბენატ ოხუი (ბორდო), ხესუს რეკუერდა (ექსი), დავიდ გარერა (სენ პოლი), დავიდ გონსალესი (ნივენესი), გაუტიერ გიბუნი, სებასტიან ასკარატისი (ორივე-მონტაბლანი), ტიბო ვისენსანი, ჟილემ რუე (ორივე-ბაიონი), ხაიმე ნავა (პერიუი), მატეო როჩა (როდეზი), ხულიენ გოია (ბიარიცი).

ამასობაში, პორტუგალიის ნაკრებმა, რომელსაც წლეულს სათავეში ჟოაო პინტუ ჩაუდგა, ლისაბონში საწვრთნელი მატჩი გამართა ინგლისის სტუდენტთა ნაკრებთან და 16:32 დამარცხდა. "ლომუშების" შემადგენლობა საგრძნობლად გადახადისებულია. ძველი, ნაცნობი მორაგბეებიდან გუნდში დარჩნენ მძევი ვასკუ და გონსალეუვა (ორივე-დირეიტო), რაფაელ სამოსა (კასკაისი) და პედრო მელი (ბელენენსეში).

პორტუგალიის ნაკრები: ალოფონსო სოუსა, ფრანსისკო სოუსა, ჟოაო კაბანო, ნუნო ტაფულო, რაფაელ სამოსა, სალვადორ ვაალი (ყველა-კასკაისი), ბერნარდო ბატისტა, ბრუნო როსა, გონსალე ფაუსტინო (სამივე-ტექნიკო), ბერნარდო კამპელო, ფრანსისკო დომინგესი, ჟოზე ლეალი, მანუელ მურტერია, მანუელ ველა (ყველა-აგრონომია), კარლოს სოტომაიორი, ჟოაო ვასკუ, ოდრიგო ფიგუერდო (სამივე-კლუბი), დუარტე დინისი, ფრანსისკო სილვა, გონსალე უვა, ჟოაო სილვა, ლუის ლობატო, ვასკო უვა (ყველა-დირეიტო), ერიკ დოს სანტოსი (ბიარიცი),

ჟოაო მატეუში (კოიმბრა), მიგელ ალმეიდა (ლუზა), კევინ კოსტა (სენ ჟან დე ლუზი), მაქსიმ ტონიეტა (ოიონაქსი), პედრო ბეტანკური (კლემონი), პედრო მელი (ბელენენსეში).

საქართველოს ნაკრები: პირველი ხაზი: ვასილ კაკოვინი (ტულუზი), მიხეილ ნარი-აშვილი (მონპელიე), დავით ზირაქაშვილი (კლემონი), დევიან ჩილანავა (ტულონი), დავით ქუბორაშვილი, ზურაბ ჟვანია (ორივე-სტად ფრანსე), შალვა მამუკაშვილი (სეილ შარქსი).

მეორე ხაზი: გიორგი ნემსაძე (ტარბი), ვახტანგ მაისურაძე (ალბი), გიორგი ჩხაიძე (ლილი), კოტე მიქაუტაძე.

მესამე ხაზი: მამუკა გორგოძე (ორივე-ტულონი), გიორგი თხილაიშვილი (ბათუმი), შალვა სუთიაშვილი (მასი), ბექა ბიწაძე (ლოკომოტივი), ლაშა ლომიძე (ბეზიე).

№9: ვასილ ლობჯანიძე (არმაზი), გიორგი ბეგაძე (ყონხი).

№10: ლაშა ხმალაძე (ლელო)

№12-13: ლაშა მალაღურაძე (ბაგნერე), მერაბ შარტიძე (ორიაკი), დავით კაჭარავა (ენისეი), თამაზ მჭედლიძე (აუენი).

№11-14: ალექსანდრ ხუციშვილი (ყონხი-ბი), მალექსანდრ თოდუა (ლელო).

№15: მერაბ კვიციანი (მონლუსონი), გიორგი აფციაური (აია).

ერთა თასი 7 თებერვალი გერმანია-საქართველო, ესპანეთი-რუსეთი, პორტუგალია-რუმინეთი.

14 თებერვალი საქართველო-პორტუგალია, რუმინეთი-ესპანეთი, გერმანია-რუსეთი.

28 თებერვალი ესპანეთი-საქართველო, რუსეთი-რუმინეთი, პორტუგალია-გერმანია.

14 მარტი საქართველო-რუსეთი, პორტუგალია-ესპანეთი, გერმანია-რუმინეთი.

21 მარტი რუმინეთი-საქართველო, რუსეთი-პორტუგალია, ესპანეთი-გერმანია.

გამოვიდა სერგეი კრემლიოვის ნიგნ "ლავრენტი ბერია - XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი"-ს თარგმანის მეოთხე ტომი, რითაც დასრულდა ოთხტომიანი გამოცემა



უკვე გამოვიდა I, II, III და IV ტომები სერგეი კრემლიოვის წიგნისა "ბერია - XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი" (რედაქტორი ალექსანდრე შენბელია). გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" მხარდაჭერით. წიგნების შექმნა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ. №68-ში, სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ოფისში. ტელ. 599.209.624

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ. №6-ში (დიდუბე), ან, ყოველდღე, მეტრო "მარჯანიშვილის" ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან. ცნობისათვის დარეკეთ - 557.324.374.

სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ხელშეწყობით, ქართულ ენაზე გამოვიდა დიდი რუსი პუბლიცისტის, საქართველოში მე-19 საუკუნის თვალსაჩინო საზოგადოებრივი მოღვაწის ვასილ ველისკოს წიგნი "კამპანია", რომელიც ადრე სრულად დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში. წინასიტყვაობის ავტორები და შემდგენელები არიან რეალანდ ჯალაღანია და ნუზუარ ბობუა. თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ. №6-ში (დიდუბე), ან, ყოველდღე, მეტრო "მარჯანიშვილის" ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან. ცნობისათვის დარეკეთ - 557.324.374

გარეთ ელავს. სვანი ცაში იყურება. ცოლი ეძახის: - შემოდი კაცო სახლში. - მაცალე ქალო, ვერ ხედავ სურათებს მიღებენ?! *** ვაკეში "ახალი ქართველის" მერსედესს მძღოლმა "ვიგული-07"-ით დაარტყა, გადმოვიდა "ახალი ქართველი" და უთხრა ეს რა ქენიო. "07"-ის მძღოლმა - აბა მე რა მეშველება თორემ შენი მერსედესი "დუტია", გაუკეთებ გლუმი-ტელში "ნასოსს" და გაბერავო. ამანაც დაუჯერა, დაუყენა "ნასოსი" და ბერავს. მეზობელმა გამოიარა და დაინახა თავისი მეზობელი ნასოსს ეჩალინება. შეეკითხა, რას აკეთებო? აგერ ვაკელმა დამარტყა და, ხომ იცი, "დუტია" და ვბერავ, მაგრამ რადაც არ იბერებაო. მეზობელმა უთხრა, მერე ვერა ხედავ, რომ ლუქი ღია არისო. *** - შენ ის არა ხარ ყველას რომ ვიდაცაში ეშლები? - არა, ძმაო, გეშლები.

სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ხელშეწყობით, ქართულ ენაზე გამოვიდა დიდი რუსი პუბლიცისტის, საქართველოში მე-19 საუკუნის თვალსაჩინო საზოგადოებრივი მოღვაწის ვასილ ველისკოს წიგნი "კამპანია", რომელიც ადრე სრულად დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში. წინასიტყვაობის ავტორები და შემდგენელები არიან რეალანდ ჯალაღანია და ნუზუარ ბობუა. თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ. №6-ში (დიდუბე), ან, ყოველდღე, მეტრო "მარჯანიშვილის" ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან. ცნობისათვის დარეკეთ - 557.324.374

ISSN 1987-8966 ilori

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქ. №6, სატელ. № 01018002930 234-32-95

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საძინფორმის" ვებგვერდზე WWW.saqinform.ge